ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru

№291 (350) 4-11 ნოემბერი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

“სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა” — აკაკი შანიძე

რა საფრთხეების შესახებ აფრთხილებდა ალექსანდრე ჭაჭია ყოფილ და მოქმედ ხელისუფლებას?

წარსულის გახსენება წარსულში ჩარჩენას არ ნიშნავს

წინამდებარე ინტერვიუ პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიასთან 2005 წელს ჩაიწერა. მაშინ ჰორიზონტზე არც 2008 წლის აგვისტოს მოვლენები ჩანდა და არც მსოფლიო ფინანსური კრიზისი; მაშინ ხელისუფლება ომახიანად გვპირდებოდა ახალი წლის “მალე” აღნიშვნას ხან ცხინვალში, ხანაც სოხუმში და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ თავადვე გახდებოდა მოვლენათა ტრაგიკული ჯაჭვის ინიციატორი, რასაც საქართველოს ტერიტორიების დამატებით დაკარგვა და აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება მოჰყვებოდა... თუმცა ჩვენი რესპონდენტი ამ საფრთხეებზე, მოსალოდნელ კატასტროფაზე ღიად და მკაფიოდ მიანიშნებდა როგორც ხელისუფლებას, ასევე საზოგადოებას. რომ არა კალენდარული დრო და პერსონები, ადამიანი იფიქრებს, რომ საუბარია დღევანდელ საქართველოში არსებულ პრობლემებზე. ცხრა წლის წინანდელ ამ ინტერვიუს მკითხველს უცვლელად ვთავაზობთ.

— ბატონო ალექსანდრე, სამწუხარო ფაქტია, მაგრამ დამოუკიდებლად არსებობის მთელი დროის მანძილზე საქართველომ ვერ მოახერხა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზება და ვერ შეუდგა თანმიმდევრულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ასე არასახარბიელოდ რატომ გამოვირჩევით ყველა სხვა პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტური ქვეყნებისგან?

— დიახ, შევარდნაძის მმართველობის დასაწყისიდან დღემდე საქართველო წარმოადგენს დაშლილ, არშემდგარ სახელმწიფოს. ეს განსაზღვრება მეტად სწყინდა ყოფილ ხელისუფლებას, სწყინს დღევანდელსაც, მაგრამ ეს ფაქტია. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე ჩვენ დაშლილი სახელმწიფო ვართ და ეს უდავოა... განა შეიძლება, შემდგარად მიიჩნიო სახელმწიფო, სადაც ხელისუფლების ცვლა მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალების გზით ხორციელდება და, თანაც, უცხოეთიდან ფინანსდება?

თუმცა ყველაზე მთავარი ის არის, რომ საქართველოს პოლიტიკური წრეები დღემდე ვერ აცნობიერებენ ტრაგიზმს იმ მდგომარეობისა, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა. ტყუილად კი არ ვაცხადებ სისტემატურად, რომ არც პრეზიდენტი და არც მთავრობა არ წარმოადგენენ საქართველოს პრეზიდენტს და მთავრობას. ისინი არიან საქართველოს მხოლოდ ნაწილის პრეზიდენტი და მთავრობა, რადგან აფხაზეთის გარეშე ქვეყანას არ აქვს უფლება, საქართველოდ იწოდებოდეს, ხოლო მის ხელმძღვანელობას – საქართველოს ხელმძღვანელობა ერქვას. გამსახურდია იყო საქართველოს პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი პრეზიდენტი.

— ამიტომ დაუდგით მას ძეგლი ზუგდიდში?

— დიახ, და მზადა ვარ, ძეგლი დავუდგა ქვეყნის იმ ლიდერს, რომელიც დაუბრუნებს მას უფლებას, ერქვას საქართველო.

სამწუხაროდ, დღეს ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომელთათვის აფხაზეთი ცოცხალი ტკივილი არ არის. ასაკის გამო მათ ვერ მოასწრეს აფხაზეთის, როგორც საკუთარი სამშობლოს განუყოფელი ნაწილის, აღქმა და გაცნობიერება, ამიტომ ლაპარაკობენ **“ტერიტორიების დაბრუნებაზე”**, არადა, სამშობლოს დაბრუნებაზე უნდა იყოს ლაპარაკი.

რეალობიდან მოწყვეტა, წარსულის არცოდნა, გამოუცდელობა და ზედაპირული განათლება — აი დღევანდელი ხელმძღვანელობის მთავარი ნაკლოვანებანი. ახალგაზრდულ ენთუზიაზმზე, შესაძლებელია, საგრძნობლად გამოაცოცხლო საზოგადოებრივი, თუნდაც ეკონომიკური აქტივობა, წარმატებით გადაწყვიტო რიგი ტაქტიკური ამოცანებისა, მაგრამ ეს მოკლევადიან ეფექტს იძლევა. ქვეყნის რეალური განვითარება მხოლოდ სტრატეგიის საფუძველზე ხდება, ხოლო სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციისთვის საჭიროა სიღრმისეული ცოდნა, თაობათა გამოცდილების გათვალისწინება, ქვეყნისა და ერის ადგილის, როლის, ისტორიული დანიშნულების გაცნობიერება. ახლახან ვუსმენდი ტელევიზიით სოფლის მეურნეობის მინისტრის ანგარიშს ქვეყნის არსებობისათვის ამ უმნიშვნელოვანეს, სასიცოცხლო დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ და უნებლიეთ შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ეს ადამიანები რომელიღაც სხვა ქვეყანაზე, სხვა ეკონომიკაზე, სხვა სოფლის მეურნეობაზე ლაპარაკობდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ყველა სხვა ხელმძღვანელზე, რომლებიც ტელევიზორის ეკრანებიდან თავისი დარგის **“არნახულ წარმატებებზე”** მოგვითხრობენ. ასე ცრუობდა მრავალი წლის განმავლობაში შევარდნაძე. სამწუხაროდ, ეს პოლიტიკურ ტრადიციად იქცა.

ყოველთვის ვცდილობ, აღვნიშნო დადებითი მომენტები ხელისუფლების საქმიანობაში. მუდამ მაღიზიანებდა ყველა ჯურის ოპოზიციონერის სწრაფვა, ერთიანად, ხელაღებით გაეშავებინათ ყველა და ყველაფერი, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ნაბიჯში მხოლოდ ცუდი და მავნე დაენახათ. შევარდნაძის მმართველობის დროსაც კი ვცდილობდი, გარკვეულ პროცესებში პოზიტივი დამენახა, რადგან ხშირად ოპოზიციის სწრაფვას, კატეგორიულად უარყოს ხელისუფლების საქმიანობა, იქამდე მივყავართ, რომ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლად იქცევა. შევარდნაძის პერიოდთან შედარებით, დღეს მართლაც არის პოზიტიური მომენტები ხელისუფლების საქმიანობაში, რასაც მივესალმები. საკმარისია, თბილისის, ბათუმის შეცვლილ იერს შეხედო, გზების მშენებლობას, კორუფციასთან ბრძოლას ქვედა და საშუალო დონეზე და სხვ. მაგრამ ყველა ეს მოვლენა კოსმეტიკური ხასიათისაა და გავლენას ვერ ახდენს ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებაზე, ვერ ცვლის შევარდნაძის დროს დამკვიდრებულ ქვეყნის განვითარების დამღუპველ ვექტორს. დღემდე არ არსებობს ეკონომიკური განვითარების ერთიანი მოდელი, რაც ქვეყანას ეკონომიკური ჩიხიდან გამოიყვანდა. და მთავარი — ხელისუფლების ქმედება არანაირად არ გვაახლოებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაწყვეტასთან. ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარებისა და თანამედროვე ეკონომიკური ბაზის ფორმირების გარეშე კი საქართველოს მომავალი არ აქვს.

— ცნობილია, რომ მეორე ევროპულ ფორუმზე მოსკოვში თქვენ — მონაწილეთაგან ერთადერთი — ე. წ. კონფლიქტების მოგვარების კოსოვოს სქემის წინააღმდეგ გამოხვედით. რატომ?

— კოსოვოს სქემა სერბეთის ისტორიულ ტერიტორიაზე მოსული მუსლიმების დამოუკიდებელი ალბანური სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებს. კოსოვო სერბული მართლმადიდებლური კულტურის აკვანია, სერბი ერის გულია. იქ ეთნიკურად და რელიგიურად უცხო ხალხი დასახლდა, რომელსაც იქვე, გვერდით, საკუთარი სახელმწიფო აქვს, ამერიკელების დახმარებით სერბი მოსახლეობა განდევნა, 200-ზე მეტი მართლმადიდებლური ტაძარი დაანგრია და ახლა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებას მოითხოვს. არ შემიძლია ამ მოთხოვნას დავუჭირო მხარი, პირველყოვლისა იმიტომ, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, იმიტომ, რომ სერბი და ქართველი ხალხები სულიერი ძმები არიან.

ჩვენ ისედაც სამარცხვინო, მოუშორებელი ლაქა გვადევს: შევარდნაძე იყო პირველი სახელმწიფოთა მეთაურებს შორის, რომელმაც ოფიციალურად დაუჭირა მხარი **ნატო**-ს ავიაციის მიერ სერბეთის დაბომბვას, რასაც ასობით უდანაშაულო ადამიანი, ათობით ეკლესია და მონასტერი შეეწირა. ხოლო ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ არ დაგმო ამის გამო ედუარდ-გიორგი, ანათემას არ გადასცა იგი.

მეორეს მხრივ, **“კოსოვოს სქემის”** უნივერსალურობის აღიარება ავტომატურად ნიშნავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოყოფის უფლების აღიარებას. მეტიც: ეს ანალოგიურ პერსპექტივებს შეუქმნის საქართველოს სხვა რეგიონებსაც, რომლებიც, ძირითადად, მოსული უცხოტომელებით არის დასახლებული. **“კოსოვოს სქემა”** სახიფათოა ევროპის ბევრი ქვეყნისთვისაც და მის შესახებ ევროპელ მოღვაწეთაგან არაერთი მწვავე შეფასება მომისმენია. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ **“კოსოვოს სქემის”** უკან ამერიკის შეერთებული შტატები დგას. მას კონკრეტული მიზანი აქვს — მაქსიმალურად დაასუსტოს გაძლიერების გზაზე დამდგარი ევროპა, ამიტომ ქმნიან ევროპის ცენტრში მძლავრ მუსლიმურ ანკლავს დიდი ალბანეთის სახით. ამასთანავე, ანტიმართლმადიდებლური ტენდენციების დაკმაყოფილებაც ხერხდება, რაც მეტად ძლიერია როგორც კათოლიკურ, ისე პროტესტანტულ ქვეყნებში. მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, ევროკავშირის დასუსტებაა. სწორედ ამიტომ გაიტანეს თავისი ამერიკელებმა და ევროკავშირში აღმოსავლეთევროპული პოსტსოციალისტური სახელმწიფოები მიაღებინეს. უფრო მეტიც, — იუგოსლავიის დაშლა აიძულებს ევროკავშირს, თავის შემადგენლობაში ყველა ახალი ბალკანური სახელმწიფო მიიღოს. ეს უდავოდ სერიოზულ გავლენას იქონიებს გაერთიანებული ევროპის ეკონომიკაზე, ევროს, როგორც დოლარის კონკურენტის კურსზე, დაძაბულობას შეიტანს წამყვანი ევროპული ქვეყნების საშინაო ცხოვრებაში.

მათ მილიონობით აღმოსავლეთევროპელ მიგრანტთან საკუთარი შრომის ბაზრის გაყოფა მოუწევთ. ამიტომ ევროკავშირის ძირითადი წევრები ყველა ახალი პრეტენდენტისთვის კარის დასაკეტად მზადყოფნას გამოხატავს. მაგალითად, თურქეთის ევროკავშირში მიღების საკითხი, პრაქტიკულად, 10-15 წლით გადაიდო და, ალბათ, არასდროს მოხდება, სხვათა შორის, ანალოგიური ვითარებაა **ნატო**-შიც. ევროპელებს მკაფიოდ ესმით, რომ **ნატო** ამერიკის მსოფლიო ჰეგემონობის ინსტრუმენტია. **ნატო**-ს გაფართოება, არსებითად, ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის გაფართოებას ნიშნავს, ევროპა კი იძულებულია, ამის საფასური იხადოს, ამიტომ ევროპის წამყვან სახელმწიფოებს **ნატო**-ს გაფართოების პერსპექტივისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ. მაგალითად, გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან საქართველოს ჩართვას **“ინტენსიური დიალოგის”** პროგრამაშიც კი, ანუ **ნატო**-სთან ურთიერთობაში საქართველოს ახალ საფეხურზე გადასვლას.

— მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობა მალე ნატო-ში შესვლას გვპირდება...

— ამ დაპირებას, მრავალი წელია, ვისმენთ. ევროკავშირსაც გვპირდებოდნენ, თუმცა ბოლო დროს აღარ ახსენებენ: მეტისმეტად სასაცილოდ ჟღერს. რაც შეეხება **ნატო**-ს, ქართველებისთვის მეტად მნიშვნელოვანია, გააცნობიერონ რეალური სურათი. ევროპა არ იწვის **ნატო**-ს გაფართოებისა და ამით, ფაქტობრივად, ამერიკელთა ინტერესების მომსახურების სურვილით. გარდა ამისა, ევროპა არ არის დაინტერესებული რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებით. ამერიკის შეერთებულ შტატებს, რა თქმა უნდა, შეუძლია აიძულოს ევროპა, ეს ნაბიჯი გადადგას. საქართველოს **ნატო**-ში შესვლას ყოველმხრივ შეუწყობს ხელს თურქეთი, რადგან ეს თურქეთის შეიარაღებულ ძალებისთვის გახსნის საქართველოს ტერიტორიას, რაც შექმნის ჩრდილოეთ კავკასიაზე პირდაპირი გეოპოლიტიკური გავლენის პერსპექტივას. მაგრამ **ნატო**-ს ევროპელი წევრები, კიდეც რომ დაეთანხმონ ამერიკისა და თურქეთის მოთხოვნას, ყოველ მიზეზგარეშე წამოაყენებენ უმთავრეს მოთხოვნას — **ნატო**-ს წესდების მკაცრ დაცვას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ნატო**-ს წევრ ქვეყანას ტერიტორიული პრობლემები არ უნდა ჰქონდეს.

აშშ, ისევე, როგორც მთელი მსოფლიო თანამეგობრობა, დაჟინებით მოითხოვს ჩვენი კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას, მაგრამ მშვიდობიანი მოგვარება შეუძლებელია ამ პროცესში რუსეთის დაინტერესებული მონაწილეობის გარეშე. რუსეთი კი ამაში მონაწილეობას არ მიიღებს, ვინაიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩვენთვის დაბრუნება ამ ტერიტორიის **ნატო**-ს კონტროლის ქვეშ გადაცემას ნიშნავს, რადგან საქართველოს ხელმძღვანელობა არ იღებს საკუთარ თავზე ვალდებულებას, არ განათავსოს თავის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები. **ნატო**-ს კატეგორიული წინააღმდეგია, აგრეთვე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაც.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

ვახუშტისეული ლეჯახია ფორმითაც და რუკაზე მოცემული ადგილმდებარეობითაც (ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირი) დღევანდელ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაჯახუ(უ)ს შეესატყვისება. ნაჯახუ(უ) (**„საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონის“** მიხედვით ნაჯახავო), აბაშა-ცხენისწყლის შუამდინარეთში მდებარე სოფელია. თამაზ ბერაძეს ვახუშტის რუკებზე აღნიშნული რამდენიმე პუნქტის (სუხჩე, ლეხაინა-ლეხაინდრე) სახელწოდების აღდგენა მოუხერხებია, მაგრამ ტოპონიმ **„ლეჯახის“** შესატყვისი-თანამედროვე ვარიანტი არა აქვს აღდგენილი (ბერაძე სიგკ, IV, 1971: 66). ლეჯახი//ლეჯახე „ჯავახიას (ჯავახიების) საცხოვრებელს, მათ უბანს, დასახლებას ნიშნავს (ლეჯავახე-ლეჯაახე-ლეჯახე). გვარ ჯავახიას კომპაქტური დასახლება გვხვდება სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლებში – ახალსოფელში, ძველ სენაკში, ნოსირსა და სხვაგან.

1904 წლის აღწერის თანახმად, აზნაურ ჯავახიებს უცხოვრიათ ნაჯახუსა და გეჯეთში. ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი გარემოებაც: დავით დადიანის მთავრობის პერიოდში ოდიშ-ლეჩხუმი რვა მაზრად იყო დაყოფილი. მათ შორის ერთ-ერთის – მარტვილის მაზრის, სოფლებს შორის დასახელებულია ნაჯავახოუ, რაც ამჟამინდელი ნაჯახავოა. ამდენად, XVIII საუკუნეში სოფელს ლეჯა(ვ)ახე ერქვა. ოიკონიმ ნაჯახუ(უ)ს წარმომავლობას, ჩვენი აზრით, შემდეგი სახე უნდა მიეცეს: ლეჯავახე ლეჯაახე ლეჯახე ნაჯა(ვა)ხუ ნაჯახუ(უ) (კეკელია 2010; მისივე „ქ. ო.“, V, 2011: 128-129;).

IV. 2. აბაშის ხეობა

ცხენისწყლის ხეობაში მდებარე დასახლებულ პუნქტთა შორის ვახუშტი პირველად ბანძას ასახელებს: **„...ცხენისწყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი“** (ვახუშტი IV, 1973: 776). ვახუშტისეული **„ციხე კეთილნაშენი“,** მართალია, ცხენისწყლის დასავლეთით (მარჯვენა მხარეს) მდებარეობს, მაგრამ არა ცხენისწყლის, არამედ აბაშის ხეობაში, აბაშის მარცხენა ნაპირას.

ბანძა სამეგრელოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, გაშლილ ველზე მდებარე სოფელი და თემის ცენტრია. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით მარტვილის მუნიციპალიტეტში შედის და ზ. დ. 90 მ-ის სიმაღლეზეა. ქალაქ მარტვილს 12 კმ-ითაა დაშორებული. სოფელს მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ეჭირა. ვახუშტი XVII ს-ის ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ცხოვრების ეპიზოდების აღწერისას ბანძას არაერთხელ მოიხსენიებს (იქვე: 447, 833, 834);

სოფლის სახელწოდება, ბანძა, ჩვენი აზრით, **„გზაჯვარედინს, გზაგასაყარს, გზაშესაყარს“ უნდა ნიშნავდეს (კეკელია 2007: 13-14; მისივე „ორნატი“,** 3-4, 2005: 135; მისივე 2010: 19-22).

ვფიქრობთ, ის გარემოება, რომ **„ბანძა და ციხე კეთილნაშენი“** ვახუშტის მიერ ცხენისწყლის ხეობის აღწერისას არის მოხსენიებული, უნდა აიხსნას ბანძის იმდროინდელი გეოგრაფიული მდებარეობის, კერძოდ, ტერიტორიულად დიდი მოცულობის, გათვალისწინებით. გვიან შუა საუკუნეებში და შემდგომაც, XIX ს-სა და XX ს. 30-იან წლებში, სოფელი ბანძა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა.

გიულდენშტედტი სამეგრელოს ორ ნაწილად ყოფს. დასავლეთ ნაწილს ოდიშს უწოდებს, ხოლო აღმოსავლეთს – სამეგრელოს. ამ უკანასკნელში იგი თავის მხრივ ორ მხარეს არჩევს – ბანძას და (ვ)აბაშას. გიულდენშტედტი იქვე ჩამოთვლის ბანძასა და აბაშაში შემავალ სოფლებს (გიულდენშტედტი I, 1962: 323). ამ ცნობაზე ყურადღება გაამახვილა მკვლევარმა შ. ჯღარკავამ და შენიშნა, რომ სოფლების ჩამონათვალის არათანმიმდევრულობის გამო თითქმის შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელი მათგანი მიეკუთვნებოდა ბანძის მხარეს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ბანძის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია ბანძის შემადგენლობაში იყო, ხოლო სამხრეთი ვაბაშას ანუ აბაშას ეკუთვნოდა (ჯღარკავა 113, 1965: 274). მკვლევარი თავის მოსაზრებას იმ ფაქტით ამყარებს, რომ 1819 წელს შედგენილ საქართველოს გენერალურ რუკაზე, რაც ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, ბანძის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას აწერია „„Абашской“ (იქვე).

კორნელი ბოროზდინი, თავის მოგონებებში სამეგრელოს ყოფა-ცხოვრების შესახებ, გადმოგვცემს XIX ს. I ნახევრის ბანძის გეოგრაფიულ მდებარეობას და წერს, რომ ბანძას ეჭირა აბაშასა და ცხენისწყალს შუა მდებარე, 40 ვერსის სივრცე ადგილი, სადაც 75-ზე მეტი კომლი თავადი ფადავა და 800 კომლი აზნაური და გლეხი მოსახლეობდა. **„ამ სახით, ბანძა სენაკის ოლქში შტატუს ინ სტატუს-ს (სახელმწიფო სახელმწიფოში) ჰგვანდა, ხოლო მებატონე ფადავები – ცალკე ელემენტს, ცალკე ძალას“,**– წერს კ. ბოროზდინი (ბოროზდინი 1934: 248-249). მისივე თქმით, ცხენისწყლის ნაპირას მდებარე სოფლები – ლეხაინდრო და ნაგვაზუ, ფადავების საყმოს წარმოადგენდა (იქვე: 250).

ბანძის სოფლის საზოგადოება საკმაოდ დიდი მოცულობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა მოგვიანებითაც, XIX-XX სს-ში. ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ბანძა დასახელებულია სუჯუნის მაზრის სოფლებს შორის, მაგრამ ამ დაყოფაში ლეხაინდრაო და ნოჯიხევი არ გვხვდება (მეუნარგია 1939: 113). წერილობითი წყაროების პირდაპირი და არაპირდაპირი ცნობების გაანალიზებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ბანძის შემოგარენში მდებარე სოფლები – ლეხაინდრე//ლეხაინდრავო, ნაჯახუ//ნაჯახავო, ნაგიბერუ//ნაგებერავო, ონოდია, ვედიდკარი, ლეფოჩხუე, მახათი და მუხურჩა დროის გარკვეულ მონაკვეთში ბანძის შემადგენლობაში ერთიანდებოდა.

ჭყონდიდის ადგილმდებარეობის ვახუშტისეული აღწერილობა, რომ ეს პუნქტი ბანძის „ზეით“, ე. ი. ჩრდილოეთით, და მდ. ცხენისწყლის დასავლეთით, **„მისი მჭვრეტი, მაღალს ადგილზედ“** მდებარეობს, სინამდვილეს შეეფერება. რუკაზეც ამ პუნქტს უშუალოდ მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირას აღნიშნავს (ჯღარკავა 6, 1970: 78). ოღონდ ამ შემთხვევაშიც უნდა დაზუსტდეს ერთი საკითხი; კერძოდ: შეცდომაა, როცა ვახუშტი ამ პუნქტსაც, ბანძის მსგავსად, არა აბაშის, არამედ ცხენისწყლის ხეობის აღწერისას ასახელებს, რასაც, ჩვენი ფიქრით, ცხენისწყლის ხეობის ბანძა-ჭყონდიდთან სიახლოვე განაპირობებდა.

სწორია ვახუშტის ცნობა იმაზე, რომ ჭყონდიდის ტაძარი არის საძვალე მეფე ბაგრატისა. აქ უთუოდ იგულისხმება საქართველოს მეფე ბაგრატ IV, რომელიც მეფობდა 1027-1072 წლებში. **„ქართლის ცხოვრების“** მატიანის ჩანართი გვამცნობს: ჭყონდიდში **„...შექმნა ბაგრატ საფლავი თვისი და დაუსვენებიან მრავალნი წმიდათა მარტვილნი“** („ქ. ცხ.“ I, 1955: 303-304).

აბაშისა და ინჩხიას ხეობებში, ვაკესა და გორაკ-ბორცვებზე, ზ. დ. 170 მ-ზე მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და კულტურულ-სამეურნეო ცენტრი, ქალაქი მარტვილი. ქ. აბაშას 33 კმ-ით არის დაშორებული, ხოლო საქართველოს დედაქალაქს (ქ. ხონის გავლით) – 279 კმ-ით. ქალაქის ცენტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჭვენიას მაღალ სერზე, მარტვილის სამონასტრო კომპლექსია აშენებული, რაც აერთიანებს გეგმაში ჯვრის ფორმის ტაძარს, XVIII საუკუნიდან ჩიქოვანებისად მიჩნეულ ეკლესიას (VII, X ს.) და მესვეტის საცხოვრებელ ეკლესია-სვეტს (X-XI სს.). (შდრ. თაყაიშვილი 1993: 7).

წინაქრისტიანულ ხანაში ტაძრის ადგილას მდგარა უზარმაზარი მუხა ჭყონდიდი, რაც კერპად მიიჩნეოდა. ძველ საქართველოში ხეთა თაყვანისცემისა და მცენარეულობის მძლავრი კულტის არსებობაზე მიუთითებდა ივანე ჯავახიშვილი და აღნიშნავდა, რომ ამის ერთ-ერთ საუკეთესო დამამტკიცებლად სწორედ ძველ სამეგრელოში სახელგანთქმულ ჭყონდიდს თვლიდა, რაც მეგრულად **„დიდ მუხას“** ნიშნავს და, მეცნიერის აზრით, უეჭველად მიუთითებდა ამ ადგილას მუხის მსახურების სალოცავი ადგილის არსებობაზე (ჯავახიშვილი I, 1979: 134). წმინდა ხე ასოცირდებოდა სიუხვესა და ნაყოფიერებასთან. ამასათანავე, ხესთან ასრულებდნენ რიტუალებს და შესთხოვდნენ პირუტყვის მომრავლებასა და დაცვას, გვარის გამრავლებას, მეთემეთა ჯანმრთელობას და ა. შ. (კეკელია 2008: 34; მისივე 2009: 10).

ჭყონდიდის კერპის განადგურებას გადმოცემები ქრისტეს ერთ-ერთი მოციქულის – ანდრია პირველწოდებულის სახელს უკავშირებს (ელიავა 1962: 14-18; მისივე 1971: 41-43; მისივე 1977: 102, 103; დამბაშიძე 4, 2001: 93-100; მისივე I, 2008: 131-142). მარტვილის ეკლესიის ტრაპეზი თითქოს იმ მუხის გადანაჭერზე უნდა იყოს დადგმული, რაც ანდრია მოციქულს მეგრელთა ქრისტიანულ რჯულზე მოქცევისას მოუკვეთია. დიუბუას აზრით, ამ ფაქტის სისწორეს მოწმობს ის, რომ მარტვილის საკერპო ტაძრის ნამტვრევები იმჟამინდელი ტაძრის კედლებშიც იყო ჩაყოლებული (თაყაიშვილი 1993: 3).

წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ მარტვილის უწინდელი სახელწოდება სწორედ ჭყონდიდი იყო. VIII საუკუნის 30-იან წლებში, არაბთა ლაშქრობის შედეგად იავარქმნილი ტაძარი X საუკუნეში საფუძვლიანად აღუდგენია ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგი II-ს, რომელსაც ჭყონდიდი საეპისკოპოსო კათედრად გამოუცხადებია (ჩუბინაშვილი I, 1961: 139; ელიავა 1962: 20-23). როგორც ჩანს, თავდაპირველად VI-VII სს. ყველა წმინდანის (**„მარტუილთა“**) სახელზე აგებული ტაძარი, სწორედ X საუკუნიდან, მეფე გიორგის მიერ მისი აღდგენის შემდეგ, იწოდა მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრად, რომლის სახელსაც ატარებს დღესაც (კეკელია 2009: 13-14).

მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ოდიშის სამღვდელოებაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ მაღლობზე მდებარე მარტვილის ეკლესია **„აშენებულია წმინდა მოწამეთა (შანტი არტირი) სახელზე. მისი ეპისკოპოსი იწოდება ჭყონდიდელად“** (ლამბერტი 2011: 138).

პავლე ალეპოელი (ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსის შვილი) წერს, რომ სამეგრელოში ექვსი ეპისკოპოსია: ჭყონდიდელი (Скоиндел),), მოქველი (Мукуел), ბედიელი (Бедиел), ცაიშელი, ხოფელი (Хунел) და დრანდელი (Трандел), და იქვე დასძენს: „В первой еп[и]ск[о]пии, который имянуется и Мартуил зане обретаеца тамо кроме чеснаго древа едина рубаха окровавлена от тех младенцев, которых побил Урод за Хр[и]ста, а имя тому младенцу выло Мартуил“ (მასალები 1973: 71).

სულხან-საბას განმარტებით მარტვილი//მარტვირი ლათინთა ენაზე **„მოწამეს“** ნიშნავს, **„ხოლო მესხნი ყრმასა უწოდენ“** (სულხან-საბა 1928: 197). ყმაწვილის მნიშვნელობით ხმარობს ამ სიტყვას სხვაგანაც: **„მისის ზღუდისა კედელი მეფეთ თავითა გებული, მისი ზღვა მარტვილთ სისხლითა აღსავსე, წითლად ღებული“** (სულხან-საბა II, 1962: 262).

მარტ რი, მარტ ლი ძველ ქართულში ბერძნულიდან შემოსული სიტყვაა და **„მოწამეს“** ნიშნავს. იგივე მნიშვნელობა აქვს ძველ ბერძნულშიც. მარტვილ- ფუძისაგან ნაწარმოები, რელიგიური ცნების გამომხატველი სიტყვა სამარტ ლე//სამარტ რე, ი. აბულაძის განმარტებით აღნიშნავს **„მარტვილთა სახელობის ან აღსრულების ადგილს ნაგებობით“** (აბულაძე 1973).

მკვლევარ ნარგიზა სურმავას მსჯელობით, აჭარულში დამოწმებული სამარტვილო ბავშვთა ერთგვარი დაავადების აღმნიშვნელია და სალიტერატურო ენაში **„საყმაწვილოს“** სახელით ცნობილი დაავადების შესატყვისია. ყმაწვილის მნიშვნელობით **„მარტვილი“** აჭარულ კილოში ამჟამად არ იხმარება და გაქვავებული სახით მხოლოდ შელოცვებში გვხვდება (სურმავა VI, 1987: 49-50).

ნიკო მარის მოსაზრებით, მარტვილის ეკლესია უნდა აეგო იბერ-ეგრისელთა პირველ მიტროპოლიტს. აგათანგელოსის ცნობაზე დაყრდნობით ნ. მარი შენიშნავდა, რომ იერნარხე დაკავშირებული იყო სებასტიელ ორმოც მოწამესთან. მათი ნეშტების მოპოვებასა და დაკრძალვაში მონაწილე მიტროპოლიტს ეგრისში მღვდელმთავრად გახდომის შემდეგ მოწამეთა პატივსაცემად პირველი ეკლესია სწორედ მარტვილში უნდა აეგო, რადგან ბერძნული **„მარტურ“** ქართულად **„წამებას“** ნიშნავს. მაგრამ იმ ფაქტს, რომ მარტვილის ტაძარი დღეს ღვთისმშობლის სახელს ატარებს, მკვლევარი ვახტანგ გოილაძე შემდეგ ახსნას უძებნის: გამორიცხული არაა, რომ ტაძარი ორმოც წამებულთა პატივსაცემად აეგო ეგრისის პირველ ეპისკოპოსს (გოილაძე 1991: 122). გ. მჭედლიძე დასძენს, რომ ღვთისმშობლის მიძინების სახელი მარტვილს მოგვიანებით ეწოდა, მაგრამ თვით სახელწოდება **„მარტვილი“** ხალხს მეხსიერებაში ტოპონიმის სახით დარჩა (მჭედლიძე, კეზევაძე 2008: 31).

ჰიდრონიმი **„აბაშა“.** ბანძისა და ჭყონდიდის აღწერის შემდეგ ვახუშტი ეხება ჰიდრონიმ **„აბაშის“** ეტიმოლოგიას: **„ამათთა** (ბანძისა და ჭყონდიდის – ი. კ.) **დასავლით დის მდინარე აბაშა, პირველ სხვის სახელით წოდებული. შემდგომად, მოიქცა რა ანაკოფიიდამ მურვან ყრუ, აქ დაბანაკებულთა მოაშთო ამან პ-ჩ აბაში, და მიერითგან იწოდა აბაშა... ესე სიგრძით არს ტეხურის შესართავამდე. გამოსდის კავკასს, ოდიშსა და სვანეთს შორისს, და დის ჩდილოდამ სამ რით. არა არს მას შინა თევზი, თ ნიერ კალმახისა“** (ვახუშტი IV, 1973: 776-777).

აბაშის სათავედ ვახუშტი კავკასს ასახელებს. კავკასი, კავკასეთი იგივე კავკასიონია. მეცნიერის მსჯელობით, აბაშისა და ტეხურის სათავეები კავკასიონის მთავარ ქედზე კი არაა, არამედ იმ ქედზე, რაც წარმოადგენს ოდიშის ჩრდილოეთ საზღვარს: **„თაკვერსა და ოდიშს შორისი მთა, კავკასიდამ ჩამოსული სამ რით და კუალად თაკუერიდამვე წარსრული კავკასი ჩდილოთ, ვიდრე ეგრისის სათავემდე, ოდიშსა და სუანეთს შორისი“** (იქვე: 776).

აბაშა სათავეს იღებს ასხის კირქვული მასივის სამხრეთ ნაწილში, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მისი სათავე-მდგენლებია ტობა და რაჩხისწყალი. მდინარის სიგრძე 66 კმ-ია და მარცხენა მხრიდან უერთდება ტეხურს ზანათის ტერიტორიაზე. მემატიანის ცნობით, მდინარის სახელწოდება VIII საუკუნის 30-იან წლებში ეგრისის სამეფოში არაბთა ლაშქრობის ისტორიას უკავშირდება. ჯუანშერი თავის თხზულებაში მოგვითხრობს: **„...აღდგეს მდინარენი სასტიკად, და მიმართა უმცროსმან წყალმან სპასა აბაშთასა, და წარიღო მათგან მკუირცხლი ოცდასამი ათასი. და მიერითგან სახელ-ედვა ორთა მათ მდინარეთა: ერთსა ცხენისწყალი და ერთსა აბაშა“** („ქ. ცხ.“ I, I, 1955: 237-238; იხ. აგრეთვე კირთაძე 2012: 93). ასეთივე განმარტებაა მოცემული კარლ ჰანის ნაშრომში, სადაც ვკითხულობთ: „Абаша приток Техура, получиль названые отъ того, что въ немъ утонуло 8000 абхазов (абашовъ) узъ войска арабского полководца Мурванъ-кру“ (ჰანი 1909: 2).

ვახუშტი მიიჩნევს, რომ **„აბაშა“** მდინარის გვიანდელი სახელწოდებაა. არაბთა ლაშქრობამდე მდინარე **„პირველ სხვის სახელით“** ყოფილა ცნობილი, მაგრამ კონკრეტულად თუ რა სახელით, ამის შესახებ მეცნიერი არაფერს ამბობს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ **„აბაშა“** ამ მდინარის ქვემო წელის, კერძოდ, იმ მონაკვეთის სახელწოდება უნდა ყოფილიყო, რაც აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. ძველი აბაშის მიდამოებიდან ტეხურის შესართავამდე მდებარეობს (სიხარულიძე №1, 2003: 3). თუ გავითვალისწინებთ ნ. ბერძენიშვილის აზრს იმის შესახებ, რომ მდინარეს სახელს ადგილი აძლევს, მაშინ ჰიდრონიმი **„აბაშა“** შესაძლებელია მეტონიმიის გზით (გეოგრაფიული სახელწოდების უშუალოდ მომიჯნავე ობიექტზე, ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში – სოფლის სახელწოდების მდინარეზე გადატანით) მიღებულად ჩავთვალოთ.

თუკი **„აბაშის“** მდინარის ქვემო წელის აღმნიშვნელ სახელწოდებად მიჩნევის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას მართებულად მივიჩნევთ, მაშინ შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ზემო წელზე მდინარე უეჭველად იმ მთის სახელით უნდა ყოფილიყო ცნობილი, საიდანაც სათავეს იღებს. ასეთი კი რაჩხის მთაა. აბაშის მარცხენა მდგენელის – ტობას პარალელურ სახელწოდებად ჩაწერილი გვაქვს აგრეთვე ტოპონიმი **„ტანწყარი“.** შესაძლებელია ამ ორი ტოპონიმიდან ერთ-ერთი აბაშის ზემო წელის სახელწოდებად გვევარაუდა. საველე ძიებით მომავალში ამ ხეობის შუა წელის სახელიც შეიძლება გამოვლინდეს (სიხარულიძე, კეკელია VI, 2012-2013: 292).

მიაჩნიათ, რომ ჰიდრონიმ აბაშაში აბა/-ბა ელემენტი ადამიანის საკუთარ სახელს, ხოლო -ში/-შა მაწარმოებელ სუფიქსს უნდა წარმოადგენდეს (აბა-ში>აბა-ში-ა–>აბაშა–>აბა-სი, ე. ი. აბაშა **„აბას სამკვიდროდ, სამფლობელოდ“** მოიაზრება (ხუხუა XVI, 1972: 19).

იგორ კეკელია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

1990 წლის 28 ოქტომბერი და დღევანდელი საქართველო

1990 წლის 28 ოქტომბერი – საქართველოს უახლესი ისტორიის ნათელი ფურცელია. ეს ის დღე გახლავთ, როდესაც ქართველმა ერმა, მთელი მსოფლიოს თვალწინ, სამოცდაათწლიანი ბნელეთის, ათეისტური, ბოლშევიკური წნეხის პირობებში, პირველად, ჭეშმარიტად დემოკრატიული, მრავალპარტიული, ლეგიტიმური, საყოველთაო არჩევნები ჩაატარა და ამ არჩევნებში ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ, მისი უცილობელი პატრიარქის – ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით გაიმარჯვა.

28 ოქტომბერი არის დღე აუტანელი მონობის მსხვრევის დაწყების, მართლმადიდებელი ქრისტიანი ერის ერთობის დღე... ამ დღემ ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას საქართველოს სახელმწიფოებრივი (1991წ. 9 აპრილი) დამოუკიდებლობა მოუტანა. მაგრამ საქართველოს უბოროტეს შინაურ თუ გარეულ მტერს **„ფარხმალი არ დაუყრია“** და საქართველო კვლავ ბნელეთის სამყაროში სურს ჩაძიროს, რათა შეაჩეროს ქვეყნის განვითარების ბუნებრივი გზა.

სამხედრო კრიმინალურმა, მაფიოზურმა სახელმწიფო გადატრიალებამ ანუ პუტჩმა კვლავ უბედურება დაატეხა ჩვენს სამშობლოს. პუტჩის მიერ **„მოყვანილმა“** ტერორისტულ-მაფიოზურმა რეჟიმებმა, ყველანაირი დანაშაულებისა და უკანონობის ჩადენის გზით, მოახერხეს ის, რომ არ შემდგარიყო, ერთიანი სამართლებრივი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და ჩვენი მტრების საწადელი, ნანატრი ოცნებაც აეხდინათ.

კომიტეტი მიიჩნევს, რომ თუ არალეგიტიმური **„ხელისუფლებების“** პარპაში ასე გაგრძელდება საქართველოში, საქართველო როგორც არშემდგარი სახელმწიფო, მსოფლიო პოლიტიკური სივრციდან გაქრება, რისი ნიშნებიც უკვე იკვეთება. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნულმა კომიტეტმა არაერთხელ მიმართა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს – ჩვენი სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტს, შეესრულებინა თავისი კონსტიტუციური მოვალეობა – გაემართა უზენაესი საბჭოს სესია და საქართველოში დღეს განვითარებული მოვლენების პოლიტიკური შეფასება მოეხდინა. ეს მათი კონსტიტუციური უფლებაა, მათ ამის იურიდიულ-სამართლებრივი უფლებ-მოვალეობა გააჩნიათ, მაგრამ სამწუხაროდ, ისინი ბოლო დროს, დუმილს ინარჩუნებენ. ისიც უნდა ითქვას, რომ, მათი მხრიდან, ჩვენს ლეგიტიმურ მიმართვას არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია, ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს, მათ არ აღუდგინიათ (1998 წ.) დე-იურედ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და არც უზენაესი საბჭოს დეპუტატები არსებობდნენ.

დუმან უზენაესი საბჭოს დეპუტატები, მაგრამ ეს არ გახლავთ დუმილი ფიქრის – მოქმედების დაწყების წინ. აღნიშნული ქმედება უფრო ღალატს წააგავს, უფრო მეტიც ეს არის **„მართული უმოქმედობის“** დუმილი, რაც ქვეყნის ლეგიტიმაციისათვის კატასტროფას ნიშნავს და ამას ჩადიან ის დეპუტატები, რომელთაც თავისი თვალით ნახეს, თუ რის ფასად დაუჯდა ეროვნულ-გამათავისუფლებას მოძრაობას და მათ თვდადებულ ლიდერებს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ქართველ ხალხთან ერთად ქვეყნისათვის ნანატრი თავისუფლების მოტანა. საქართველოს პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია ხომ საქართველოს რესპუბლიკის თავისუფლებასა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენის ბრძოლას შეეწირა.

ეროვნული კომიტეტი კიდევ ერთხელ დაბეჯითებით მოუწოდებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ ალექსანდრე ჟღენტს, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს და იმ დეპუტატებს, ვისაც არ უღალატია ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მრწამსისათვის, დაუყოვნებლივ მოიწვიონ კონსტიტუციით განსაღვრული სესია და შეუდგნენ მათთვის საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით მონიჭებული უფლება-მოვალეობის აღსრულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯაროდ გააკეთონ განცხადება, თუ რა მიზეზით ფერხდება სესიის მოწვევა და საქართველოს მოსახლეობას აუწყონ, რომელმაც ისინი აირჩია 28 ოქტომბრის საყოველთაო არჩევნებით, რომ ისინი წყვეტენ თვიანთ უფლებამოსილებას და ამიერიდან აღარ იწოდებიან დეპუტატებად. ამის შემდეგ ქართველი ერი მათ მისცემს სათანადო კვალიფიკაციას და მათ მიმართ არავითარ მოლოდინებს, ქართველი ხალხის მხრიდან, ადგილი არ ექნება.

ჩვენ უფრო მკაცრნი ვიქნებით ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელთა, 9 აპრილის დამოუკიდეებლობის დეკლარაციაში გამჟღავნებულ პრინციპების მოღალატეთა მიმართ, ვიდრე პუტჩისტების მიმართ, რამეთუ **„ვისაც მეტი მიეცა, მას მეტი მოეთხოვება“**, ჩვენ ვართ ისინი, რომელსაც არცერთ დონეზე პუტჩისტური ხელისუფლებები არ უღიარებია.

მოგმართავთ თქვენ, ბატონო ალექსანდრე, თქვენ ბრძანდებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მოვალეობის შემსრულებელი, თქვენ გერგოთ ეს დიდი პატივი და უდიდესი პასუხისმგებლობა, მაგრამ თქვენი რეალური მოქმედება არსად არ ჩანს.

საერთაშორისო შეთქმულება – პუტჩი, რომელიც მაოხრებელ შევარდნაძის მეთაურობით სიგუამ, კიტოვანმა და ჯაბა იოსელიანმა ქვეყნის წითელ ინტელიგენციასთან ერთად განახორციელეს, და რომელიც მ. სააკაშვილმა გააგრძელა, ხოლო დღეს ივანიშვილ-ღარიბაშვილის გუნდი აგრძელებს, ჯერ არ დამთავრებულა. მათი შემჩერებელი პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი კი დუმს. როგორც საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გამოაცხადა ჩვენი ქვეყნის შინაურმა თუ გარეულ მტერმა, თვითმკვლელ პრეზიდენტად, ასევე მათი სურვილია (ოცნება), რომ საქართველოს უზენაესმა საბჭომაც იუდა ისკარიოტელის მსგავსად, პოლიტიკური თვითმკვლელობით დაასრულოს თავისი არსებობა.

მოგმართავთ, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ალ. ჟღენტს, დეპუტატებს: იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ბ. აფრასიძეს (დადეშქელიანი), ტ. ფუტკარაძეს, გ. მაქაცარიას და დანარჩენ დეპუტატებს: ნუ გაიზიარებთ იუდა გამცემლის ხვედრს.

ქართველი ერი თავისი ქვეყნის ისტორიაში ამხელდა და კლავაც ამხელს ქვეყნის მტრებსა და მოღალატეებს. ქართველ ერს არასოდეს უთქვამს და არც იტყვის უარს თავის სახელმწიფოებრიობაზე, იგი არ დათმობს ჩვენ წინაპართა, მე-20 საუკუნის მამულიშვილთა, 90-იანი წლების თავგანწირულ გმირთა სისხლით მოპოვებულ (1990 წლის 28 ოქტომბერს, 1991 წ. 9 აპრილის) საქართველოს დამოუკიდებლობას და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას, რომელიც აგერ უკვე 23 წელია ფეხქვეშ ითელება და ჩვენი ქვეყანა მსოფლიო შარაგზაზე იყიდება.

„გაუმარჯოს დამოუკიდებელ, ერთიან, მართლმადიდებლურ უძლეველ დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკას!

ჩვენთან არს ღმერთი და ჩვენთან მარადის იქნება ღმერთი!“ (ზვიად გამსახურდია).

ეროვნული კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს სახელით:

ბიორგი კავკასიელი (კერვალიშვილი),
კომიტეტის მთავარი კოორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დამცველი;

ბესო (ბესარიონ) მიქავა,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე;

მამა ილარიონი (ჯანელიძე)

ნანა კახიანი,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრეს-მდივანი;

ზურაბ ქობალია,
ჟურნალისტი;

მზია ბაძრაძე,
პოლიტდევნილი, ჟურნალისტი;

გოგი სოიტაშვილი,
პოლიტდევნილი

ეგრისობის ზეიმი სენაკში

მადლობა უფალს, საქართველოს ყოველ კუთხეს საკუთარი სიდიადე და ბრწყინვალება მოსავს. სწორედ ეს მრავალმხრივი სიდიადე უხსოვარი დროიდან ადუღაბებს ქართველ ერს და, ურიცხვ მტერთა თარეშისა და ძნელბედობის მიუხედავად, გაუტეხელი დარჩა მათი ერთგულება და სარწმუნოებრივი ერთობა. ქრისტეს შობამდე და შემდგომ, შვიდი საუკუნის განმავლობაში ეგრისი წარმოადგენდა სრულფასოვან სამეფოს, რომელიც დასავლეთ საქართველოში ქმნიდა კულტურულ და ეკონომიკურ პოლიტიკას. მას ჰქონდა საგარეო და სამხედრო კავშირი უდიდეს ირანისა და ბიზანტიის იმპერიებთან, სისტემატიურად ეპაექრებოდა მათ და სხვა მეზობელ სამეფოებთან ურთიერთობაში ინარჩუნებდა საკუთარ განუმეორებელ კოლორიტსა და დიდებას.

როცა აღმოსავლეთ საქართველოში დაწინაურდა მცხეთა და ფეხს იკიდებდა იბერიის სამეფო, დასავლეთ საქართველოში მძლავრობდა ეგრისი. ეს თანხვედრა კარგად გამოიყენა ფარნავაზმა და მტერზე გასამარჯვებლად გვერდში ამოიყენა ქუჯი. საკუთარი და მიათხოვა მას, მიიღო მისგან საჭირო დახმარება და საფუძველი ჩაეყარა ერთიან ქართულ სახელმწიფოს. და ის ბალავარი, რომელსაც ქუჯიმ და ფარნავაზმა მტკიცე საფუძველი მისცეს, შემდგომ არასდროს დარღვეულა. ამის მაგალითია ვახტანგ გორგასლის, გურგენ მეფისა და სხვათა ძნელბედობის ჟამს ეგრისში გახიზვნა და თანადგომის მიღება. იყო პირიქითაც.

სახალხო ზეიმი ეგრისის მთავარ ქალაქ **„ციხე-გოჯის“** აკროპოლისში გაიმართა. სამგალავნიანი ყოფილი ციხე-ქალაქი სტუმრებს ვერ იტევდა, სამეგრელოს ყველა რაიონმა წარმოადგინა საკუთარი კუთხე, რომელსაც ამშვენებდა შემოდგომის ნობათი, ხელნაკეთობები, ხალხური რეწვის ნიმუშები. სამეგრელოში მოღვაწე მხატვართა ნამუშევრები. ლაღად ისმოდა ფოლკლორული ანსამბლების მიერ შესრულებული ხმატკბილი მეგრული ჰანგები.

ათასობით ჩამოსული სტუმარი მოწმე გახდა ჭადრაკში, ჭიდაობასა და ცეკვაში ახალგაზრდების შემართულად შეჯიბრებისა. ეგრისობის სახალხო ზეიმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პრემიერ მინისტრმა, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა. რომელმაც ბრძანა, რომ ეს არ არის მხოლოდ ერთი კუთხის ზეიმი, არამედ ეს არის ქართველთა ერთად ყოფნის სურვილი. რომელსაც საფუძველი ჩვენმა ბრძენმა წინაპრებმა, ფარნავაზმა და ქუჯიმ ჩაუყარეს. ნიჭიერი ერი განვითარდება და გაძლიერდება. ამის საფუძველს გვაძლევს ბევრი რამ, მათ შორის საწარმოების გახსნა და ის ბუნებრივი რესურსი, რაც ტურიზმის განვითარების პოტენციალი გვაძლევს. პრემიერმა მოსახლეობას მისცა პირობა, რომ ეგრისობა გაიმართება ყოველწლიურად და იგი უფრო და უფრო დიდ მასშტაბს მიიღებს.

მსახიობებმა გააცოცხლეს უძველესი ისტორიული კადრები, ფარნავაზისა და ქუჯის შეყრის სცენა. რაც შთამბეჭდავი და უმთავრესი შტრიხი იყო საქართველოს ერთიანობისა. იმპროვიზირებულ ჩვენებაში მონაწილეობდნენ შემოქმედებითი კოლექტივები სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტებიდან.

ზეიმზე ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა მურმან ჯინორიამ და დიმა ჯაიანმა. საკუთარი ხელოვნება წარმოადგინეს ჯგუფმა შავფაროსნებმა და სენაკისა და ჩხოროწყუს ცეკვის ანსამბლებმა.

ზეიმის ბოლოს აირჩიეს სენაკის საპატიო ადამიანები: ცნობილი მხატვარი, რეზო ადამია, სენაკის საკრებულოს წევრი დამირ კუჭავა, ექიმი პაატა ქურდოვანიძე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე დავით ლომიტაშვილი და ქართულ-ებრაული ცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი მწერალი ლილი გაგულაშვილი.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ,
ᲡᲔᲜᲐᲙᲘ

არ დავიწყება მოყვრისა...

2014 წლის 1 სექტემბერს საზოგადობა „აბაშელის“ ინიციატივით შეიქმნა ფონდი „მადლიერება“, რომლის მიზანია ქ. აბაშაში, ეროვნული გმირების „ზვიადის და მერაბის“ სახელობის პარკში, დაიდგას მათდამი მიძღვნილი არქიტექტორული ძეგლი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ფონდის წარმომადგენლები შეხვდნენ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ პაატა ქურდოვანიძეს და გამგებელს ბატონ მამუკა კვიტაშვილს, რომლებმაც ფონდს აღუთქვეს სრული თანადგომა. გადაიდგა პირველი ნაბიჯიც, საკრებულოს პირველივე სხდომაზე განხილულ იქნა ეს საკითხი და შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ბატონ გელა ხოშტარიას თავმჯდომარეობით.

ძვირფასო მამულიშვილენო, ვისთვისაც ძვირფასია ერის მამის ილიას „მამული, ენა და სარწმუნოება“ ანდერძისთვის თავგანწირული ბრძოლის მაგალითის მომცემი ზვიადის და მერაბის სახელი, ვინც ღირსეულად აფასებთ მათ შემოქმედებას, ღვაწლს ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობაში და პატივს სცემთ ჩვენი კუთხის შვილებს, გთხოვთ ფონდი „მადლიერების“ ანგარიშზე (ლიბერთი ბანკი 69 0115182664028001) ჩარიცხოთ თანხა, რომ შეიქმნას სახსრები პროექტზე კონკურსის ჩასატარებლად და გამარჯვებული პროექტის განსახორციელებლად.

“კეთილი გულით მცირედიც შეიწირების“!

პატივისცემით ფონდი „მადლიერების“ წევრები:

ვახტანგ კეკელია,
საზოგადოება „აბაშელი“;

მერაბ მიმინოშვილი,
საქ. „ჰელსინკის კავშირი“ აბაშის განყოფილება;

ნუგზარ ქობულია,
საქ. „ჰელსინკის კავშირი“ აბაშის განყოფილება;

ტარიელ ანდღულაძე,
საზოგადოება „ილია მართალი“ აბაშის განყოფილება;

ალექსანდრე მუჯირი,
„ეროვნული მოძრაობის ვეტერანთ კავშირი“ აბაშის განყოფილება;

გელა ხოშტარია,
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო;

შაქრო ტყვაცირია,
აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა

დუდიშია გერგენჯი

ირ ნაონდღერს სკოლაშე დორთელ ბაღანეფი გერგენჯიშ ბაღიშა მინმიშეს დო თექ ლაცაფენდეს. თენა რდგ დიდი, სქვამი ბაღი, ლიბუ, რწვანე ოდიარეთ ფორილი. ექი-აქო ოდიარეს მურიცხეფჯგურა გოსოფურ პეულეფი მიშარჩქუდგ დო თექ ვითოჟირ ატამაშ ჯა გეჩანდგ, ნამუთ გიშულირს ვარდიშფერ დო სადაფიშფერ ჰამო პეულეფო პირანდგ დო დამორჩილს დოზურზილი ნაცოფი მუკმოუღუდგ. ჯალეფს ჩიტეფი ამახედეს დო თინერ ჰამას ღურჭულანდეს, ნამდა ბედინერ ბაღანეფი ლაცაფის მითმიოტალენდეს, თინეფშა ქომოურჩქილუაფუდესკონ თიშენ. – მუ ბედინერეფი ვორეთ ათაქ,– გინმაძახანდეს თინეფი ართიანს. ართ დღას გერგენჯიქ დირთგ ცუდეშა, თინა მუშ კორნუოლარ კოჩიშმაჭკომალი მაცალეშ ოძირაფუშა რდგ ულირი დო თექ შქვით წანას მითორედგ. მუშ რაგადით ოზალუდგნ, ირფელ ქოთქუ თე შქვით წანას დო ანწი ორაგადე ელიებუდგნ, გინოჭყვიდგ მუშ დორხველ დოხორეშა დირთუკონ. აშ დორთელქ ბაღანეფი ქოძირგ, მუშ ბაღის ენოლაცაფენდესგნ. – თაქ მუს ორთუთ?! – ქოდუღვარუ თიქ გურმოულირო ბაღანეფს დო ინეფქით ინტეს. – ირკოჩს უჩქუდას, ნამდა თე ბაღი ჩქიმიე დო ხვალე ჩქიმი, – თქუ თიქ, – თინა ხოლო უჩქუდან, ჩქიმ მოხ თაქ მითინს ვალაცაფინენ. თიქ ბაღის მაღალი ღანდა ქოგოულუ მუკი-მუკი დო აბრა ქოგითაბუნუ, ნამუსგთ მუკოჭარუდგ:

„ხურგაშ აშო გინულირეფს ჩქიმდა აცინა ოგამბელი“

თინა ძალამი დუდიშია გერგენჯი კოჩი ქორდგ. ცოდა ბაღანეფს ასე ოლაცაფე აკანქ ვა დასქიდეს სოთინ. ართ შვანობას შოშეს ლაცაფი ქოცადეს, მარა შარა ძალამ ნტვერამი რდგ დო ართო როხით რდგ მოფშან, ბაღანეფს ვა მოწონდეს თენა. ჭიჭელეფი მაღალი ღანდას მუკი-მუკი ულუანდეს, მუჟამც გურაფა გეთებუდუ დო იჩიებუდეს გოსოფურ ბაღშენ, ნამუთ დანდაშ მიკე უწონებუდესგნ. – მუ ბედინერეფი ქოვორდით ათაქ! – ეჩიებუდეს ართიანს.

უკულ აფუნქ ხოლო ქომორთგ დო თელ თი კუნთხუქ ჭიჭე პეულეფით დო ჩიტეფით მიფშგ. ხვალე უბადო გერგენჯიშ ბაღის რდგ დიო ხოლო ზოთონჯი. ჩიტეფს ვაკოდეს თექ ღურჭული, მუშენ-და ბაღანეფი ვარდეს თექ. ჯალეფს ხოლო შურო ვა გოშინუნა თექ გოპეულუა. ართშახ სქვამ პეულქ გეგშაციკინუ დუდი ოდიარეშე, მარა მუჟამც აბრა ქოძირგნ, თეშ ქალაჭგ გურქ ბაღანეფიშ ამბექ, ნამდა კინე დიხაშა გენიდგ დუდი დო ლური გაგინძორგ. ხვალე თირი დო ცინუა რდგ გურბაღინელი. „აფუნს გოჭყოლადგ თე ბაღი,– იძახუდეს თინეფი, – ჩქი ასე შემილებუნა თაქ თელ წარმოწანა ვიუნჩაშათგნ“. თირქ მუშ ჩე მაქუნალით დოფორგ ოდიარე დო ცინქ ვარჩხილიშფერო მოხანტგ ჯალეფი. უკულ თინეფქ დამორჩილიშ ბორია ქოდაპეჯეს დო თიქით ქომორთგ. თინა ქუნჩით რდგ გოფირილი, თელ დღას ცელენით გილაკუმინუნდგ ბაღის დო ოკუმაფუეფს მუთმოსოფუნდგ. „მუ სარკო აკანი რე, – იჩიებუდგ თინა, – კირცხი ხოლო ქოდუვაპეჯათ ოკო“. თაშ ქომორთგ კირცხიქ ხოლო. ირ დღას, სუმ-სუმ საათის დოხორეშ ორთვალს რგიალი მეუღუდგ, სოიშახ დახე ედომშამო ვეკოჩქვაჩქვგ კრამიტინ დო უკულ თელ მუშ ნჭუაფათ ბაღიშ მუკიმუკი ქოდიჭყგ გილარულა. თის ტუტაშფერ მუკაქუნალი მიკაქუნდგ დო ცინჯგურათ რგილას მეუღუდგ შური. – ვა მარჩქილე, თაშ მუშენ იგვიანუანს აფუნინ,– იჩიებუდგ ოსინთეწკგმა დოხუნელი უბადო გერგენჯი დო მუშ ჩე ბაღის გეგთაჯინედგ, – მენდი მიღგ გოტაროზანსინ. მარა აფუნც ვა მოურთუმგ, ვართ ზარხულს. დამორჩილქ ქრავაშფერ ხილით გასქვამგ არძა ბაღი, მარა გერგენჯიშ ბაღშო მუთუნც ვა მასქიდგ. „გერგენჯი ძალამი უბადო კოჩი რე,“ – თქუ დამორჩილქ. თაშ ნამდა, გერგენჯიშ ბაღის ირო ზოთონჯი რდგ დო დამორჩილიშ ბორიას დო კირცხის, ცინუას დო თირს გვალო ფსუა აფუდეს ჩანაფილი თაქ. ართ ოჭუმარეს გერგენჯი ჯანუდგ. ვარულუაფუდგ. უნელო, გოსოფურ მუსიკაქ ქელარჩქილგ. ეჰამგ თე მუსიკაქ დო იფირქგ, ალბეთ, შარას მალი მაფაშ მემუსიკეეფი იცინანია. თახმო თენა რდგ ჭიჭე გურმეჭვია, ნამუთ მუშ ოსინთეშ მინი ღურჭულანდგნ. მარა გერგენჯის თიზგმა ხან ქორდგ მუშ ბაღის ჩიტიშ ღურჭული ვა მოურჩქილუაფუდუნ, თე ბირა თელ დიხაუჩას არაშე უჯგუშ მუსიკათ მირჩქინგ. კირცხიქ ორთვალც სხაპუა მეჭყვიდგ, ოორუეშ ბორიაქ მიოტუ ცელენი დო სარკო შურქ მინილგ გონჯამილ ოსინთეშე. „მუჭოთ იცუნ, გეზარხულგ“ – თქუ გერგენჯიქ, გემწოსხაპგ ონჯირეშე დო გალე გიმილგ.

მუ ძირგ თიშ თოლეფქ? გასასორებელ სურათი ქოძირგ. ბაღანეფს კიდალას ჭიჭე გითოტახილ აკანი ქოუძირუდეს დო ბაღშა გემნოუტყობუდეს. არძა ჯას, ნამუსით თოლი ქაკინდუ გერგენჯიქგნ, თითო-თითო ბაღანა გილახედგ დო ჯალეფს თეშ ოხიოლგდეს ბაღანეფიშ დორთა, ართო პეულეფით დიფორეს დო ჰამას უქანცუანდეს ცალეფს. ჩიტეფი გილაფურინუნდეს დო ართო ადორებულეფი ღურჭულანდეს. პეულეფი რწვანე ოდიარეშე ოცქვირინანდეს დო იძიცანდეს. სარკო ოძირაფუ რდგ. ხვალე ბაღიშ ართ ნორთის დიო ხოლო ზოთონჯი რდგ. თენა რდგ ბაღიშ უსქვამაშ კუნთხუ. თაქ ართი ჭიჭე ბოში გერედგ. თინერ ჭიჭე რდგ ჯაშ ცალეფი ვა მაჭირინედგ, ათეშ გურშენ ჯას მუკი-მუკი ულუანდგ დო კონწარას ინგარდგ. ცოდა ჯა კინე ცინით დო თირით ორდგ ფორილი. ოორუეშ ბორია ირქენდგ დო გილერგინუდგ თიშ დუდს. – გეშახოხი, ჭიჭე ბოში,– თქუ ჯაქ დო მუთ შეულებუდუნ გიმე დოუკუნგ მუშ ცალეფს, მარა ბოში გვალო ჭიჭე რდგ. თე ოძირაფუობაქ გერგენჯის გურ გოუტიბუ. „მუ უბადო ბცოფექ,– თქუ თიქ, – ასე ქომიჩქგ, მუშ გურშენ ვა მიძირუ აფუნქგნ. თე ცოდა ბოშის ჯაშ წვანდის ქოგუმუვოხუნუა, უკულ ღანდას გაკუვორღვა დო ჩქიმ ბაღი ბაღანეფიშ ოლაცაფე მოედანი იცუაფგ ირო“. გერგენჯის დასურო ონარღებელო გინორთუმუდგ მუშ ნაქიმინა. თიქ ცაცაფით გიმილგ თუდო, შურუქალუო გამუკანჯგ წოხოლენ კარი დო ბაღშა მინილგ. მარა ბაღანეფქ ქოძირესგნ, თეშ აშქურინეს, არძაქ ინტგ დო ბაღის კინე დეზოთონჯგ. ხვალე ჭიჭე ბოშის ვა უნტინგ, თის ჩილამურით აფუდგ ეფშა თოლეფი დო მუშა მუმალი გერგენჯი ვა ძირგ. გერგენჯიქ ნარას ქომიოტყობგ თის, ჰამას ქისხუპუ ხეშა დო ჯას ქოგუმახუნუ. ჯაქით ხათე პეულეფო გოფაშქგ, ჩიტეფქ ქომოფურინეს დო ღურჭული ქოდიჭყეს. ჭიჭე ბოშიქ ჟირხოლო კილე გოფაჩგ, გერგენჯის ხურხის ქახუტოლგ დო ქაჯუნგ. შხვა ბაღანეფქ ქოძირეს, მუჭო გერგენჯი ვა რღვინჯენდგნ, უკახალე ქომირულეს დო თინეფწგმა ართო მუნილგ აფუნქ ხოლო. – ანწიან წიმი თე ბაღი თქვან რე, ჩქიმ ჭიჭელეფი, – თქუ გერგენჯიქ, გეჭოფგ დიდ არგუნი დო ღანდა გაკარღვგ. ნაონდღერს ბაზარცურე მაველ კათაქ ქოძირგ ბაღანეფწგმა ართო მოლაცაფე გერგენჯი უსქვამაშ ბაღის, მუდგაშ მანგი, დღას სოთინ ვაუძირუდესგნ.

ჭიჭელეფი თელ დღას ლაცაფენდეს დო ონჯუა ბორჯის ჯგირობუაშ დაჩინუშა ქომორთეს გერგენჯიშა. – სო რე თქვან ჭიჭე მაცალე? – იკითხგ თიქ,– თი მაბოშია, მა ჯას გიმუვოხუნენ, – გერგენჯის თინა არძოშე უმუსო უცორდგ, მუშენ-და თი ჭიჭე ბოშიქ აჯუნგ თის. – ვა მიჩქუნა,– უგამეს ბაღანეფქ,– იქ მიდართგ. – ქოუწით, ჭუმე ხოლო ქომორთასინ, – თქუ გებენქ, მარა ბაღანეფქ უგამეს, ვა მიჩქუნანია სო ოხორანსია თი ჭიჭე ბოში, წოხოლე დღას ვა მიძირგნანია თინა. გერგენჯიქ ძალამო მოფირტვონდგ. ირ ნაონდღერს, სკოლაშ უკულ ბაღანეფი მითმიშეს დო ულაცაფუანდეს გერგენჯის, მარა თიშ ოცოროფულ მაბოშია ვა რჩქუდგ. გერგენჯი ირო ჩეეიერო ორყუდგ არძა ბაღანას, მარა ძალამს ოკოდგ მუშ მაართა მაცალეშ ძირაფა დო ირო თიშე იჭყანდგ ჩიებას. – მუჭო გუმახარენდგ თიშ ძირაფა,– თქუანდგ თინა.

მიკილგ წანეფქ, გერგენჯიქ ძალამო დირჩინგ, ჭყანა ვა უღუდგ, ლაცაფი ხოლო ვეშულებუდგ, ვერწემ დახვენჯის ხედგ, მოლაცაფე ბაღანეფს უჯინედგ დო მუშ ბაღიშ სისქვამათ ხარენდგ. – ბრელ სქვამ პეული ხერენს თე ბაღის,– თქუანდგ თინა, – მარა არძაშე უსქვამაშ პეულეფი იშენ ბაღანეფი რენა. ართ ზოთონჯიშ ოჭუმარეს, მუ შვანც ტანშა მიკმიქუნანდგნ, გერგენჯიქ ოსინთეშე გაგმიჯინგ. ასე თის ზოთონჯი ვა ჯოგუდგ, მუშენ-და უჩქუდგ, ზოთონჯი ლურენჯი აფუნი რდგ დო პეულეფი ისვანჯუდეს ხვალენ. უნელო, აცონებულქ თოლეფი გელიფუჩონგ დო დაჩემებულო ქოდიჭყგ ჯინა. დასურო სარკო სურათი რდგ. ბაღიშ უშორაშ კუნთხუს, გოსოფურ პეულეფით ფორილ ჯა გეჩანდგ. ორქოშფერ ცალეფი უღუდგ დო ვარჩხილიშფერ ხილი გოჩანდგ, თიშ თუდო გერგენჯიშ ოცოროფულ ბოში გითორედგ. ხიოლით ეფშა გერგენჯიქ ეშალი გეგმირულგ დო ბაღშა გიმილგ. ნჭაფიერო გეგნოჩართგ ოდიარე დო ბაღანაშა ქომერთგ. გვალო ხოლოშა ქომიანჭგნ, გარღვინჯებაშ გეშა ღვალეფქ გელაჭითარგ: ბაღანას ხეშქაგურს ჟირ ნალისმარი გიოხედგ დო ჭიჭე კუჩხეფს ხოლო ჟირ ნალისმარი უღუდგ. – მიქ გაბედგ სქან ლისმარუა? – ქომიოძახგ გერგენჯიქ, – ქომიწი, ჩქიმ დიდ ყამათ გეფხახე თინან თიშენ. – ვარ! – უგამგ ბაღანაქ,– თენა ხვალე ცოროფაშ ნაჭკირა რე. – მი რექ სი აკა? – ქოკითხგ გერგენჯიქ დო შქურინიშ გეშა ბირგულ ქოდაშქვგ ბაღანაშ წოხოლე. მაბოშიაქ გოუძიცუ დო უწუ: –ართშახ სი ნება მუჩი სქან ბაღის მილაცაფინუდგკონ, ამდღა სი მინილენქ ჩქიმ ბაღშა, ნამუსით სამონთხე ჯოხონ. თიმ ნაონდღერს ბაღანეფქ ქომირულეს დო ჯაშ თუდო ქოგითახვილუეს ღურელ გერგენჯი, ნამუთ ედომშამო ჩე პეულეფით რდგ ფორილინ.

გინმათანგალი ბიორბი ხულორდა

ოსკარ უაილდი

ქუთათურ შემოქმედთა გულისთქმა – “გალაკტიონის სულის ბიოგრაფის საჩუქარი”

ამ სათაურს სულგანათლებულ ვახუშტი კოტეტიშვილს დავესესხეთ, როდესაც შევიტყვეთ, რომ ქუთაისში, თეთრ ხიდთან, მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროს ჩქერებთან, სარაჯიშვილის ქუჩის 47-ე სახლში მცხოვრებ შალიკიანების ოჯახს სტუმრად ქუთაისის საპატიო მოქალაქეები თემურ ძიძიგური, ბენია თხილავა და ალექსანდრე შენგელია ეწვივნენ, რათა გადაეცათ თბილისიდან საგანგებოდ ამ ოჯახისთვის გამოგზავნილი საჩუქარი – ჭეშმარიტად დიდი გალაკტიონოლოგის, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო და **„საბას“** სალიტერატურო პრემიების ლაურეტის, სახელგანთქმული პოეტისა და ჟურნალისტ-გამომცემლის ვახტანგ ჯავახაძის 860-გვერდიანი ერთტომეული **„უცნობი“.**

გამომცემლობა **„ინტელექტის“** მიერ წიგნად აკინძულ და გალაკტიონისეული გრაფიკით დასურათხატებულ ამ კაპიტალურ კრებულს, რომელიც მკითხველებისათვის **„უცნობის“** მეხუთედ წარმოჩენაა, **„გალაკტიონის სულის ბიოგრაფმა“** ამჯერად ასეთი წარწერა წარუმძღვარა: **„ქუთაისი. სარაჯიშვილის 47. სერგო შალიკიანის ოჯახს, დაუვიწყარ მშობლიურ ოჯახს – მარადიული მონატრებით“.**

ამგვარი გულთბილი წარწერა შემთხვევითი არ არის. შალიკიანების ოჯახი ძირძველი ქუთაისელის – ვახტანგ ჯავახაძის ნაფუძვარზე ცხოვრობს. აქედან დადიოდა იგი მისი სახლის მახლობლად, რიონის მოპირდაპირე სანაპიროზე მრავალი დიდი მამულიშვილის აღმზრდელ ქალაქის პირველ საშუალო სკოლაში, რომელიც 1951 წელს ოქროს მედლით დაასრულა. სხვათა შორის აქვე დაიბადა მისი პირველი სტრიქონები სამომავლოდ შესაქმნელი გალაკტიონლოგიისათვის და ეს თავის ყრმობისდროინდელ მეგობრებს ჯერ კიდევ მაშინ გაანდო, როდესაც მათთან ერთად დადიოდა რიონის პირას, თეთრ ხიდთან მდებარე პიონერთა სასახლის ნორჩ შემოქმედთა იმ წრეში, რომელსაც ომიდან ახალდაბრუნებული და ფრონტიდან გამოყოლილი ფარაჯაგაუხდელი პოეტი ვასო გვეტაძე ედგა სათავეში.

მასპინძლებმა დიდი სიყვარულით გაიხსენეს ვახტანგ ჯავახაძის სიყრმის წლები და ის გულითადი სიყვარული, რომელიც არა მარტო ამ ორი ოჯახის უფროს თაობას, არამედ მათ შთამომავლებსაც უახლოესი ნათესავებივით აკავშირებს

ჩემო ვახტანგ! სტატიაზე, მით უფრო რესპონდენტთან საუბრის წინ, არასდროს იმდენი არ მიფიქრია და თითოეულ სათქმელ სიტყვაზე იმდენი არ მიჭოჭმანია, რამდენიც ამ შეხვედრამდე, რომელიც ჩვენთვის, 80-ს გადაცილებულებისათვის, ფაქტობრივად ამგვარი სახის პირველი შეხვედრაა 70-წლოვანი თუ უფრო წინანდელი უმჭიდროესი ურთიერთობის შემდეგ, რომელიც გვაკავშირებდა ქუთაისის პიონერთა სასახლის ნორჩ შემოქმედთა იმ წრის წევრებს, ომგადახდილი პოეტი ვასილ გვეტაძე რომ ედგა სათავეში.

საბედნიეროდ, ეს დიდებული პიროვნება, რომელიც თავისი საუკუნოვანი ცხოვრების ბოლო ათწლეულშიც ახალგაზრდული შემართებით განაგრძობს შემოქმედებით მოღვაწეობას, კვლავ საღსალამათია და საოცრად ახარებს თითოეული სიტყვა, რომელსაც ჩვენგან და ჩვენზე ისმენს და თავისი შემართებით ჩვენც გვამხნევებს, რამეთუ გვარწმუნებს, რომ ჯერ კიდევ შორსა ვართ ფინიშამდე.

მავანი, ალბათ, იკითხავს, მაშ, რა მოხდა? როცა ვჭოჭმანობდი, რა მაფიქრებდა?!

რა მაფიქრებდა და თუნდაც ის, მესარგებლა თუ არა დიქტოფონით, თუ მხოლოდ მეხსიერებისა და საუბრისას ჩანიშნული რამდენიმე საგულისხმო ჩანაწერის იმედად დავრჩენილიყავი?

არჩევანი მეორე ვარიანტზე შევაჩერე, რადგან მიმაჩნია, რომ ის მეტ შესაძლებლობას უქმნის საუბრის ბუნებრიობას. ეს მით უფრო სათქმელია, რომ, ვის ვის და ჩვენგან არც ერთს არ გვესწავლება, რომ წიგნიერება წიგნისა და წერა-კითხვის გარეშე წარმოუდგენელია, არადა, წიგნი და წერა-კითხვის კულტურა ფაქტობრივად უკვე განდევნა კომპიუტერმა და აუდიო თუ ვიდეოჩანაწერებმა, და არ მინდოდა, ნებსით თუ უნებლიედ ამ მღვრიე მდინარებაში ჩვენც მოვხვედრილიავით

პირადად მე არც კომპიუტერისა და არც ვიდეო ჩანაწერების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. პირიქით, ტელევიზიას ბევრ რამეს უნდა ვუმადლოდეთ. მაგრამ ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, მათ შორის თუნდაც სატელევიზიო გადაცემების მომზადებისას ზეპირი და წინასწარ დაწერილი სიტყვით გამოსვლის თანაფარდობას, მით უფრო, რომ, როგორც სულმნათი ბრძანებს: „არა კაც ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“.

მაშ, ასე, დავიწყოთ იქიდან, სად ჩადის შენი ფესვები, რომლებიც, თუ გვარს გავითვალისწინებთ, ჯავახეთს ან საჯავახოს უნდა უკავშირდებოდეს?

13 წლის წინათ, როდესაც ჩემს საავტორო გაზეთში, რომელსაც „სარკმელი საქართველოსი“ ერქვა, დასაბეჭდად ოტია იოსელიანის „ბალადა ცოტნე დადიანისა“ შევარჩიე, სულგანათლებულმა მთხოვა: „უფალო რედაქტორო! იმ უმსგავსობისა გამო, ჩვენი ვაიპოლიტიკოსები ეროვნებას და მამის სახელს რომ გვედავებიან, წარმომავლობის შეუვალობისათვის, გალაკტიონისა არ იყოს: „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არა ქართული“, გთხოვთ, ამიერიდან ასე მოიხსენიო ჩემი ვინაობა: ოტია შალვას ძე, შალვა ფარნაოზის ძე, ფარნაოზ ბიჭიას ძე იოსელიანი“

ვის ვის და, ჩვენი ღრმა რწმენით, ვახტანგ ჯავახაძეს აქვს მორალური უფლება, გაიმეოროს არა მარტო ზემოხსენებული ამონარიდი, არამედ მისი მომდევნო სტრიქონიც, რადგან მასზე ზედგამოჭრილად მორგებულია სულმნათის სიტყვები: „წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული, ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის“.

ხომ არ ინებებდით, ბატონო ვახტანგ, თქვენს თაყვანისმცემლებთან ერთად პატივი მიგეგოთ თქვენი საგვარეულო ხიდან პირადად თქვენთვის უახლოესი წარმომადგენლებისათვის?

ალექსანდრე შენგელია

ᲥᲔᲑᲐᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲐᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡᲐ ᲔᲜᲘᲡᲐᲘ

სარწმუნო და სანდო ინფორმაციას ღმერთსა და მის მიერ შექმნილ სამყაროზე თავის შინაარსში ინახავს, იმარხავს მხოლოდ ქართული სამება დამწერლობა და სამება ენა **ლაზარე,** რომელიც არის ქრისტესა და მოციქულების მეგობარი. ამიტომ გვეუბნება ღვთაებრივი გამოცხადება:

„ქალაქის გალავანს ჰქონდა თორმეტი საძირკველი და მათზე იყო ქრისტეს თორმეტი მოციქულის სახელები (მხედველობაშია 12 ზოდიაქო და სვეტიცხოვლის ტაძარი), ***ჩემთან მოლაპარაკეს საზომად ოქროს ლერწამი ჰქონდა, ქალაქის, მისი კარიბჭისა და მისის გალავნის გასაზომად. ქალაქი ოთხკუთხედად იყო მდებარე და მისი სიგრძე იგივე იყო, რაც სიგანე. გაზომა მან ქალაქი ლერწმით თორმეტი ათას სტადიონზე, მისი სიგრძე, სიგანე და სიმაღლე თანაბარი იყო. გაზომა მან ქალაქი ლერწმით თორმეტი ათას სტადიონზე, მისის სიგრძე, სიგანე და სიმაღლე თანაბარი იყო. გაზომა მისი გალავანი და გამოვიდა ასორმოცდაოთხი (144) წყართა კაცის საზომით, რომელიც ანგელოზისაა“.*** (გამოც. 21, 14-17).

საინტერესოა, სინოდის წევრები და სამღვდელოება წმიდა წერილებს კითხულობენ? ვისაც არა აქვს წინასწარმეტყველური სული, ის წმიდა წერილის შინაარსს ვერ გაიგებს (ღმერთია მათი მსაჯული).

„და ოთხი დღისა მკვდარი,
ამისათვის თქვა დავით წინასწარმეტყველმან,
რამეთუ ათასი წელი,
ვითარცა ერთი დღეი“.

ლაზარე, ქართული სამება დამწერლობისა და სამება ენის საიდუმლო ინფორმაცია დამარხა პატრიარქმა აბრაამმა ქრისტეშობამდე ორი (2) ათასი წლის წინ, ლაზარეს დამარხვიდან და გასაიდუმლოებიდან XX საუკუნის დასასრულისათვის შესრულდა ოთხი დღე 4X1000=4000 წელი. სავარაუდოა, ლაზარეს კოდური მატრიცის შიფრი პატრიარქმა აბრაამმა შეინახა თანამედროვე სვანეთის რომელიმე მშრალ მღვიმეში, შესაძლოა მთათუშეთ-ფშავის რომელიმე მიუვალი კლდის ქვეშ ან ნუნისის სასულიერო მღვიმის გამოქვაბულში.

თუ მამა აბრაამი და დავით წინასწარმეტყველი მცირეაზიელი ურია-ებრაელები არიან, საიდან ეცოდინებოდათ ლაზარეს დამარხვის შიონაარსი, ან თუ ძველი აღთქმა, წინასწარმეტყველთა წერილები და სხვა სასულიერო ტექსტები ივრითით დაიწერა, რაში აინტერესებდათ სხვა დამწერლობა და ენა, მით უმეტეს ოთხი (4) ათასი წლის წინ ივრითი (დამწერლობა) არ არსებობდა. ქართველმა პატრიარქმა აბრაამმა შეუქმნა მარტივი დამწერლობა და სასულიერო სკოლა მცირეაზიელებს და არაბულ-სემიტურ ხალხებს.

ქართული დამწერლობა, ენა და ქრისტეს სახარება ითვლება სასულიერო განათლების მეფედ და დედოფლად. შესაბამისად, იგი ითვლება პატრიარქი აბრაამის პირდაპირ მემკვიდრედ. სხვა დამწერლობები, ენები და რელიგიები, რაც კი არსებობს დედამიწის ზურგზე, ითვლება მხევლად, აგარად და მდაბიოდ, ანუ აბრაამის წიაღიდსან გამოსულ შვილობილებად.

ათეისტ და კოსმოპოლიტ სამღვდელოებას, მეცნიერებასა და წიგნიერ ადამიანებს მოეჩვენებათ, რომ მე ძალიან ვამლაშებ და თითქოსდა ქართველს განვადიდებ და სხვებს დაუზოგავად ვამდაბლებ. ეს ასე არაა, რადგან მართლა რომ დავწერო ის, რაც მცირე აზიის იუდეველთა სინედრიონის სინაგოგამ გაუკეთა კაცობრიობას, სუსტი ნერვების ადამიანს გული წაუვა მათი ბოროტი საქციელის გამო. თქვენ იტყვით, ქართველები და სხვები ბოროტებას არ აკეთებენ? – დიახ, აკეთებენ, მაგრამ აქ საუბარი არაა ცალკეულ ბოროტებაზე, არამედ ბოროტი იდეოლოგიის (მოძღვრების) შექმნასა და მის სწავლებაზე (ტირაჟირებაზე) მსოფლიო მასშტაბით. ამ ბოროტების თვალსაჩინოდ აღქმისათვის საკმარისია გავიხსენოთ: მსოფლიო კომუნიზმი და უმეცართა ათეიზმი (უღმერთობა), ცრუ სიტყვის წინააღმდეგ 6-7 მილიარდი კაცობრიობის ამხედრება, სიმართლესთან და ღმერთთან ბრძოლა და ამით კაცობრიობის გამოთაყვანება. ამიტომ გვეუბნება ღვთაებრივი გამოცხადება: ***„დავინახე ზღვიდან ამომავალი მხეცი, რომელსაც შვიდი თავი და ათი რქა ჰქონდა. რქებზე – ათი ჯიღა და თავებზე ღვთისმგმობელი სახელები. მხეცი, რომელიც მე ვიხილე. ჰგავდა ავაზას. მისი ფეხები როგორც დავითისა, მისის პირი, როგორც ლომისა ხახა. მისცა მას გველეშაპმა თავის ძალა, თავისი ტახტი და დიდი ხელმწიფება“.*** (გამოც. 13, 1-2).

წიგნიერი ადამიანისათვის ადვილად გასაგებია, რომ იოანე ზოსიმემ „ქებაის“ ათ კუპლეტში მთელი ბიბლიის ინფორმაცია ჩაატია. დიდება მის ნიჭსა და აზრის საოცარ მოქნილებას.

„და სახარებასა შინა ქართულსა,
ხოლო თავსა მათეისსა
წილი ზის, რომელი ასოი არს,
და იტყვის ყოვლად,
ოთხი ათასსა მარაგსა“.

ახლა ისეთი რაღაცა უნდა დავწერო, რომელიც თითქმის არავის არ მოეწონება. ქართულმა დამწერლობამ თანდათანობით, ველური და ნახევრად ველური ლაზურიდან (ლაზარედან) ჩამოაყალიბა სვანური ქართული სასულიერო ენა. დამწერლობამ და ენამ აზროვნების მაღალი ხარისხი შეუქმნა პატრიარქ ადამსა და მის მეგობრებს. თექვსმეტი (16) ათას წლის წინ პატრიარქმა ადამმა შექმნა წმიდა წერილი და განათლების სასწავლო პროგრამა, რომელიც დამარხულია და ინახება სვანეთის მ თიანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მიწისქვეშა არქივში. იმჟამინდელი ქართველები სარგებლობდნენ ადამის წმიდა წერილთა და განათლების პროგრამით. ოთხი (4) ათასი წლის განმავლობაში საქართველოს ვერც ერთმა მეზობელმა ხალხმა ვერ შეძლო წერა-კითხვის შესწავლა, რადგან გენეტიკურ-სულიერი სიმწიფე არ აძლევდა მათ ამის ნებას (ახლაც ეს ჭირთ).

ამრიგად, ქართული ჯიში და ჯილაგი სხვა დანარჩენ კაცობრიობას უწრებს სულიერ-ხორციელი სიმწიფის ოთხი (4) ათასი წლის მარაგით. აქ მხედველობაშია სასულიერო-საღვთო ურთულესი ლოგიკის შესწავლა და არა ყოფით-სოციალური საკითხების ლოგიკის ათვისება. დადგენილია, რომ სახარება დაიწერა არამეული, ივრითი და ბერძნული სიტყვით. ბუნებრივია, თავი, მთავარი სახარება დაიწერა ქართული (ლაზარეს) სიტყვით. ამიტომ გვეუბნება ღვთაებრივი ზოსიმე: ***„და სახარებასა შინა ქართულსა ზოლო, თავსა მათეისსა, წილი ზის, რომელი ასოი არს*** (წ=31/4000). ***და იტყვის ყოვლად „ოთხი ათასსა მარაგსა“.*** მარაგი არის იგივცე მეს (მა) რანგი, რომელიც გულისხმობს ქრისტეს შობას ქართული ჯიშიდან და ჯილაგიდან, მის მეორედ მოსვლას მამა აბრაამიდან ოთხი (4) ათასი წლის თავზე და ლაზარეს აღდგენას 2000-2015 წლებში.

ურია-იუდეველებმა თავიანთი უმეცრებით დაუშვეს უმძიმესი შეცდომა, ფიზიკურად მიაჭედეს მესია (მხსნელი). მიხვდნენ, რომ დიდი შეცდომა დაუშვეს, მაგრამ არ შეჩერდნენ, გააგრძელეს თავიანთი ბოროტება და უწიგნური კაცობრიობა დაარწმუნეს, რომ თითქოსდა ივრითი არის ღმერთის რჩეული ერი და ისინი არიან ძველი და ახალი აღთქმის ავტორები. აი, ასე და ამგვარად, ორი ათასი წლის განმავლობაში რა არ იღონეს, რომ ისინი კაცობრიობას ტანჯულ ხალხად გამოეცხადებინა. თანამედროვე მსოფლიოში მხოლოდ მცირეაზილმა რაბინებმა იციან, რომ საღვთო რჯული და ღვთის სიტყვით განათლების სისტემა შექმნეს ქართველმა არიელმა ქურუმებმა, რომლის გააშკარავება დაიწყო ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მოღვაწეობით, შემდეგ მოვიდა გრაალის თასის საძო უდავო მტკიცებულებებით, ამიტომ 1992 წლიდან ურიებმა დაიწყეს საქართველოს წვალება, რათა თვითონ დასახლდნენ საქართველოში და თავი გგამოაცხადონ საქართველოდან წასულებად და ა.შ. დაეპატრონონ ლაზარეს საღვთო საიდუმლოს, მაგრამ ამით თავი ჩაიგდეს ორმოში, რომელიც თვითონ ამოთხარეს ქართველებისთვის.

„უფალი განსჯის ერებს. განმიკითხე, უფალო, ჩემი სიმართლით და უბიწობით, რომელიც ჩემშია. შეწყდეს ბოროტება ბიწიერთა, ხოლო მართალი გაამართლე, რადგან შენა ხარ გულისა და ზრახვების შემმოწმებელი, ღმერთო მართალო! ჩემი ფარი უპყრია ღმერთს, გულმართალთა მსხნელს. ღმერთი მართალი მსაჯულია და ღმერთი – რისხვის მფრქვეველი ყოველდღე. მახვილს გალესავს – თუ არ მორჯულდა, შვილდს მოზიდავს და დაუმიზნებს. მომაკვდინებელი იარაღი გაამზადა მათთვის, ისებს წარმართავს მდევნელთა მიმართ. აჰა, ჩაესახება სიმრუდე დაორსულდება უკუღმართობით და შობს სიცრუეს, ორმო თხარა და ღრმად ამოკვეთა, სხვისთვის გაამზადა ორმო (ურია იუდეველმა, ქართველი ქრისტიანებისათვის ამოთხარა ორმო), **და თვითონ ჩავარდა. მისი ავგულობა მის თავზე დატირლდება და მისი ბოროტება მის თხემზე დაეცემა, ვადიდებ უფალს მისი სიმართლით და ვუგალობებ უზენაესი უფლის სახელს“.** (ფსალმ. 7, 9-18).

თანამედროვე მცირეაზიელ ურია-იუდეველებსა და ყველას იხსნის მონანიება თავიანთი ავი იდეოლოგიის გამო, მაგრამ, ისინი ქრისტიენები არ არიან, ამიტომ, აუცილებლად ქართველებისათვის ამოთხრილ ორმოში ჩაცვივდებიან... თუ დავით წინასწარმეტყველი მცირეაზიელი ურია იუდეველი იყო, რატომ თქვა, მამა აბრაამიდან **ლაზარე** (ქართული) ოთხი (4) ათასი წლის თავზე აღდგებაო?! თანამედროვე მედიცინას (ბიოლოგიას) ადვილად შეუძლია დაამტკიცოს, რომ წიგნიერი ქართველი გენეტიკური სიმწიფით ოთხი (4) ათასი წლის მარაგით უსწრებს წიგნიერ ურია-იუდეველსს, ამიტომ სულიერი უმწიფარი ღვთის სიტყვას როგორ დაწერდა?!

„და ესე არს ოთხი დღეი,
და ოთხი დღისა მკვდარი,
მისთანავე დაფლული

სიკვდილითა ნათლისღების მისისაითა“.

სიკვდილი არის აღდგომის აუცილებელი წინაპირობა. მიწაში თესლს რომ ჩავაგდებთ, თესლი უნდა გაიხრწნას, მოკვდეს, რათა აღმოცენდეს. მართლმადიდებლური მოდგმით, მსოფლმხედველობით ***„შენ გენაცვალე სიკვდილო, სიცოცხლე ხარობს შენითა“*** (ვაჟა-ფშაველა), ხოლო ურია-იუდეველთა და ათეისტთა მიდგომით მოკვდა ნიშნაცს სამყაროდან უკვალოდ გაქრობას. აი, ეს აბსურდი გაბატონებულია მთელს მსოფლიოში. აი, ასეთი არარსებული სიკვდილის ფილოსოფია (რელიგია) ებრძვის ჭეშმარიტი აღდგომის ფილოსოფიას (რელიაგიას).

ღვთაებრივი სახარება გვასწავლის: აღდგომის სულის სუბსტანცია, ქრისტე თქვენშია, სიკვდილისა და ჯოჯოხეთის გასაღები მას თან აქვს, აჰა, თვითონ თქვენშია ღვთის სასუფეველი-ო. ამიტომ გვეუბნება ბერძენი იოანე ზოსიმე: ***„და ოთხი დღისა მკვდარი, მისთანავე დაფლული, სიკვდილითა, ნათლისღებითა მისისაითა“.*** უფრო გასაგებად და შთამბეჭდავად გვეუბნება ღვთაებრივი მართლმადიდებლობა: **„ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲐᲦᲓᲒᲐ ᲛᲙᲕᲓᲠᲔᲗᲘᲗ, ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗᲐ ᲓᲐᲛᲗᲠᲒᲣᲜᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲗᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲜᲘᲭᲔᲑᲔᲚᲘ“.**

ᲛᲨᲠᲛᲐᲜ ᲮᲣᲑᲣᲚᲐᲕᲐ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე კომიტეტის წევრის, ჟურნალისტის, ბატონ ზურაბ ქობალიას დედის – ქალბატონ

ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲐᲤᲨᲘᲚᲐᲕᲐᲡ

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ბატონ ზურაბსა და მის ოჯახს

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ოწონდეშე კირიბ ღვარანც,
ჯას გალუაფ კინე კიდუ,
ბრელ მუდგარენ ორწყე ფარანც,
ბრელ ნაფულა მუკმორჩქინდუ.
კინ გიორე დიხას ჭყიშო,
ცა მორღე დო მატაროზე,
ლაბახონა ირქენც თიშო,
კინ სქან ბორჯეფც ქეკათხოზე.
დუდ ვეგლეღა დოკინელო,
სქან ნახანდას არძა გარე,
დოწკური-და, დოღურ თელო,
თოლც განჯანქ ნ, მუთუნ ვარე.
მუ გაღოლე ქიანაშა?
გურც გა ვენუ მოშინელო,
მეწირხელ დო მეზგუმონჯილ,
მეკარკატელ ოშინერო.
გაკეპება ვარე ჯგირი,
დო ჩიჩიეშ ჯინა ეიშე,
ვართ ჭკორალა ი ი ირო,
გლახას ჯგირშა ვეგ აჭიშე.
ღორონთ გიწინც დოირსხენი,
ქიგედგუნქო კუჩხის ნოურც?
რინა გაში თოისერი,
ორდ გოთანა მალას მოურც.

* * *

ვაგმაგინ მი ვორექ,
მიძახუნა თოისერც.
კოჩიშ ნინა თიჯგუა რე,
ირო თქუანც მოძინელც.
ენკერიას გევორექ,
ცას უჯინექ გოძიცელც.
ფირქეფც ხოლო ვონძალუქ,
უფაფუა მუნაფას,
ირო მივაცანცალუქ,
კოჩიშ გურიშ წყუნაფას.
მეჩირთიო ჩქიმიწკ მა,
ჩე ოჭმარე დომიმუნ.
ინიშ–ინი ნობღვე ლიმა –
შურ დო გური გოლიმუნ.
ჩეჟიერშა უსამართო,
დღას ვამიწყორუაფ,
თხა დო გერი ხოლო ართო,
მა თაქ ვამომგორუაფ.
კოჩქ გლახა ვათქუას ნ,
ინა იშენ ვანტირე,
გალე ორქოქ გათუას ნ,
დინახალე ცხვანტი რე.
მარგალქ ფსუას დურქიას ნ,
თენა ჩქიმი ნარტი რე.
დუდშულერი კათაშ ზიტყვა,
ღორონთიში ხატი რე.
ათე ლერსეფც ქიმვოშურდი,
მითა მი უნც მათირე,
მუშ მამონკა ოფე შური,
ენა სოლე მანთირე.
ჩქი ართიანც უძახათ –
ღურა დღაშა ვაღურა.
ოროფილო გილაბრთათ,
ონდო დომიძახუნა.
თიშო ხოლო იმჭუათ,
ინა არძას მოხუნა,
გუროჭვებელ იბჭუათ,
დღაშით დო ონჯუათ.
მიდგარენც ვაგაგინე,
ამდღა ხოლო იკვირაფ,
კოც მუჭო ვანგარინე,
ნგარას შური იძირაფ.
ხიოლ რენ-და, მახიოლან,
ბაწარ წირეს გიართაფ.
ადამიერც ოკო ორან,
ვარა ირფელ ართი აფ.
მორაგადეს ურჩქილათ,
ჯგირი თქუ-და, ვებშურათ.
წანეფ მუკურც, უჯინათ.
ართ წყარ ჟირშა ვემჩურათ.
მუ ი უაფ თე ჟი, თუდო,
თენა ხოლო ვებჩიათ,
ღორონთ ვაგვამორსათუ-დო,
შური ვადიბჩიჩიათ.
მა თაშ თიშენ გეგოძახა,
თეზმა გლახა, ფურშენი
დო გოძირა ირფელც თახმას,
ფოთქვის ვემთი ურშენი.
სი კინ კეხის ორთინუა,
შურო ვარშ დუნაბარ,
სანცხვარებელც ოდინუა,
ქარ-ბორიაშ დუნანბარ.
სოლე მოურც ათე ჭარა,
განჩინება ვეგებდვით.
ბრელ მუდგარენ ბძირით, მარა
თინა ხოლო ვეგებგით.
ღორონთქ კოჩო გორჩქინდუ დო
ოჩხოულეს ქიდებად.
ღურუს ღურათ ორჯგინუ დო
თელ რექია გირაგად!

ᲖᲐᲐᲚ ᲯᲐᲚᲐᲦᲝᲜᲘᲐ

ქართულ პოლიტიკაში კომპრომატების ახალი ომი იწყება!

სახელმწიფო შეთქმულების ბრალდებით გამოძიება რომ დაწყებულია და საქმის სავარაუდო ფიგურანტები **"ნაციონალური მოძრაობის"** ლიდერები არიან, ეს დიად დაადასტურა შს მინისტრის მოადგილემ. მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ ოპონენტები ხელისუფლებაში დაბრუნების მიზნით, მზად არიან, ყველა აკრძალული მეთოდი გამოიყენონ, მათ შორის კომპრომატების, ფარული ვიდეოჩანაწერების გავრცელება. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ეკა ბესელია ამ კონტექსტში **"ნაციონალური მოძრაობის"** ლიდერების საბერძნეთში ვიზიტზეც საუბრობს, სადაც აკაკი მინაშვილი და ნუგზარ წიკლაური კუდ-ის ყოფილ შეფს, დათა ახალაიას შეხვდნენ.

ეკა ბესელია, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი: – **"ნაციონალური მოძრაობის"** გეგმის მთავარი მიზანია, ყველა უკანონო, ძალადობრივი და პროვოკაციული მეთოდით არიონ ვითარება, ქაოსური სიტუაციები შექმნან და მდგომარეობა დაძაბონ. ამ მიზნის მისაღწევად ისინი გამოიყენებენ ყველა აკრძალულ მეთოდს.

– მათ შორის კომპრომატებს?

– **"ნაციონალური მოძრაობის"** ხელისუფლებაში ყოფნის დროს, წლების განმავლობაში გროვდებოდა ძალიან დიდი ინფორმაცია, დაარქივებული იყო ათასობით ფაილი. ბუნებრივია, რომ მათ ჰქონდეთ ასეთი უკანონო ჩანაწერების და სხვა სახის მასალების ასლები. არ გამოვრიცხავ, რომ **"ნაციონალებმა"** გამოიყენონ ეს მეთოდი და ის მასალები, რომლის ძალიან დიდი ნაწილი გატანილი აქვთ ქვეყნიდან, სხვადასხვა გზით გაავრცელონ ხელისუფლების წინააღმდეგ. უკანონო ფარული ჩანაწერები საზღვარგარეთ გატანილია თუნდაც დათა ახალაიას მიერ, რომელსაც, რასაკვირველია, ხელი მიუწვდებოდა ასეთ ინფორმაციაზე, ასევე, შსს-ს სხვა ყოფილი მაღალჩინოსნების მიერ, რომლებმაც ქვეყანა ხელისუფლების შეცვლისთანავე დატოვეს. სრულიად რეალურია ინფორმაცია, რომ მათ ჰქონდეთ ასლები ძალიან ბევრი უკანონოდ მოპოვებული მასალისა, რომელიც შეიცავს თუნდაც პირადი ან ოჯახური საიდუმლოების სფეროს. მას შემდეგ, რაც მოხდა ძალიან მყისიერი რეაგირება მსგავს ფაქტზე, როდესაც შს მინისტრის მოადგილე მიეცა პასუხისგებაში, ასეთ ვითარებაში ხელისუფლების ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ გაბედავს იმავეს გამეორებას. ხვედელიძის საქმე იყო ჭკუის სასწავლებელი და კარგი პრეცედენტი იმისთვის, რომ ხელი არავის წაუცდეს უკანონოდ ინფორმაციის მოპოვებასა და მით უმეტეს, მის გავრცელებაზე. თუ ასეთი ინფორმაცია გაჩნდება, ბუნებრივია, ეს იქნება იმ პირთა **"შემოქმედება"**, ვისაც ხელი მიუწვდებოდა ასეთ ინფორმაციაზე და ვინც ყველაფერს იკადრებს, რათა გამოიყენოს ეს ოპონენტების წინააღმდეგ. **"ნაციონალური მოძრაობა"** მიმართავს ყველა დაუშვებელ მეთოდს, ამიტომ დიდი სიფხიზლე მართებთ სამართალდამცველებს. სხვათა შორის, შემთხვევითი არ არის, რომ **"ნაციონალების"** რამდენიმე ლიდერი საბერძნეთში იმყოფებოდა, სადაც შეხვდნენ დათა ახალაიას.

– ანუ შესაძლოა, ახალაიასთან შეხვედრისას "ნაციონალებს" საუბარი სწორედ კომპრომატების თემაზე ჰქონოდათ?

– არ გამოვრიცხავ, რომ შეხვედრის თემა მართლაც კომპრომატების საკითხი ყოფილიყო. ვიმეორებ – სავარაუდოდ, ერთ-ერთი სწორედ დათა ახალაია იყო, რომელმაც ქვეყნიდან უკანონო ჩანაწერების ასლები გაიტანა...

"ნაციონალურ მოძრაობაში" კი აცხადებენ, რომ ხელისუფლება შესაძლოა თავად გეგმავს კომპრომატების გავრცელებას და შემდგომ ამ ყველაფრის ოპონენტებისთვის გადაბრალებას.

ნუგზარ წიკლაური, საპარლამენტო უმცირესობის წევრი: – კომპრომატების ომი არ არის ის სტილი, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ მოწინააღმდეგესთან დაპირისპირების დროს (უტიფარი ნუგზარ წიკლაურის ეს ფრაზა სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, რადგან ნაციონალების მთელი პროპაგანდა მხოლოდ ფარულ მოსმენებზე, ბინძურ პროვოკაციებსა და ცილისწამებაზეა აგებული! – **"ილორი"**). ეს არის სწორედ **"ქართული ოცნების"** სტილი. საუბარი იმაზე, რომ თითქოს საბერძნეთში ამ საკითხზე გვქონდა დათა ახალაიასთან მოლაპარაკება, ბოდვის სფეროა. ხელისუფლების წინააღმდეგ მთავარი კომპრომატი არის ის, რაც მათ განახორციელეს ორი წლის განმავლობაში – საგარეო პოლიტიკური კრახი და უხვად გაცემული დაპირებების შეუსრულებლობა. რაც შეეხება საბერძნეთში ჩვენს ვიზიტს – იქ დავესწარი დათა ახალაიას სასამართლო პროცესს მოწმის სტატუსით. კითხვები, ძირითადად, შეეხებოდა საქართველოში არსებულ ვითარებას და იმას, არის თუ არა ქვეყანაში პოლიტიკური დევნა. მე ვუთხარი მოსამართლეს, რომ პოლიტიკური დევნის შესახებ ჩამოყალიბებული აზრია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო დონეზეც. რაც შეეხება კომპრომატების ომს – ჩანს, რომ თავად ხელისუფლებას აქვს სურვილი, ამ მეთოდებით იბრძოლოს და შემდეგ ეს გადაბრალდეს მის ოპონენტებს.

არ არის გამორიცხული, თავად გეგმავენ კომპრომატების გამოქვეყნებას იმავე მარგველაშვილზე და შემდეგ ამის სხვაზე გადაბრალებას.

რამდენ ხანს შეძლებს ხელისუფლება ამ სანახაობებით საზოგადოების გამოკვებას, ეს დროის საკითხია. არსებულ ვითარებაში, ძალიან მალე, ამ შემოდგომაზე, ხალხმა, რომელიც არის პირდაპირი წყარო ძალაუფლების, პირადად უნდა აიღოს ხელში პოლიტიკური პროცესების მართვის სადავეები. მათ ქუჩებში უნდა გამოხატონ თავიანთი პროტესტი. ეს, ალბათ, ძალიან მალე მოხდება...

ექსპერტი ვახტანგ ძაბირაძე ნუგზარ წიკლაურის განცხადებას ხელისუფლების მიმართ პირდაპირ მუქარად აღიქვამს.

ვახტანგ ძაბირაძე, ექსპერტი: – ნუგზარ წიკლაურის ეს განცხადება შეიძლება აღვიქვათ პირდაპირ მუქარად დღევანდელი ხელისუფლების მიმართ. ვერ გეტყვით, რამდენად აქვს იმის რეალური რესურსი **"ნაციონალურ მოძრაობას"**, რომ ქვეყანაში სერიოზული დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, მაგრამ ხელისუფლებისთვის არასასიამოვნო სიტუაციის შექმნა ნამდვილად შეუძლია.

რა ვიცით ჩვენი სამშობლოს დედაქალაქზე

5 უცნობი ფაქტი თბილისზე, რომელიც სკოლაში არ ისწავლება

თბილისის უბნებში მეგზურობს გაგვიწევს კოლხი ბანოვანი, შესანიშნავი ჟურნალისტი ქალბატონი ლალი ფაცია, რომლის წერილების ციკლს თბილისზე ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.

თბილისის საინტერესო ისტორიაში არსებობს ისეთი ფაქტები, ამბები, რომელთა შესახებაც ბევრს არც სმენია და ისინი არც სკოლაში ისწავლება. თუმცა ჟურნალისტი და ამჟამად თბილისის საკრებულოს დეპუტატი, **"თბილისური ამქრის"** წევრი და უბრალოდ თბილისზე უზომოდ შეყვარებული კაცი – ალეკო ელისაშვილი ხუთ ისეთ ფაქტს გვიყვება, რომელიც მართლაც დაგაინტერესებთ:

– ვინც თბილისის ისტორიას უღრმავდება, ბევრს დააინტერესებს, თუ სად იყო ჩვენს ქალაქში სიკვდილით დასჯის ადგილი. ის ილია ჭავჭავაძეს მოთხრობაში **"სარჩობელაზედ"** აქვს ნახსენები. მოთხრობას კარგად თუ წაიკითხავთ, აღწერილია, რომ ეს ადგილი ავლაბრის მაღლა იყო, იქ, სადაც ხალხი ადიოდა. აღნიშნული ტერიტორია კი დღეს პრეზიდენტის რეზიდენციის უკანა მხარეა. ის ოფიციალურ სასაკლაოდ მე-19 საუკუნეში შემოიღეს და როგორც დანარჩენ რუსეთის იმპერიის ქალაქებში – **"ლობნოე მესტო"** ერქვა, (ქართულად – **"თხემის ადგილი"**).

თბილისში, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილი ყაჩაღი, დაუნდობელი ავაზაკი – ტატო წულუკიძე ცხოვრობდა, რომელიც ბოლოს ავლაბარში სწორედ იმ აღნიშნულ ადგილზე ჩამოახრჩვეს. სწორედ ეს ტატო ჰყავს ილიას მოთხრობაში პროტოტიპად გამოყენებული.

იმ სასაკლაოს შესახებ სხვებიც წერდნენ, მაგალითად, დიუმა. ქალაქში რომ შემოვიდა, ამაღლებულ ადგილას აღმართული სახრჩობელა დაინახა, რომელზეც კაცი იყო ჩამომხრჩვალი...

მერე იმ ადგილს **"ვარდის მოედანი"** დაერქვა, იმ მოსაზრებით, რომ იქ ბევრი სისხლი იღვრებოდა...

სასწაული მსგავსებაა ავადსახსენებელ

"ვარდების რევოლუციათან". ვითომ შემთხვევითია ასეთი საბედისწერო მსგავსება? **("ილორი").**

* * *

ქაშუეთის ეკლესია XX საუკუნის დასაწყისში ინგრეოდა. დავით სარაჯიშვილმა მისი განახლება გადაწყვიტა. ჯერ შეასწავლინა რამდენად შეიძლებოდა მისი გამაგრება, მაგრამ როგორც ცნობილი გახდა, გამაგრებისთვის გაღებული თანხა, უაზრო ხარჯი იქნებოდა, არაფრით განახლდებოდა და ამიტომ, მეცენატის ინიციატივითა და დაფინანსებით, გადაწყვიტეს, დაენგრიათ ძველი ქაშუეთი და მის ნაცვლად, ახალი ეკლესია აეგოთ. ახლის აშენება გერმანელ არქიტექტორს, ბილ ფელდს სთხოვეს. სარაჯიშვილს სამთავისის ტაძარი მოსწონდა და უთხრა, რომ ნიმუშად ის აეღო. ბილ ფელდმა მართლაც ააგო ქაშუეთი, მაგრამ ბევრი მისი შექმნილით უკმაყოფილო დარჩა. სამთავისისგან განსხვავებით, ტაძარი ცივი გამოვიდაო, – მაშინ ასე ამბობდნენ. შეიძლება იმიტომ, რომ გერმანელი ვერ ჩასწვდა ქართული საკულტო ნაგებობის არქიტექტურას.

* * *

ყველამ იცის თბილისში, ზემო ჩუღურეთში, ერთ-ერთი დასახლება – სვანეთის უბანი, რომელიც ბევრს ჰგონია, რომ რადგან მაღლაა, ამიტომ ჰქვია სვანეთის უბანი და ასევე იმასაც ამბობენ, რომ იქ ადრე სვანები ცხოვრობდნენ და

ეს სახელი ამიტომ ეწოდაო. არადა, ამ უბნის ტერიტორიაზე ადრე ტყე იყო და იქაურობა დაუსახლებელი ტერიტორია გახლდათ.

XIX საუკუნის ბილოს იქ გორის რაიონის სოფელ სვენეთიდან ხალხი ჩამოსახლდა და იქაურობა აითვისეს. მოკლედ, იქ სვენეთელები დასახლდნენ. თავიდან, **"სვენეთის უბანს"** ეძახდნენ, მერე ამ სიტყვამ **"სვენეთი"** გარკვეული ცვლილება განიცადა და გახდა **"სვანეთი".**

* * *

ფუნიკულორი, რომელიც 1905 წელს აშენდა, თბილისს ძალიან უხდება. ახლაც კი ძვირი დაჯდებოდა იმ ციცაბო ფერდობზე მისი აშენება, ლიანდაგების გაყვანა, მით უფრო მაშინ... ბევრს ჰგონია, რომ რადგან კარგი ხედია იქიდან, კარგი სასეირნო ადგილია, ფუნიკულორიც ამიტომ გაკეთდა. სინამდვილეში ასე არ არის. მშენებლობა XX საუკუნის დასაწყისში იქ იმიტომ წამოიწყეს, რომ ზემო ქალაქის

გაშენებას აპირებდნენ, რადგანაც თბილისი მტკვრის აღმა და დაღმა ძალიან გაიწელა, ფიქრობდნენ, რომ მთაწმინდის პლატო ახალი ქალაქისთვის გამოეყენებინათ. იქაურობა მართლაც მიწის ნაკვეთებად დაიყიდა, დაიხაზა, ქუჩათა ქსელიც შეიქმნა. მოკლედ, მდიდრების უბნი იყო დაგეგმილი და ამიტომ ასეთი ბიზნესპროექტი მოიფიქრეს. ბელგიელებმა დაპროექტეს. უზარმაზარი ინვესტიცია ჩაიდო, მაგრამ იქ მშენებლობის პირველი ეტაპი რომ დამთავრდა, რუსეთის იმპერიაში და განსაკუთრებით, თბილისში 1905-07 წლებში პირველი რევოლუცია დაიწყო. ქალაქში გამოსვლები იყო, მაუზერიანი ხალხი დარბოდა, არეულობა, არასტაბილური სიტუაცია იყო და სამშენებლო ბიზნესი, ცხადია, იმ პერიოდში წინ ვერ წავიდოდა, დეველოპერებს არ უყვართ არეულობა და ამიტომ რადგან შეჩერდა, იმის მერე ჩავარდა კიდეც ეს პროექტი. თუმცა ქალაქს დარჩა ფუნიკულორი.

შემდეგ წლებში ფიქრობდნენ, რა ექნათ იქაურობისთვის და ბოლოს ბერიას დროს სტალინის სახელობის პარკი გაშენდა, რომელიც დღეს **"ბომბორას"** სახელს ატარებს.

* * *

საქართველოში პირველად კარტოფილი თბილისში გასინჯეს მას შემდეგ, რაც გერმანელები 1918 წელს ჩვენთან გადმოასახლეს. ტფილისში იმხანად იყო ორი სოფელი: აოხრებული კუკია-ჩუღურეთის ადგილას და **"ნოიე ტიფლისი",** დღევანდელი სამტრედიის ქუჩის ტერიტორიაზე, ანუ ალქსანდერდორფი. გერმანელები ამ ადგილებში რომ დასახლდნენ, იმის მერე გავიგეთ კარტოფილის გემო, ასევე ლუდის (მთის ლუდი კი გვქონდა, მაგრამ ის ტრანსპორტირებას ვერ უძლებდა), ასევე გავსინჯეთ არაჟანი, ფუნთუშა და ხის კასრიც პირველად მაშინ შემოვიდა ხმარებაში. შემდეგ წლებში კი ხელისუფლებამ ისინი აქედან გაასახლა. დღევანდელი აღმაშენებელის გამზირზე მთლიანად გერმანელების დასახლება იყო, რომელსაც ბოლოს გერმანულ კოლონიას ეძახდნენ. იმ პერიოდში გერმანელები იყვნენ ბოლნისსა და თეთრწყაროშიც. მერე როგორც გითხარით, ხელისუფლებამ იქიდან აჰყარა და გაასახლა...

ლალი ფაცია

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲪᲠᲣᲝᲑᲡ?! ᲠᲐᲓᲝᲡᲚᲐᲕ ᲡᲘᲙᲝᲠᲡᲙᲘ: „ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲝᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲐᲢᲔᲮᲐ ᲡᲠᲝᲚᲐ!“ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡ ᲓᲐᲔᲬᲧᲝ ᲝᲛᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ!“

რადოსლავ სიკორსკი: **„ნუ დავივიწყებთ ისტორიულ კონტექსტს. ეს ჯერ კიდევ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ბუქარესტის სამიტის წინ იყო, სადაც პრეზიდენტი პუტინი უკრაინას უნდობლობას უცხადებდა, სხვათა შორის, პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის თანდასწრებით და, რა თქმა უნდა, საქართველოსთან ომამდე... შეგახსენებთ, რომ საქართველო არ იყო რუსეთის განზრახვის საბოლოო დასტური, რადგან იქ პრეზიდენტმა სააკაშვილმა უფლება მისცა მისი პროვოცირება მოეხდინათ და პირველმა ატეხა სროლა“.** (პოლონეთის სეიმის სპიკერის, საგარეო საქმეთა ექსმინისტრის 2014 წლის 22 ოქტომბრის ინტერვიუდან).

„საქართველოს არ შეეძლო რუსეთის წინააღმდეგ პირველს დაეწყო ომი საკუთარ ტერიტორიაზე! ასეთი რაღაცები მთავრობაში, როგორც მაშინ (2008 წლის 8 აგვისტოს – **საქინფორმი) მუდამ ხდება ომის დროს, ეს ჩვეულებრივი ამბავია. თუმცა, ეს არ აძლევს უფლებას რუსეთს, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინოს“** (იაპონიაში ვიზიტისას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილის სიტყვით გამოსვლიდან 2014 წლის 23 ოქტომბერს).

საქინფორმის მკითხველმა კარგად იცის, ვინ არის მათგან მართალი და ვინ ცრუობს!

“ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲐᲛ ᲐᲥᲠᲝᲚᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ – ᲣᲠᲗᲧᲘᲗ, ᲩᲐᲥᲝᲚᲔᲗ, ᲐᲤᲣᲠᲗᲮᲔᲗ” – ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲫᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ “10 ᲚᲐᲠᲘᲐᲜ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲖᲔ”

მომღერალი ხათუნა ჟორდანია **“ფეისბუქის”** პირად გვერდზე ტელეგადაცემა **“არჩევანის”** ეთერს ეხმაურება.

“არ შემიძლია, არ გამოვეხმაურო დღევანდელ ეთერს. უკვე ვეღარ უძლებს ჩემი გული ამდენ უტიფრობას, ამდენ ტყუილს, ამდენ არარაობის ტელეეტერში ყურებას. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ თარხან გასვიანს არასდროს, არანაირი შეხება ნარკოტიკებთან არ ქონია. ამაში სრულიად მთელი ქალაქი დამეთანხმება. რაც შეეხება გასვიანების ოჯახს – ვიღაც მახინჯი, უგვარო, არარაობის სალაპარაკო ნამდვილად არ არის. რაც შეეხება 10 ლარიან დაუბანელ, ბინძურ, ნაციონალების მარიონეტებს, შეწყვიტეთ ტელეეთერში მათი მოწვევა, თუ არა და უკვე გადავდივარ უკიდურეს ზომებზე. და უკვე მოვუწოდებ მთელს თბილისს, ვინც ისე ფიქრობს როგორც მე – სადაც დაინახავთ ამ აყროლებულებს – ურტყით, ჩაქოლეთ, აფურთხეთ და არ დაგავიწყდეთ პანჩურები მე ხვალიდან ასე მოვიქცევი...”, – წერს ჟორდანია.

ᲛᲐᲓᲣᲠᲝ: “ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ ᲣᲥᲛᲜᲘᲡ”

ვაშინგტონი პლანეტას მიზანმიმართულად ანადგურებს. ამის შესახებ ვენესუელას პრეზიდენტმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. ნიკოლას მადუროს თქმით, შეერთებული შტატები ნავთობს ჰიდრავლიკური მეთოდით მოიპოვებს, რაც დედამიწის სტრუქტურას აზიანებს.

ანალოგიური ბრალდება ვაშინგტონის ლიდერს ცოტა ხნის წინ კანადელმა მუსიკოსმა და რეჟისორმა ნილ იანგმაც წაუყენა, რომელმაც ნავთობის არასწორი გზით მოპოვების გამო ობამას იმპიჩმენტი მოითხოვა.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲣᲡᲛᲐ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲛᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲐᲨᲐᲧᲘᲠᲐ

რუსმა მსახიობმა, პრანკსტერმა ვლადიმირ კრასნოვმა, რომელიც ცნობილია იმით, რომ პოლიტიკოსებს და პოპულარულ ადამიანებს აშაყირებს, ამჯერად მიხეილ სააკაშვილი გააბა მახეში. მან საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის, არსენ ავაკოვის სახელით დაურეკა და დახმარება სთხოვა.

“ხულიგანი”, რომელიც ინტერნეტში ცნობილია სახელით **“ვოვანი”,** სააკაშვილთან საუბრისას დაინტერესდა, შეუძლია თუ ექსპრეზიდენტს თავისი კონტაქტების გამოყენებით ურჩიოს, ვინ შეძლებს მატერიალურად დაეხმაროს კიევს რუსეთთან ბრძოლაში. სააკაშვილმა თანამოსაუბრეს შესთავაზა, რომ ამ საკითხზე მოლაპარაკებები ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან გაემართა. პრანკსტერმა პირობა დადო, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტთან საუბრის ჩანაწერს მალე გაავრცელებს.

ივნისში ვოვანმა ბელორუსის პრეზიდენტი ლუკაშენკო გააშაყირა და მას იანუკოვიჩის შვილად წარუდგინა თავი. ცოტა ხნის წინ კი კიევის მერს, კლიჩკოს დაურეკა შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩევლის სახელით და მოსთხოვა, ცხელი წყალი გაეთიშათ რადას დეპუტატ ოლეგ ლიაშკოსთვის და შს მინისტრ ავაკოვისთვის ჩაერთო.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲖᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ – ᲘᲑᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ, ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲔᲥᲡᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲑᲐᲩᲐᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲖᲝᲜᲘᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲙᲔᲛᲣᲚᲐᲠᲘᲐ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ!

საქართველოს პოლიციამ ამჯერად ბრწყინვალედ იმუშავა – ამა წლის 23 ოქტომბერს, ზუსტად ერთი დღე-ღამის

თავზე მას შემდეგ, რაც საქინფორმმა გაავრცელა ცნობა გაზეთ **„ასავალ-დასავალის“** ჟურნალისტზე, უფლებათადამცველსა და ყოფილ პოლიტპატიმარ ზაზა დავითაიაზე განმეორებითი თავდასხმის შესახებ, შსს-მ დააკავა დამნაშავე – იგი მიხეილ სააკაშვილის მეგობარი, თავდაცვის ექსმინისტრი ბაჩანა ახალაიას თანამშრომელი და **„თავისუფალი ზონის“** წევრი ავთანდილ კემულარია აღმოჩნდა, რომელმაც სიამაყით აღიარა ჩადენილი – მან ხომ **„პუტინის კა-გე-ბეშნიკს“** ცემა!

საქინფორმი იმედოვნებს, რომ ქარული სასამართლო არ გაითვალისწინებს ამ **„საპატიო მიზეზს“** და ამჯერად მაინც გაამწესებს **„თავისუფალი ზონის“** წევრ ავთანდილ კემულარიას არათავისუფალ ზონაში და **„თავისუფალი ზონის“** წევრები – ფარნაოზ ჭკადუასა და დავით გოგოხიას მსგავსად, რომლებმაც ამა წლის 30 სექტემბერს დავითაიას ცემეს, შინ მშვიდობიანად არ გაუშვებს.

ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲣᲨᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠ ᲜᲘᲐᲓᲐᲑᲖᲔ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ, „ᲛᲐᲜᲓᲐᲠᲘᲜᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲘᲨᲐ ᲩᲘᲩᲣᲐ“ ᲙᲘᲝᲢᲝᲨᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲐᲜ...

ახალდაქორწინებულები – საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი

და მისი უკვე არა მეგობარი ქალი, იაპონიაში ვიზიტის ფარგლებში, ქალაქ კიოტოში კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობენ. ქართულ დელეგაციასთან ერთად მათ საიმპერატორო ბაღი **„სენტო გოსიო“**, ტაძრები **„კინკაკუ ჯი“** და **„რუან ჯი“** დაათვალიერეს, სადაც მარგველაშვილების წყვილმა კიმონიები ჩაიცვა.

მანდარინ მარგველაშვილს და გეიშა ჩიჩუას იაპონიაში ახლდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იაპონიაში ლევან ცინცაძე და იაპონიის ელჩი საქართველოში ტოშიო კაიტანი მეუღლესთან ერთად.

და კიდევ, ეს „ფრუქტი“ იაპონელებს მოელეპარაკა, რომ ამიერიდან საქართველო **„ჯორჯიად“** მოიხსენიონ...

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲛᲐ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲛᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲑᲔᲡᲘᲙ ᲑᲣᲒᲘᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲣᲑᲖᲐᲕᲜᲐ

საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა აკაკი მინაშვილმა, მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილს ბაჩანა ახალაიასათვის გამოტანილი განაჩენის შემდეგ შეურაცხმყოფელი ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა. ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის საქალაქო სასამართლო ავრცელებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, 2014 წლის 22 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბაჩანა ახალაიას და სხვათა მიმართ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი გამოაცხადა. გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, საქმის განმხილველმა მოსამართლე – ბესიკ ბუგიანიშვილმა საქართველოს პარლამენტის წევრ აკაკი მინაშვილისგან მობილურ ტელეფონზე შეურაცხმყოფელი ტექსტური შეტყობინება მიიღო. ასევე სოციალურ ქსელში კანონმდებლის გამონათქვამები გასცდა ყოველგვარი ეთიკის საზღვრებს.

თბილისის საქალაქო სასამართლო კატეგორიულად გმობს და სასამართლოს დისკრედიტაციად აფასებს მომხდარ ფაქტს. პარლამენტის წევრი ერთ-ერთი პირველთაგანია, მიუხედავად იმისა, რომ ნაცები დიდი კულტურით არ გამოირჩევიან

რომელსაც მოეთხოვება სამაგალითო ქცევა და სასამართლოს გადაწყვეტილების პატივისცემა. სასამართლოსთვის კრიტიკა მისაღებია მხოლოდ სამართლებრივ ჩარჩოში და შემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების გზით.

სასამართლო ხელისუფლება მოუწოდებს ყველას, თავი შეიკავონ მოსამართლის ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი განცხადებებისაგან, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ �კᲐᲜᲐᲓᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ ᲛᲘᲣᲡᲐᲛᲫᲘᲛᲠᲐ.

“ძვირფასო პრემიერ-მინისტრო,

ჩვენში დიდი მწუხარება გამოიწვია ცნობამ 22 ოქტომბერს კანადის ეროვნულ პარლამენტზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შესახებ, რომელმაც შეიწირა ომის ეროვნულ მემორიალთან ამ დროს საპატიო ყარაულში მდგარი კაპრალის, ნეითან სირილოს სიცოცხლე, ასევე ინფორმაციამ 20 ოქტომბერს კანადის შეიარაღებული ძალების ოფიცრის, პატრის ვინსენტის მკვლელობის შესახებ, რომელიც, კანადის უშიშროების სამსახურის ცნობით, განხორციელდა ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს წაქეზებით.

ეს ტრაგედიები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ დიდ საშიშროებას, რომელსაც ყველა ჩვენგანისთვის წარმოადგენს ტერორიზმი. შესაბამისად, საერთაშორისო საზოგადოების შეთანხმებულ მოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ მწვავე პრობლემის წარმატებით დაძლევაში.

საქართველოს მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით, გულწრფელად ვიზიარებ ამ ტერორისტული აქტების მსხვერპლთა ოჯახების, კანადის მთავრობისა და ხალხის მწუხარებას.

ძვირფასო პრემიერ-მინისტრო,

კიდევ ერთხელ, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი გულწრფელი სამძიმარი და თანაგრძნობა.

პატივისცემით,

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐᲡ 15 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲔᲑᲔᲜ

მართვის მოწმობის აღების მსურველები გამოცდას ახალი ბილეთებით ჩააბარებენ. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან გვაცნობეს, ბილეთები კვლავ იქნება ქართულ, აფხაზურ, ოსურ, ინგლისურ, თურქულ, რუსული, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. მომსახურების სააგენტოში განმარტავენ, რომ 2013 წლის დეკემბრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა საგზაო მოძრაობის შესახებ უსაფრთხოების კანონი, რომლის მიხედვითაც იყო შექმნილი ძველი საგამოცდო ბილეთები. ამავდროულად, ამოქმედდა ახალი კანონი და სწორედ ამ კანონზეა მორგებული მართვის მოწმობის ახალი ბილეთები. კერძოდ, ახალი კანონის მიხედვით, განსაზღვრულია, რომ ძველი ბილეთები ახლის დამტკიცებამდე იმოქმედებდა. მომსახურების სააგენტოს ცნობით, კი ახალი ბილეთები მინისტრის ბრძანების საფუძველზე, 21 ოქტომბერს დამტკიცდა და ძალაში 15 დეკემბრიდან შედის.

“საქართველო იღებს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო და საერთაშორისო სამართლებრივ ინსრუმენტებს სხვადასხვა სფეროში. ევროპარლამენტისა და ევრო საბჭოს დირექტივა მართვის მოწმობის თაობაზე ითვალისწინებს მართვის მოწმობის გაცემის და გამოცდების ჩაბარების წესის ამ დირექტივასთან დაახლოებას, რის საფუძველზეც განხორციელდა ცვლილებები”, – აცხადებენ მომსახურების სააგენტოში.

მათი განმარტებით, ახალ ელექტრონულ ბილეთებში დახვეწილია კითხვის როგორც შინაარსი, ასევე ფორმა და ვიზუალი.

“ახალ ელექტრონულ ბილეთებში გამოყენებულია სიტუაციის აღმწერი ვიდეო რგოლები რის საშუალებითაც კანდიდატს სიტუაციის უკეთესად აღქმისა და გაანალიზების საშუალება ეძლევა. მისაღები თეორიული გამოცდის საგამოცდო ტესტების ელექტრონულ ვერსიაში მოხდება საგამოცდო ტესტის სწორი და არასწორი პასუხების ნუმერაციის გადაადგილება მათი შინაარსის შეუცვლელად, რაც საგამოცდო ბილეთების მექანიკურად დამახსოვრებას გამორიცხავს”, – აცხადებენ მომსახურების სააგენტოში.

აფხაზეთში დამარცხების და მისი გასხვისების მიზეზი საკუთარ, ეროვნულ თვითშეგნებისა და ქვეცნობიერების წიაღში უნდა ვეძიოთ

ასეთი აზრი გამომყვა ცნობილი მწერლის, გურამ ოდიშარიას ნაწარმოებიდან – „ომამდე დამარცხებული“. ამაზე ადრეც მიფიქრია, მაგრამ ერის ცხოვრებიდან მწერლის მიერ დანახული ეპიზოდები, იმდენად ზუსტი და შთამბეჭდავია, რომ მის რეალობაში არავის იოტისოდენა ეჭვიც კი არ შეიძლება შეეპაროს.

დღეს უკვე სადავოც არაა, რომ არსებული ვითარება, ხელისუფლების უნიათობის, უნიჭობის, ღალატის ტოლფასი საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგია. მაგრამ მავანს მაინც უჩნდება კითხვა: ხომ არ ჰქონდა ადგილი კიდევ სხვა არსებით მიზეზებსა და გარემოებებს, რატომ გაგვწირა უფალმა ასე, თუ მისი რჩეული ერი ვიყავით?აკი ხშირად გავიძახით კიდევაც ხმამაღლა: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“...

*მთლად ასე რომ არ გვქონია საქმე, ბოლო 20-25 წლის განმავლობაში ნათლად გამოჩნდა: ჯერ სამკვდრო–სასიცოცხლოდ გადავეკიდეთ ერთმანეთს, მივანგრ-მოვანგრიეთ ყველაფერი, რისი განადგურებაც შეიძლებოდა და საბჭოთა იმპერიის დაშლისას, ყველაზე უკეთესი სასტარტო მდგომარეობის მქონე ერი ისე ჩამორჩა ყველას და ყველაფერს, რომ გეოპოლიტიკურ გზაგასაყარზე მდგომთ ვერ გადაგვიწყვეტია საით ჯობია, სად წავიდეთ – უზნეობისკენ, გადაგვარებისკენ, ეროვნული თავისთავადობის და თვითმყოფადობის, მართმადიდებლური კულტურის და ერის იერსახის დაკარგვისკენ, თუ ყველა ამ და სხვა ფასეულობების გადარჩენა და შენარჩუნებისკენ? რა გვჭირს ასეთი, რა ღმერთი გაგვიწყრა! ხომ არ მართლდება ცნობილი რუსი მწერლის, ვიქტორ ასტაფიევის მიერ თავის მოთხრობაში („**Ловля пескарей в Грузии**“) გამოთქმული მოსაზრება ქართველი ერის შერყეული ზნეობრივი და სულიერი ჯანმრთელობის შესახებ? ნუთუ ეს ასეა? თუ არადა რა გვემართება, რომ დღესაც არ გავრკვეულვართ რა გვინდა, რანი ვართ?!*

პასუხს ამ და სხვა ასეთ კითხებზე დაინტერესებული მკითხველი მიიღებს, თუ გადაშლის ბატონ გურამ ოდიშარიას წიგნს „ომამდე დამარცხებული“, რომლის ნაწყვეტსაც გთავაზობთ ავტორთან შეთანხმებით. გაეცანით მას და თავად განსაჯეთ. კომენტარი და ბოლოთქმაც თქვენთვის მიმინდვია, ძვირფასო მკითხველნო.

ნაპო მესხია

...1993 წლის 2 ოქტომბრის შუადამე. უღელტეხილი. ალპური ზონა. გზისპირა ლოდთან ვჩერდებით მე და ჯემალ დარცმელია. სულს ვითქვამთ. ლოდს მოხუცი ქალი გადასწოლია, ძლივს გასაგონად კვნესის – მიშველეთ, დამეხმარეთ! ვერ ვშველით, ვერ ვეხმარებით. არც პური უნდა, არც წყალი, მოხუცს სამშვიდობოს სურს ყოფნა, შვილებსა და შვილიშვილებთან; სიცოცხლე უნდა. ჩვენ მისი ტარება არ შეგვიძლია. აღმართზე ღმუილით ამოდის **„ურალი“** – სამხედრო სატვირთო მანქანა, **„ურალი“** სამხიდიანია, ადვილად ძლევს უღელტეხილს. კაბინა ახალგაზრდა სამხედროებითაა გაჭედილი. გააჩერეთ, ბიჭებო! – ვყვირით ჩვენ. არ აჩერებენ. გახევებულები მხოლოდ წინ იყურებიან. არადა, სახე ყველას ერთნაირი აქვს. ვერც ერთს ვერ დაიმახსოვრებ. ეს მათაც კარგად იციან. **„ურალი“** გვშორდება. ახლადა ვამჩნევთ, რომ **„ურალის“** ძარაზე კაციშვილი არაა. **„ურალი“** ღრიალით ჯაბნის აღმართის მკვეთრ მოსახვევს. ვაკვირდებით და... უცხოური მანქანა, თუ არ ვცდები – **„მერსედესი“**, დაღლილი, ძვირფასბეწვიანი ცხოველივით ჩაყუჟულა **„ურალის“** ძარაში. ეტყობა, მაგრადაა მიკოჭილი **„ურალის“** ძარას, თორემ ასე რომ არ ყოფილიყო, ციცაბო აღმართზე გადმოქანდებოდა და ჩამოსრიალდებოდა. მიდის **„ურალი“**, გზისპირას, ლოდზე მოხუცი კვდება, ჩვენს, – სიქაგამოცლილები, ისე ვუყურებთ ამ სურათს, თითქოს ეს ყოველივე სხვა ქვეყანაში, ან სულაც უცხო ფილმში ხდებოდეს; საკენში ასეთი **„ურალის“** მძღოლები მანქანის გადაყვანაში მილიონ რუსულ მანეთს ითხოვდნენ. კლიენტები ბლომად ჰყავდათ. **„ურალს“** კი შეუძლია 30-40 ადამიანი გადაიყვანოს სამშვიდობოს, 30-40 მომაკვდავი გადაარჩინოს, მაგრამ კაციშვილი არ ჩანს **„ურალის“** სვლის შემჩერებელი. ვერც იარაღს გამოიყენებს ვინმე, მაშინათვე ოთხი ავტომატი უპასუხებს არამკითხეს კაბინიდან. არ ჩანს კაცი, **„ურალი“** გააჩეროს, **„მერსედესი“** გზისპირას დააგდოს, 30-40 ბავშვითა და მოხუცით დახუნძლოს მანქანა.

ეს სურათი ჩემთვის საქართველოს სირცხვილია – უღელტეხილი, **„ურალი“** და **„მერსედესი“**, მომაკვდავი ადამიანები. ეს სურათი ჩემთვის გერბია ჩვენი დამარცხებისა!

ომი ომია, ომის შემდგომი მშვიდობას თავისებური ომია. ერთნი ვამტკიცებთ, რომ ომი რუსეთთან წავაგეთ, მეორენი ვასაბუთებთ, რომ ომი წავაგეთ ჩრდილოეთ კავკასიელებთან და კაზაკებთან, მესამენი – სხვას ვამბობთ. მოდით, მათ თავი დავანებოთ და იმ ომზე ვიმსჯელოთ, რომელიც საქართველომ საკუთარ თავთან წააგო, იმ ომზე, რომელშიც საქართველო დამარცხდა საქართველოსთან! არც პოლიტიკოსი ვარ, არც სამხედრო საქმე ვიცი, ვერც ვერავის განვიკითხავ, მაგრამ ერთი რამ ცხადია – საქართველოს როგორმე უნდა შეეჩერებინა ეს ომი და არ უნდა წარემართა ის, ან უფრო ზუსტად – არ უნდა დაეწყო! ვერ მოახერხა! სწორედ ამიტომაც დამარცხდა ქართული პოლიტიკა და ამ დამარცხებამ ამდენი სისხლი დაღვარა. გავა დრო და ომის გამომწვევ მიზეზებს სპეციალისტები გააანალიზებენ. ჩემი სათქმელი სხვაა – საქართველო ომამდე იყო დამარცხებული! აფხაზეთის ომი საქართველოს უპირველეს ომში დამარცხების დასტური იყო. მეტი არაფერი. საქართველოს, ისევე, როგორც ნებისმიერ, სხვა ქვეყანას, დასაბამიდან დაებედა თავისი უპირველესი და მარადიული ომი. ესაა ომი საკუთარ თავთან, ესაა ომი ზნეობისა უზნეობის წინააღმდეგ, სიკეთისა – ბოროტების წინააღმდეგ, ერთგულებისა – ღალატის წინააღმდეგ, სიყვარულისა – სიძულვილის წინააღმდეგ... და როგორც ვერავინ და ვერასოდეს გაექცევა საკუთარ თავს, საქართველო ამ ომსაც ვერ გაექცევა ვერასოდეს. ის მისი მარადი თანამგზავრია. როდესაც საქართველო იგებდა უპირველეს ომს, ის ერთიანი, ძლიერი, ბედნიერი ქვეყანა იყო მაშინ და სხვა ომებსაც იგებდა. ხშირად უბრძოლველადაც იგებდა ომს და მტერსაც კი მოსწონდა ასეთი საქართველო. როდესაც აგებდა უპირველეს ომს, უბედურდებოდა და სხვა ომებსაც აგებდა უმალ.

სანამ საქართველო დამარცხებულია თავის უპირველეს ომში, ის ვერც ერთ სხვა ომს ვერ მოიგებს, მარად დამარცხებული იქნება!

ერთხელ კიდევ ხაზს ვუსვამ – მე არ ვსაუბრობ იმ ომზე, რომელშიც სხვებთან დავმარცხდით, არამედ იმ ომზე ვლაპარაკობ, რომელიც საქართველომ საკუთარ თავთან წააგო!

ტანკებით და ავიაციით რკინიგზას არ იცავენ, ჩვენმა პოლიტიკამ ვერ გაისიგრძეგანა თავისი ქმედების რეალური შედეგი. ომმა იმსხვერპლა ათიათასობით ადამიანი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდა ერთმანეთს ორი ხალხი, აზვირთდა სიძულვილი.

დაიხოცა მშვიდობიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი, დაიღუპნენ პატიოსანი, კეთილი ადამიანები, როგორც ეს ყოველთვის ხდება (როგორც ზემოთ ვთქვი, ომში დაღუპულთა უმრავლესობა უდანაშაულო, ნათელი სულისანი არიან). ეს წესია ომის, მისი ზნეა, მისი რელიგია. ჩვენ ღმერთი გვსჯის იმიტომ, რომ გვართმევს რჩეულებს.

ჩვენ აფხაზეთის ომამდე ვიყავით დამარცხებული!

ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა სიძულვილის ესკალაცია განვავითარეთ, როცა ბოღმის შხამი ვანთხიეთ, იმის ნაცვლად, რომ გვეთქვა – **„ქართველებო, გიყვარდეთ ერთმანეთი!“**. მეგობარი მტრად გავიხადეთ, მოწინააღმდეგე სამგზის მტრად მოვიკიდეთ, საკუთარ ოჯახში აგენტებისა და ხალხის მტრების ძიება გამოვაცხადეთ, უღირსი აღვაზევეთ, განსხვავებულ აზრს ყიჟინით გამოვენთეთ. უპირველესად სიტყვით გავხდით მკვლელები ერთმანეთისა: სიტყვით იმიტომ, რომ დავივიწყეთ ჩვენს წმინდა წერილებში თქმული – **„ყოველი, ვისაც სძულს თავისი ძმა, კაცისმკვლელია“**. დავივიწყეთ რუსთაველი – **„გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“**, ეს რუსთაველოლოგებმაც დავივიწყეთ, პოლიტიკური პირამიდის მწვერვალზე მდგარმა რუსთაველოლოგებმაც.

მოძულე კაცზე უბედური ამ ქვეყანაზე არ დადის. დღევანდელი მოძულეები ხვალინდელი ომის შემოქმედნი არიან, გამომხმობები არიან ომის.

ავ სიტყვებს ავი სროლები მოჰყვა. პატივცემულ **„მაკაროვს“** პატივცემული **„კალაშნიკოვი“** აჰყვა. ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც საშინელებათა სპექტაკლში ხდება, გაიბზარა საქართველო. უბედურება საქართველოს გულიდან დაიწყო. ჩვენს მიერ ბრიყვულად და ბოღმით მოქნეული მარჯვენის ინერციამ ჩვენვე დაგვცა. იარაღი არაკაცებსაც ჩაუვარდათ ხელში, იარაღმა მოგზაურობა დაიწყო მამულში. ჩვენ აქ, თბილისში წავაგეთ აფხაზეთის ომი! ომი, რომელიც არა და არ უნდა დაგვწყო!

თუ, მართალია, სადღაც, სხვაგანაც იწერებოდა ამ საშინელების სცენარი, ჩვენ ზედმიწევნით ჩინებულად შევასრულეთ ჩვენი როლი და მათ მიამიტებივით ვიძახით: ჩვენ ამის გაკეთება არ გვინდა, ამას სხვები გვაკეთებინებენო.

ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა უგუნურად მოვიქეცით სამეგრელოში. როცა უცოდველი ადამიანები დავსაჯეთ, უდანაშაულოებს დავერიეთ, ვძარცვეთ ჩვენი ხალხი. არ ზოგავდა ამ კუთხეს დამამხობელი ხელისუფლება და, ფაქტობრივად, სისხლისღვრისკენ, ომისაკენ მოუწოდებდა მას, ცდილობდა, ბოლომდე მიეყვანა მისი პოტენცია, გულუბრყვილობაც. არ ზოგავდა ამ კუთხეს ახალი, ძველის იარაღით მძლეველი ხელისუფლება. და, საბოლოოდ, ცოდვათა მორევში ხალხი ისჯებოდა, ისჯებოდა სრულიად საქართველო. შედეგად ბაბილონელებივით სხვადასხვა ენაზე დაიწყეს საუბარი დედაქალაქმა და პერიფერიებმა. ერთმანეთის ჭირისადმი ზედაპირულმა, აგდებულმა დამოკიდებულებამ, ერთმანეთის სატკივარის ვერ გაგებამ, ღალატმა დაგვამარცხა.

საქართველოს ისტორიის დაწყვეტილი წლებიდან კვლავ ამოტივტივდა მოჯადოებული ტახტი და არ დაახანა ბრძოლამაც ტახტისათვის, იმ ტახტისათვის, რომელიც მიუხედავად XX საუკუნისა, მიუხედავად ჩვენს თავს დამტყდარი ამდენი უბედურებისა, ბრიყვსაც კი რომ ასწავლიდა ჭკუას, მაინც ბაჯაღლო ოქროსი გვგონია, არადა, ავი დემონის მიერაა მოოქროვილი, მხოლოდ ჩვენს მიერ სისხლით მოთხვრილი. ჩვენ დაგვამარცხა იმ ტახტის ოქროსფერმა, მასზე ახლად დაღვრილმა და მასზე შემხმარმა, ძველმა სისხლმაც! ჩვენ დაგვამარცხა ურთიერთსიძულვილმა და დაუნდობლობის იმ ტრადიციამ, რომელიც ვერა და ვერ ამოვიშანთეთ გულიდან.

ჩვენ დაგვამარცხა უღმერთობამ!

ჩვენ მითიური, ორთავიანი ფრინველივით დავღუპეთ საქართველოს სხეული, იმ ფრინველივით, რომლის თავებმაც შეიძულეს ერთმანეთი და ერთიმეორის საზიანოდ ქვების ყლაპვა დაიწყეს. ორი თავი, მაგრამ ერთი სხეული, ერთი კუჭი ჰქონდა ფრინველს... და მან ვერ მოინელა მოძულე თავების ნაყლაპი ქვები და დაიღუპა.

ჩვენ სიძულვილის გამო დავისაჯეთ, დავისაჯეთ სიძულვილისა და სიბრიყვის გამო! დავისაჯეთ იმ უკიდურესი რადიკალიზმის გამო, რომელსაც ადევნებულებმა თავი მერამდენედ ამოვყავით მახეში და მერამდენედ მოვხვდით სისხლის ნიაღვარში. მოვინდომეთ ერთი ნახტომით გადავვლებოდით იმ უფსკრულს, რომელსაც, ყველაზე ცოტა – სამი ნახტომი მაინც სჭირდებოდა. ჩავვარდით კიდეც!..

ჯერ ძმათმოძულეები, ხოლო შემდეგ ძმათამკვლელები გავხდით. მაშინ დავმარცხდით სწორედ! ღმერთმა დასწყევლა ძმის მკვლელი კაენი. მან კი, სასოწარკვეთილმა, ამოთქვა: **„ამის შემდგომ ვინც მე შემხვდება, ის მომკლავს მეო“**. ღმერთმა ნიშანი დაადო კაენს, რათა არავის მოეკლა იგი. მას უნდა ეცხოვრა და თავისი ცოდვით ევლო ამ ქვეყანაზე. ღმერთმა მას სიცოცხლე მიუსაჯა – სასჯელის უმაღლესი ზომა! არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ორ ძმას შორის რომელია მართალი. საშინელებაა, რომ ერთ-ერთი ძმის მკვლელია. ასეთთან კი საუბარიც ძნელია; ასეთთან არც ლხინის სუფრაზე გვერდით ჯდომაა სახალისო!

ასე დავმარცხდით ჩვენ!

უღელტეხილზე ბავშვები და მოხუცები გვეღუპებოდნენ, ჩვენ, კი, შიშისა და სიხარბისგან დაბრმავებულები, **„ურალებითა“** და ვერტმფრენებით ქონებას მივეზიდებოდით, ვძარცვავდით ნახევრადცოცხალ თვისტომთ, მათ, რომლებსაც სახლიდან ერთი ფუთაღა მოჰქონდათ, ფუთა და იმედი იმისა, რომ – ნაწამებთა და დევნილთ უპატრონებდა და მოეფერებოდა მამული. ჩვენ ყველამ ერთად გავწირეთ მათი და ჩვენი იმედი. რამდენი სიკეთე ხვდებოდა ხალხს გზადაგზა, რამდენი თანამდგომი, კეთილშობილი ადამიანი, მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ასეთი სიავის მოწმეც გავხდებოდი ოდესმე. აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი კაცი ვარ და ვიცი, რასაც ვამბობ – აფხაზი გაჭირვებაში ჩავარდნილ აფხაზს არასოდეს მოექცევა ისე, როგორც ჩვენ ერთმანეთს უღელტეხილზე მოვეპყარით.

ჩვენ ტერიტორიულ ომში კი არ დავმარცხდით, არამედ ზნეობრივ ომში დავმარცხდით და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან!

ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა კომფორტის თაობას დავამონებინეთ თავი. საქართველო მუხლებზე დაეცა ამ თაობის წინაშე. უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა. ჩვენ დაგვამარცხეს ფულისა და უცხოეთის მადაზიების კულტით, **„ყოჩადი ბიჭებისა“** და სიყალბის განდიდებით. ჯერ კიდევ სამოციან წლებში მიუსხდნენ ერთ მაგიდას ქურდები და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, ჩარჩები და ჩინოსანი მოხელეები. საბოლოოდ იშვა მახინჯი ჰიბრიდი – მაფიოზთა, ჩარჩთა და მედროვეთა ქვეყანა. დაითრგუნა სინათლე!

ნურავის ჰგონია, რომ გადავლახეთ ის ავადსახსენებელი უღელტეხილი. ჩვენ შუა უღელტეხილზე, სიკვდილ-სიცოცხლის სამანზე ვიმყოფებით და იქვე დავრჩებით სამუდამოდ, სანამ ჩვენს გვერდით ადამიანები იხოცებიან და სანამ ჩვენს გვერდით ტაატით გადიან გზას უცხოური მანქანებით დატვირთული **„ურალები“**. სანამ ასეთი გაჭირვების ჟამს, რომლის მსგავსიც, ვგონებ, არც ჩვენი ისტორიული მახსოვრობის შრეებშია, ვმუხთლობთ ერთმანეთს, სანამ ასე გათითოკაცებული და კუთხეებად დაყოფილი უგუნურები და უსინდისოები სიძულვილს ვამეფებთ, სანამ ერთმანეთს ვლანძღავთ და ვაგინებთ, სანამ ბოღმა გვახრჩობს, სანამ სრულიად საქართველოს სიყვარული და სინათლე, სრულიად საქართველოს სიკეთე და გონი სადღაც კუთხეში არ გვყავს მიმწყვდეული და განწირული, იქ ვიქნებით, იქ, სამუდამოდ – უფსკრულის ნაპირზე მდგარნი, უღელტეხილის სუხსა და ქარში, ნისლსა და მარტოობაში, ერთა შორის ეულები, განგების მიერ დასჯილი, გადაგვარებული მამულიშვილები!

ჩარჩი გავიბატონეთ სულში, გავიმეფეთ, ჩარჩს დავაპყრობინეთ სულის უქმინდესი სფერო, გავიბინძურეთ სული და სულჩარჩიანებმა დიდჩინოსნებმა და წვრილმა სამხედროებმა, გაზულქებულმა, ფუფუნებას დაჩვეულმა სამოქალაქოებმა, იქითურებმა და აქეთურებმაც ათასნაირი გზითა და ხრიკით ვყიდეთ და ვყიდეთ **„მკვდარი სულები“** იმ ომში, რომელიც არა და არ უნდა დაწყებულიყო. ვყიდეთ **„ქაღალდის ბატალიონები“**, იარაღი და პროდუქტები, სამხედრო ფორმები და ჯარისკაცის კბილის ჯაგრისებიც კი, კაცობა გავყიდეთ და გავყიდეთ იმედი და რწმენა, მერე ვზიდეთ და ვზიდეთ ოჯახებში საქართველოს დამარცხება, საქართველოს დაცემა, საქართველოს სირცხვილი!

განუკითხაობამ დაგვამარცხა ჩვენ!

ინგრეოდა სოხუმი, გრუხუნებდა ომი მის ერთ უბანში, მეორე უბანს კი ყიდულობდნენ ჩარჩები, ყიდულობდნენ და ყიდიდნენ, ინაწილებდნენ, ევაჭრებოდნენ ერთმანეთს. იყიდებოდა უცხოეთიდან მოტანილი ჰუმანიტარული დახმარება გემებითა და თვითმფრინავებით. ნარკობიზნესმენები უცოდველნი ჩანან **„ჰუმანობიზნესმენების“** ფონზე. ცნობილია – ვაჭართა ქარავანს ხუთიოდე მოლაღობე ყაჩაღი აცეკვებს თავის ნებაზე. ჩარჩი მხდალი, საცოდავი არსებაა. ჩარჩული სულით გაჟღენთილი ომი დიდი ხნით ადრე დამთავრდა დამარცხებით.

გურამ ოდიშარია

(გაგრძელება მე-9 გვერდზე)

თბილისის საშიში ხიდები

"თბილისში 10 შემოწმებული ხიდიდან მხოლოდ ოთხი აღმოჩნდა კარგ მდგომარეობაში"

"რკინაბეტონის ხიდები დაახლოებით 40-50 წელი ძლებს რემონტის გარეშე, ლითონის ხიდები – 70 წლამდე"

ბავშვობაში მე და ჩემს ძმას ძალიან გვიყვარდა ხიდზე ფეხით გასეირნება და მოაჯირიდან მტკვრის ყურება, ახლა კი პირიქით, შიში დამჩემდა და არცთუ უსაფუძვლოდ. რამდენიმე დღის წინ, ღამით, მეგობრები საბურთალოდან თამარ მეფის გამზირზე მოსახვევდრად ნელი ნაბიჯებით გავუყევით თამარის ხიდს და ერთ ადგილას გარღვეული რკინაბეტონის კონსტრუქციიდან ამომავალმა ხიდის ქვედა განათებამ ადგილზე გაგვაშეშა.

საინტერესო და დამაფიქრებელია, რა მდგომარეობაშია დედაქალაქში არსებული ხიდები. რა თქმა უნდა, ეს კითხვა პროფესიონალებს ჩემზე ადრე გაუჩნდათ და იმ უწყებებსაც მიმართეს, რომელთაც ხიდების მოვლა-პატრონობა ევალება, თუმცა ვერაფერს გახდნენ. მერიის მიერ ერთი წლის წინ გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც დედაქალაქში 10 ხიდის შემოწმებას ისახავდა მიზნად, ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო ხიდსაცდელმა ცენტრმა გაიმარჯვა. სწორედ ამ ორგანიზაციის პროფესორ-მასწავლებლების დახმარებით შემუშავდა დასკვნა, რომელიც თბილისელებს ნამდვილად ვერ გაახარებს – 10 შემოწმებული ხიდიდან მხოლოდ ოთხი აღმოჩნდა კარგ მდგომარეობაში. დედაქალაქში კი სულ 40-მდე ხიდია, ყველას შემოწმება კი ვერ ხერხდება. ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ კონსტრუქციების ნახაზები 90-იან წლებში დაიკარგა.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გივი დათუკიშვილი: – ჯერ კიდევ 10 წლის წინ ვიცოდით, რომ სამი ხიდის რემონტი აუცილებელი იყო. რამდენჯერმე მივმართეთ მერიას, მაგრამ რეაგირება არ ყოფილა. ბოლოს, როგორც იქნა, ტენდერი გამოაცხადეს... კვლევის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ მერიამ სამი ხიდის რეკონსტრუქციისთვის საჭირო თანხა მიმდინარე წლის ბიუჯეტში გაითვალისწინა, თუმცა, ამ უწყებაში მიმდინარე მოვლენების გამო ხიდების რეკონსტრუქცია ჯერ არ დაწყებულა.

ბარათაშვილის ხიდი

50 წლის წინ ექსპერიმენტული კონსტრუქციებით აშენებული ხიდის რეკონსტრუქცია ამ ხნის განმავლობაში არ ჩატარებულა.

გივი დათუკიშვილი: – ბარათაშვილის ხიდი თბილისის დაარსების 1500 წლისთავზე აშენდა. თუ სწორად მახსოვს, 1964 წელს შევიდა ექსპლუატაციაში. მას შემდეგ, თუ არ ჩავთვლით ასფალტისა და მოაჯირების გამოცვლას, ბარათაშვილის ხიდს რეკონსტრუქცია არ ჩასტარებია.

– ხიდების ექსპლუატაციის სტანდარტული ვადა რამდენი წელია?

– 60-იან წლებში ითვლებოდა, რომ 100 წელია, თუმცა მსოფლიოში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ რკინაბეტონის ხიდები 40-50 წელი ძლებს რემონტის გარეშე, ლითონის ხიდები – 70 წლამდე. ამ ხიდმა 50 წელი პირნათლად მოიხადა თავისი ვალი და ახლა დროა, შეკეთდეს.

– რა სამუშაოები უნდა ჩატარდეს ხიდზე?

– მალის ნაშენზე, ანუ რაც ბურჯებზე, ხიდის საყრდენებზე დევს, ხელის შევლება აუცილებელია. როდესაც ეს ხიდი დაპროექტდა, მისი ნიშნული, ანუ სავალი ნაწილის დონე მიწიდან, არაგაბარიტულად შეირჩა. მაშინდელი ხიდქვეშა გაბარიტი ოთხ-ნახევარი მეტრი იყო, ამ შემთხვევაში კი გაკეთდა 4,30 მეტრი. შემდეგ ხიდქვეშა გასასვლელზე კიდევ რამდენჯერმე დააგეს ასფალტი და კიდევ უფრო შემცირდა გაბარიტი. ახლანდელი ნორმებით ხიდქვეშა სიმაღლე 5 მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს... ამ შემთხვევაში გვრჩება მხოლოდ ერთი გამოსავალი – ხიდის კოჭებს უნდა სისტემატური თვალყურის დევნება და დროული რემონტი. ამის გარდა, გასაწმენდია საყრდენი ნაწილები, აღსადგენია ტროტუარების საფარი...

ვახუშტის ხიდი

ვახუშტის ხიდი 1978 წელს აშენდა. ხიდის მარცხენა ნაპირზე სანაპირო ბურჯის საკარადე კედელი გადამტვრეული და წანაცვლებულია.

გივი დათუკიშვილი: – რომ ვთქვა, ეს ხიდი დღეს ან ხვალ წაიქცევა-მეთქი, არ ვიქნები მართალი, მაგრამ რემონტი საჭიროა. სავარაუდოდ, ასეთი რაღაც მოხდა: ამ ხიდის მარჯვენა ნაპირზე, დაღმართში, გადის საბურთალოს წყალმომარაგების დიდი მილი, რომელიც 80-იან წლებში გასკდა. ამან გამოიწვია გრუნტის გაწყლოვანება და მეწყერივით დაიწყო მიწამ მოძრაობა. სავარაუდოდ, ეს გრუნტი მიაწვა ხიდის მალის ნაშენს, რომელმაც ბურჯი გადატეხა.

დიღმურას ხიდი

პოლიციის სამმართველოსთან, მაგისტრალზე, ხიდი 1957 წელს აშენდა და ახლა მძიმე მდგომარეობაშია. ბეტონის კოჭები დაშლილია, ზოგ ადგილას კონსტრუქციას მხოლოდ არმატურა იჭერს.

გივი დათუკიშვილი: – თავიდან ეს ხიდი მცირე დატვირთვებისთვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ შემდეგ ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ხიდად იქცა. მისი კოჭების დიაფრაგმები დაკავშირებულია ერთმანეთთან და ნაკერებს ფოლადის ზოლები აქვს დადუღებული. ჟანგისაგან ეს ფოლადი შეჭმულია, ბეტონიც ბევრ ადგილას არის დაზიანებული და დაშლილი. კოჭების გამოცვლა აუცილებელია, ამასთან, ერთი ბურჯიც გაბზარულია.

ზაჰესის ხიდები

1953 წელს აშენებული ცენტრალური ხიდი, რომელიც დიღმს ზაჰესთან აკავშირებს, დაძველდა და გამოცვლა სჭირდება. ასეთივე მდგომარეობაშია მეორე ხიდიც, რომელიც რკინიგზაზე გადადის.

გივი დათუკიშვილი: – ეს ხიდი მსუბუქ ავტომობილებზე იყო გათვლილი. ხიდის მდგრადობის გამოცდისას მასზე უნდა შეგვეყენებინა ოთხი დატვირთული თვითმცლელი, რომელთაგან თითოეული 40 ტონას იწონიდა. როდესაც ხიდზე მესამე თვითმცლელი შევაყენეთ, ხიდის კონსტრუქციამ ჭრაჭუნი დაიწყო და მეოთხე აღარ შევაყენეთ. ხიდი ვიწროა და დღევანდელ პარამეტრებს ვეღარ აკმაყოფილებს, ამიტომ იგი უნდა გამოიცვალოს.

– თუ ამ ხიდის დროული დემონტაჟი არ მოხდა, რა საფრთხე გვემუქრება?

– ერთბაშად რომ გაიაროს 40-ტონიანმა ოთხმა ავტომობილმა, შესაძლოა, ჩატყდეს, ან ჩაიღუნოს. ამ ხიდზე ხშირად დადიან მძიმეწონიანი ავტომობილები, ამიტომაც დავაკიდვინეთ პატრულს წონის შემზღუდავი ნიშანი...

მეტრო **"სარაჯიშვილთან"** მდებარე ორივე ხიდი კარგ მდგომარეობაშია. დამაკმაყოფილებელია ე.წ. **"დამპალოს"** დასახლებაში და უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან მდებარე ხიდების მდგომარეობაც. მყარ ნაგებობებს მხოლოდ მცირე სარემონტო სამუშაოები სჭირდება. ხიდები 70-80-იან წლებში აშენდა და ქალაქპროექტისა და **"სოიუზდორპროექტის"** დაპროექტებულია.

ალექსეევკის ხიდი

კახეთის გზატკეცილიდან ალექსეევკის დასახლებაში მიმავალი მოკლე გზა სწორედ ამ ხიდზე გადის და მას სასწრაფოდ სჭირდება რემონტი. ექსპერტები ამბობენ, რომ თითოეული ხიდი ყოველ 5-10 წელში უნდა შემოწმდეს. ამ სამუშაოებს დიდი თანხა სჭირდება, საჭიროა თანამედროვე ხელსაწყოების შეძენაც. აუცილებელია ხიდების მართვის სისტემის დანერგვაც. ეს საშუალებას მოგვცემს, გაიაფდეს ხიდების კვლევა და მათი გამოცდა ოპერატიულად მოხდეს.

როგორც მერიის კეთილმოწყობის სამსახურში აცხადებენ, ამ ხიდების სარემონტო სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლომდე დაიწყება და 2015 წლის დასაწყისისთვის დასრულდება.

თ. ყაჯრიშვილი

აფხაზეთში დამარცხების და მისი გასხვისების მიზეზი საკუთარ, ეროვნულ თვითშეგნებისა და ქვეცნობიერების წიაღში უნდა ვეძიოთ

(გაგრძელება მე-8 გვერდიდან)

ვერ იქროლებენ, ბიჭებო, თქვენი ძვირადღირებული მანქანები, საშინელი სიკვდილით დაღუპული 30-40 სული ყოველდღე თან სდევს მათ და სულტყუილად გგონიათ, რომ ისინი ვეღარ გხედავენ თქვენ. ბოლო-ბოლო მანქანების გადაყვანას მერეც ხომ მოასწრებდით, როცა დევნილებს ეშველებოდა. განწირულები ხართ, ბიჭებო, ცოდვიანია თქვენი ქონება. მონები ხართ თქვენი ცოდვისა, არა მარტო თქვენ, ჩვენც – ყველანი, თქვენს გამო! თქვენს ფულს ვასიკო ჯიშკარიანის – რაინდი მეომრის – სისხლი აცხია, ვასიკოსი, რომელიც ამბობდა – მოვა დრო და აუცილებლად შევრიგდებით ქართველები და აფხაზები, უპირველესად ნამდვილი მეომრები შევრიგდებით, ჩვენ გავუგებთ ერთმანეთს, კაცები, და არა მკვლელები, არა ბინძურები. თქვენითაც დავმარცხდით ჩვენ; სავალალოა ჩვენი მდგომარეობა! ფულის კეთების სხვა გზებიც ხომ არსებობდა, ბიჭებო! იქ სადაც ჩარჩული სული აღზევდა, გამარჯვება არ გვეწერა!

იცით, როგორ იჭერენ მაიმუნებს აფრიკაში? დიდ, გულამოცლილ გოგრას ხვრელს უკეთებენ და შიგ საჭმელს ყრიან. მაიმუნი ჩაყოფს ხელს გოგრაში, მუჭით იღებს საკვებს და უკან ამოღებისას დამუშტული მტევანი აღარ ეტევა ხვრელში. მოდიან მონადირეები, მაიმუნს გაქცევა უნდა, კივის, ჩხავის, მაგრამ ხარბია, საჭმელი არ ეთმობა, ხელი გოგრიდან ვერ გამოაქვს.. ასე იჭერენ მაიმუნებს აფრიკაში!

იცით, როგორ იჭერენ ბანანა-თევზებს ამერიკაში? დაახლოებით ახლახან ნახსენები გოგრის მსგავს გოგრაში ბრინჯს ყრიან და წყალში ათავსებენ. შეცურდება სულელი ბანანა-თევზი, ჭამს ბრინჯს, ჭამს და მერე უზომოდ გაბერილი, ვეღარ ეტევა ხვრელში, მოდიან მეთევზეები და წყლიდან ამოაქვთ გოგრა. ასე იჭერენ ბანანა თევზებს ამერიკაში!

ჩვენ ვერც სალაფავი დავთმეთ, ბიჭებო, ვიხმაურეთ და ვიყვირეთ, ამერიკასაც გადავძახეთ და აფრიკასაც, იაპონიასაც და ბურკინა ფასოსაც, მაგრამ ხარბნი და უძღებნი ვერ გავეტიეთ იმ ხვრელში, რომლის იქით ულამაზესი, ლაღი და თავისუფალი სივრცე იწყებოდა... ასე დავმარცხდით ჩვენ აქ, საქართველოში.

ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა აკრიტიკებდნენ და ლანძღავდნენ რა რუსეთს, ჩვენი ლიდერები საბელადო ფრაზებით საბელადო ქულებს იგროვებდნენ მიტინგებზე. კრიტიკა – კრიტიკად, მაგრამ სად იყო, სად იყო ის სიბრძნე, რომელსაც საქართველო ქარბორბალაში მოხვედრილი ხომალდივით უსაფრთხოდ უნდა გამოეტარებინა წყალქვეშა რიფებით დანაღმულ წყლებზე. სად იყო ის დიდოსტატი, 10-15 სვლით ადრე უნდა სცოდნოდა, თუ რა სიტუაცია შეიქმნებოდა პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე, იმ დაფაზე, სადაც ხისგან გამოთლილი ფიგურები კი არა, ადამიანები იღუპებიან.

ზოგჯერ რეალობის შეგრძნებადაკარგულები სადღაც მოვისვრით ყუმბარას და არც ვუფიქრდებით, სად აფეთქდება...

საქართველოს ნგრევა მისი სულის ნგრევიდან დაიწყო **(„ინგლისელებს არ დაუპყრიათ ინდოეთი, არამედ იგი ჩვენ თვითონ მივეცით მას“,** – მაჰათმა განდი).

ჩვენ ბრალმდებელთა ქვეყანა ვართ, სადაც ყველა ერთმანეთს განიკითხავს და ასამართლებს, საკუთარი თავი კი უცოდველი მიაჩნია. ანგელოზების მხარეშიც არ ხდება ასე!

ქვეყნის გამგებლებს არც ადრე ჰქონდათ გათავისებული და არც ახლა ახსოვთ ძველთუძველესი, ზეციური პრინციპი – რომ ისინი მწყემსები არიან – და საქართველოს ნებისმიერი მოსახლე შვილია მათი და ისე გაუფრთხილდნენ, ვით საკუთარ პირმშოს; გაუფრთხილდნენ, მიესათუთონ თავიანთ სამწყსოს და უყვარდეთ უკლებლივ ყველანი! უყვარდეთ და შეიყვარებენ! მამული, მთები და მდინარეებ გეოგრაფია და გეოპოლიტიკა კი არ არის, მამული – ადამიანია!

და სანამ თავად არ ჩავწვდებით ჩვენი სირცხვილის არსს, სანამ თავად არ ჩამოვირეცხავთ ლაფსა და ტალახს, სანამ არ ვეტყვით ერთმანეთს სათქმელს ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვისა და სიძულვილის გარეშე, ჩვენი საშველი არ იქნება. ჩვენი თანადგომით უნდა ვუკურნალოთ ერთმანეთსაც და უბედურებების რკალში მოწრიალე ქვეყანასაც, ჩვენ თავად უნდა დავდგეთ ფეხზე, თორემ სხვათა იმედით ვერასოდეს გავიმართებით წელში!

არადა, დაწყევლილებიც ვართ – როცა ერთმანეთს მწარე, მაგრამ საჭირო სიმართლეს მივაგებებთ, ჩვენს სიტყვებს შორის აღარ ისმის გულის კაკუნივით ხმა – **„ამას იმიტომ გეუბნები, რომ მიყვარხარ და მინდა, ყველას უყვარდე! უკეთესი მინდა იყო!“**

ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა 87 პროცენტით ავირჩიეთ პირველი პრეზიდენტი, ხოლო 95 პროცენტით გადატრიალების მომწყობი, სახელმწიფოს მეთაური. ნებისმიერი ნორმალური ქვეყნისათვის არანორმალური პროცენტებია. თუ მათთან ვითარება ასე წარიმართა, საგონებელში ჩავარდებიან. ჩვენ ერთი კაცის შემყურე ქვეყანა ვართ! ჩვენ გვჭირდება ის ერთი კაცი იმისათვის, რათა მერე, როცა დრო დადგება, ყველაფერი მას გადავაბრალოთ. ჩვენ მისი მსხვერპლად შეწირვა გვჭირდება. ოღონდ ჩვენ არ ვიყოთ რამეში დამნაშავე! ჯერ ცაში ავტყორცნით მას, გავაღმერთებთ და მერე ერთგვარი სიამოვნებითაც დავანარცხებთ მიწაზე. ესაა ჩვენი ფარული უზნეო შეთქმულება! ისე ვცხოვრობთ, თითქოს იჯარით აღებულ ქვეყანაში ვიყოთ. მოშლილი სახელმწიფოს ერთიანობისა და მისი სინდისი ერთიანობის სტრუქტურა, ასევე ერთიანი პასუხისმგებლობის გრძნობაც.

ზოგიერთი ჩვენგანი დღეს თავს იმშვიდებს – ასეთ დღეში ჩავარდნილ სხვა ქვეყანას საქმე ბევრად უარესად ექნებოდაო. თუნდაც ასე იყოს, მერე რა? ეს ჩვენ რას გვიშველის? ან რას გვაძლევს ეს, თავს რატომ ვიტყუებთ? სხვებს შევეშვათ, მოდით უპირველესად პასუხი საკუთარ თავს მოვთხოვოთ; მოვინანიოთ ჩვენი ცოდვები – დიდნი და მცირენი. ჩვენ ხომ ცოდვმრავლები ვართ. ყველაფერი სულიერი განწმენდიდან უნდა დავიწყოთ და მხოლოდ შემდეგ განვიკითხოთ სხვები. ეს ხომ კაცური და პატიოსანი ქმედება იქნება. ძნელია და შეუძლებელი მოუნანიებელი სულით ცხოვრება...

გურამ ოდიშარია

რომელი სჯობია?

რამდენად ღრმად წვდები ე.წ. მეგრული (იბერიული) ენის ფესვებს, მით უფრო რწმუნდები, რამდენად უბადლო და შეუდარებელი მნიშვნელობა აქვს მას ველური ცხოველის ადამიანად ჩამოყალიბებაში.

საოცრებაა, რომ, ერთადერთში დედამიწაზე, იბერიული ენის თითოეულ თანხმოვან ბგერასიტყვაში (თანხმოვანი ბგერა ცალცალკე, დამოუკიდებლად აღებული არ არსებობს ირაციონალური , ბგერის თანხლების გარეშე. ამიტომ მათ აქვთ სრული სიტყვის მნიშვნელობა და ბევრ მათგანს რამოდენიმე ომონიმიც გააჩნია) ასახულია ადამიანის ყველა ის თვისება, რამაც ველური ცხოველი მოაზროვნე არსებად და სამყაროს გვირგვინად აქცია (იხ. ჩვენი **„იბერიული ენა და საზოგადოების სრულყოფის პრობლემა“,** გ-თი **„ილორი“,** 2013 წ.).

ღვთისგან (ბუნებისგან) ბოძებული ამ განუსაზღვრელი მნიშვნელობის საგანძურის შეცნობის ბადალს ვერაფერს მიიღებს ადამიანი დედამიწაზე და მისი უგულებელყოფა დიდი უმადურება რომ არ იყოს, უდიდესი დანაკარგია კაცობრიობისათვის. მაგრამ მხოლოდ მიღების თვისების მქონე დანარჩენმა კაცობრიობამ ვერ გაიგო რაოდენ აუწონავი სულიერ-ზნეობრივი (შემდეგ მატერიალური) სიმდიდრის გაცემა შეუძლია ამ ენის სიღრმისეულ შესწავლას და პირინეიდან ინდოეთამდე გავრცელებული **აყვავებული კულტურის** (ნიკო მარი) მატარებელ იბერიული ცივილიზაციის მიერ მოპოვებული მატერიალური სიმდიდრისა და საკაცობრიო მნიშვნელობის ზოგიერთი მონაპოვარის მითვისებით დაკმაყოფილდა. ამიტომ ხარჯავს დღემდე უგნური, ადამიანის გაჩენის მიზანარსის ვერ შემმეცნობელი კაცობრიობა, მხოლოდ ურთიერთ განადგურებისათვის, განღმრთობის პოტენციის მქონე უზარმაზარ ენერგიას.

შორს არ გვჭირდება წასვლა, აღნიშნული საგანძურშეუცნობელი იბერიული მოდგმის მეცნიერები – ტ. ფუტკარაძე, თ. გვანცელაძე, ა. ჯაფარიძე, მ. ლორთქიფანიძე და სხვები, როგორც ეტყობა, ადვილად გაიყიდნენ 30 ვერცხლად და თავგანწირული იბრძვიან ამ საგანძურის მფლობელი ე.წ. მეგრული (იბერიული) ენის საბოლოო დასამარებისათვის. არ ვიცი, მათ არ იციან (თუ არ იციან, მით უფრო დიდი სირცხვილი მათი) რომელ ენაზე ჩამოყალიბდა ეთნიკური სახელწოდებანი **იბერი, ქართი და მეგრელი** და რას ნიშნავს ისინი, თუ ქართის ტომის უსაფუძვლო განდიდებით, უცხოელებისათვის სიცილმომგვრელი არგუმენტებით ცდილობენ გუნდრუკის კმევას (როცა ჭეშმარიტად განმადიდებელი საფუძველი საკმაოდ გააჩნია) და ჭეშმარიტი იბერიული ძირის მოშლას, რომ საბოლოოდ ბოლო მოედოს 66% უცხო ენათა ლექსიკის შემცველი სალიტერატურო ენის მფლობელ ქართველი ერის არსებობას.

ქართულად წოდებული საერთო სალიტერატურო ენის ლექსიკა 34%-მდე ე.წ. მეგრული (იბერიული) წარმოშობისაა და მის ეტიმოლოგიას ძირისძირამდე ხსნის იბერიული ენა; ასევე ქართული ენის გრამატიკა, სულ მცირე, 90% იბერიულია; ამასთან უცხოური წარმოშობის ლექსიკა გატარებულია ეროვნულ, იბერიულ გრამატიკულ ბრძმედში და, თითქმის, გაეროვნებულია.

ამდენად, ე.წ. ქართველი ერის ეროვნულობას განსაზღვრავს იბერიული ენის წილი ე.წ. ქართულ სალიტერატურო ენაში.

ეთნიკური სახელწოდებების **იბერი** და **ქართი** ეტიმოლოგიას ხსნის მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. მეგრული (იბერიული) ენა, ხოლო ეთნიკური სახელწოდების **მეგრელი** ეტიმოლოგიას კი ე.წ. ქართული ენა. **იბერია** ქართლის ელინური სახელწოდება რომ იყოს, აკად. მარიამ ლორთქიფანიძე და მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე წარმოადგენდნენ **იბერიის** ელინურ ეტიმოლოგიას (ელინურ და რომაულ წყაროებში მოხსენიებულია **თობელი, ტაბარი** და **ტიბარი** და არა **იბერი),** მაგრამ ასეთი არ არსებობს დედამიწაზე და ამიტომ დააფიქსირა ასე მშრალად, ყოველგვარი მტკიცებების გარეშე, მარიამ ლორთქიფანიძემ საქართველოს ისტორიაში, „იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაო“ და ისიც ადრეგარდაცვლილი მეგრული წარმოშობის აკადემიკოსის ანდრია აფაქიძის სახელით და უღირსი ტიტულების ძალით ამაგრებს ჭეშმარიტების რანგში ამ უსირცხვილო სიყალბეს.

იბერის, ქართისა და მეგრელის ეტიმოლოგია მრავალჯერ მაქვს ახსნილი ჩემს ნაშრომებში, რომლებიც იბეჭდებოდა და იბეჭდება დღესაც გ-თში “**ილორი**” და ჟ-ებში “**ცოტნეიდელი**” და “**აია**”. ზემოაღნიშნულმა მეცნიერებმა კარგად იციან ამის შესახებ და ამიტომაც ყურებდახშობილნი აგრძელებენ აქტიურ ბრძოლას მთაწმინდელებისა და ლეონტი მროველის მიერ დამკვიდრებული სიყალბეების გასამაგრებლად. მაგრამ თუ ამ ჭეშმარიტებას დავმალავთ და მსოფლიოს ვაიძულებთ ე.წ. მეგრული (იბერიული) ენა აღიაროს არა პროტოქართულ ენად, არამედ მიხაილ სუსლოვის სულის გასახარად, ქართული ენის დიალექტად, ანუ ქართული ენისგან წარმოშობილ ენობრივ სახესხვაობად, ე.ი. გვიანდელ წარმონაქმნად, რისთვისაც თავგანწირულნი იბრძვიან ზემოაღნიშნული მეცნიერები, მაშინ რომელმა ენამ განსაზღვროს ე.წ. ქართველი ერის ეროვნულობა? სპარსულმა, ელინურმა, ლათინურმა, არაბულმა, თურქულმა თუ სომხურმა?

ცხადია, ვერცერთი ეს ენა ვერ განსაზღვრავს ე.წ. ქართველი ერის ეროვნულობას, მაგრამ, უეჭველია, ამისთვის თავგანწირულნი იბრძოლებენ, უპირველეს ყოვლისა, დაშნაკი არმენების მიმდევრები, რადგან ლეონტი მროველის დროიდან აქვთ საფუძველი ჩაყრილი, ძალიან ძლიერი დიასპორა ჰყავთ საზღვარგარეთ, ძვ.წ.აღ. მე-2 საუკუნიდან მოყოლებული კბილები უკაწკაწებთ იბერიულ მიწებზე და საკმაოდ არიან შემოთესლილნი, ოღონდ გვარგამოცვლილნი ლაღობენ ჩვენს ქვეყანაში.

ქართველად წოდებული ერისა და ე.წ. ქართული ენის ერთადერთი სისუსტე ისაა, რომ მისთვის ეროვნული, იბერიული ლექსიკა ისევე უცხოა, როგორც 66%-ში შემავალი უცხო ენებისა, რადგან ის ისევე ვერ ხსნის ეროვნული, იბერიული ენის ლექსიკის ძირისეული ფორმების ეტიმოლოგიას, როგორც უცხო ენებისას, ხოლო ე.წ. მეგრული (იბერიული) ენა ხსნის მას ძირისეული ფორმების ჩასახვის მომენტიდან თანამედროვე ფორმებად ჩამოყალიბებამდე, ანუ, როგორც ენათმეცნიერებაში იტყვიან, სინქრონიულ-დიაქრონიულ დონეზე.

ამდენად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იბერიული ენის წილი ე.წ. ქართულ ენაში, იბერიული ენის ლექსიკასა და გრამატიკასთან ერთად, განსაზღვრავს ე.წ. ქართველი ერისა და მისი ენის ეროვნულობას და, ამდენადვე, უფრო კანონზომიერია ჩვენს სალიტერატურო ენას ერქვას არა ქართული, არამედ **იბერიული**, ხოლო ქვეყანას **იბერია.** მაგრამ, კოლხიბერთა დაუკითხავად, პროტოენას – ე.წ. მეგრულ (იბერიულ) ენას თუ ვაღიარებინებთ მსოფლიოს ე.წ. ქართული ენის დიალექტად, მაშინ, როგორც აგრესიულ მეზობლებს სურს, ე.წ. ქართული ენა აღმოჩნდება უცხო ენათა 100%-იანი კონგლომერატი, ხოლო ე.წ. ქართველი ერი უცხო ქვეყნის წარმომადგენლები, რომლის შემდეგ, როგორც მიხაილ სუსლოვი ამტკიცებდა, გაუადვილდებათ ე.წ. ქართველთა გაძევება თავისი ქვეყნიდან.

როგორც ეტყობათ, ე.წ. ქართველი ერის ეს სისუსტე იცოდნენ ადრეულ ხანაშიც და, სწორედ ამიტომ დაიწერა ლეონტი მროველის **„ცხოვრება ქართველთა მეფეთაში“**..., **„აქამომდის (ძვ.წ.აღ. მე-6 საუკუნემდე, კ.ფ.) ქართლოსიანთა ენა სომხური (არმენული. კ.ფ.) იყო“-ო, ხოლო კავკასიის ნახევარი, უმჯობესი მიწები არმენთა წინაპრისა“** (ინტერპრეტაცია ჩემია, კ.ფ.), ე.ი. პროტოქართული ენა არა იბერიული, არამედ სომხური იყოო, ხოლო კავკასიის უმჯობესი (ნაყოფიერი) მიწები სომხებისაო და ამით საფუძველი ჩაუყარა ე.წ. ქართული (იბერიული) მიწების მითვისების შესაძლებლობას. ამიტომ ვინც ისტორიულ წყაროდ **„ქართლის ცხოვრების“** ამ ფრაზებს იყენებს ის, ან შემოთესლილი აგრესორია, ან მოსყიდული მოღალატე თავისი ერისა.

ცხადია, საჯარო დისკუსიაზე ისინი ვერ შეძლებენ ჩვენს მიერ მიგნებული ჭეშმარიტებების უარყოფას და მეცნიერის დიპლომს და სამღვდელოებას ამოფარებულნი, სირაქლემას პოზაში აგრძელებენ თავიანთი ეგოისტური სურვილების ფრთაშესხმას და სიყალბეების დაკანონებას, რაც, შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს ქართველად წოდებული ერის არსებობისათვის. და თუ შეძლებენ უბიძგონ ე.წ. სამეგრელოს ე.წ. საქართველოდან გამოყოფისკენ, მიზანი მიღწეული იქნება, ადვილად დაეუფლებიან დანარჩენ იბერიულ მიწებს. მათ, გარე და შიგა ანტიეროვნულმა ძალებმა ბრწყინვალედ იციან, რომ ამ ჩანაფიქრის განხორციელება ადვილი არ არის, მაგრამ სარგებლობენ რა დანარჩენ იბერთა დუმილით, მუდამ შეეცდებიან ქვეყნის შიგნით ეროვნული უთანხმოების გაღვივებას, რითაც ისევ დასახული მიზნის განხორციელებისკენ წაიყვანენ პოლიტიკურ ვითარებას.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენც ე.წ. მეგრელებსაც გვაწევს კისერზე გარკვეული ცოდვა, რადგან ვერ ვიაქტიურეთ და ვერ გავაგებინეთ რამდენად მეტი სიკეთის მოცემა შეუძლია იბერიული ენის ღვთიური მონაცემების გაცნობიერებას და ამ მონაცემების სალიტერატურო ენაში დანერგვას (თუ ისევ აღდგენას), ვიდრე ამ ენის მოსპობით ჰგონიათ მიიღებენ.

როგორც უკვე ცნობილია, ამ ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში ფარდა აეხადა საუკუნეების წინათ დამალულ ჭეშმარიტებას და საყოველთაოდ გახდა ცნობილი ე.წ. მეგრული (იბერიული) ენის სიდიადე, რასაც მოწმობენ მამანტი ძაძამიასა და გია კვაშილავასადმი უცხოეთიდან გამოგზავნილი წერილები. ჩვენი მეცნიერები, კერძოდ, მარიამ ლორთქიფანიძე, ტ. ფუტკარაძე, ა. ჯაფარიძე და, უკვე, როინ მეტრეველიც, ნაცვლად იმისა, რომ საერთო სალიტერატურო ენის გასაძლიერებლად გამოიყენონ ე.წ. მეგრული ენის ღვთაებრივი მონაცემები, არაფერს ზოგავენ მის დასამალად და ცდილობენ გარე სამყაროსათვის მე-12-მე-13 საუკუნეებამდე უცნობ ქართულ ენას და საქართველოს მიაწერონ იბერიული ენისა და იბერიის უძველესობა. ამ მიზნით, მათ უნდა შეკრიბონ ხელმოწერები მსოფლიო საზოგადოებისადმი მოთხოვნით, რომ ამიერიდან ამოიღონ თავიანთი ლექსიკიდან **„იბერია“,„გეორგია“,„ჯორჯია“,„ხეორხია“, „ვრასტან“, „გურჯისტან“ და „გრუზია“,** თითქოსდა, არასოდეს არსებულიყო ჩვენი ქვეყანა ეროვნულ ცნობიერებაში სხვა სახელწოდებით, თვინიერ **„საქართველოსი“**. და ეს მიზანი გაცხადდა ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ბოლო სხდომაზე, რომლის პრეზიდენტი გახლავთ ე.წ. მეგრული წარმოშობის მედროვე მეცნიერი ალექსანდრე კუჭუხიძე, რომელიც მეგრელად და დიდ პატრიოტად ასაღებდა თავს, მაგრამ როცა ვამხილე მისი ერთერთი მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი სიყალბეები, მიუხედავად იმისა, ჩემს მიერ წარმოდგენილი მასალები ძალიან მოიწონა და ჩემდამი წერილითაც დაადასტურა, ჩემი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ ამიკრძალა მოხსენების გაკეთება.

დავუშვათ და ანტიეროვნულმა ძალებმა შეძლეს ქართველი ერისა და მსოფლიოს მეცნიერთა თვალში ნაცრის შეყრა და აღიარებინეს მსოფლიოს ეროვნულ ცნობიერებაში სახელწოდებით **იბერია** სახელმწიფოს არარსებობა. რა მოხდება ასეთ შემთხვევაში?

პირველ რიგში ეს გამოიწვევს იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხთა უფრო გაუცხოებას, რაზეც ოცნებობენ აგრესიული ძალები, ჩვენთვის კი დიდად საზიანოა. გარკვეული დროის გავლის შემდეგ კი იბერიული ენის პროტოქართულ ენად ისევ აღიარებას არავინ დაუშვებს და ქართის ტომის უძველესობის დამტკიცება გამორიცხული იქნება, რადგან ქართული ენა სხვადასხვა უცხო ენათა აბსოლუტურად ნარევი ენა გამოვა, ხალხი კი უცხო ქვეყნის წარმომადგენლები. ასეთ შემთხვევაში, იმედია, შედეგის პროგნოზირება მკითხველს არ გაუჭირდება.

მრავალჯერ მაქვს ჩემს პუბლიკაციებში ახსნილი ეთნიკური სახელწოდებების **იბერისა** და **ქართის** ეტიმოლოგია. ქართველმა მეცნიერებმაც ეს კარგად იციან, მაგრამ იხტიბარს არ იტეხენ და ჯიუტად აგრძელებენ თავიანთ ანტიეროვნულ საქმიანობას. ამიტომ ერთხელ კიდევ შევეცდები განვმარტო ტერმინ „**იბერისა**“ და „**ქართის**“ წარმომავლობა.

იბერი ნაწარმოებია იაფეტისჟამინდელი ძირისეული ფორმისგან **თ,ბ,რ,** (თიბერე თიბერი იბერი), რაც ნიშნავს **„[უზენაეს] ნათელთან მოკავშირედ ყოფიერს“,** ხოლო ჩვენი სალიტერატურო ენის ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ანალიზიდან ირკვევა, რომ **ქართის** ტომის ენობრივი სახესხვაობა ამოზრდილია იბერიული ენის დედა ტანიდან. ამიტომ ერქვა ოდესღაც აღნიშნულ ტომს **ქარდი** (აეზარდე, აზრდილი). ამიტომ უწოდებდნენ მათ უცხოელები **ქალდი**-ს, რომელიც მიღებულია ტერმინისგან **ქარდი, რ** ბგერის რელაქსაციის (დარბილების) შედეგად, რაც წმინდა ფონეტიკური კანონზომიერებაა, ხოლო იბერები – **ქარდის**. მაგრამ უცხო დამპყრობლები (სპარსელები) სარგებლობდნენ რა ძირეულ **იბერებსა** და მისგან ამოზრდილ **ქარდებს** შორის რამდენადმე ენობრივი განსხვავებულობით, მუდამ ცდილობდნენ შუღლი ჩამოეგდოთ მათ შორის და შეერყიათ იბერთა საერთო ძლიერება. ამიტომ **„სპარსელთა წაქეზებით მრავალჯერ უცდიათ ქარდებს გამოყოფოდნენ იბერებს და გამოეყვნენ კიდეც მე-2 საუკუნეში (ჩვ.წ.აღ.), ქართამ I მეფობის დროს და ჩამოუყალიბებიათ არმაზის სეპარატისტული სახელმწიფო, მაგრამ ექვსი მეფის (ბარაცმანის, კაოს, არმაზავრის, ადერუკის, ფარსმან ავაზისა და მირდატის) მეფობის შემდეგ ისევ იძულებული გამხდარან დამორჩილებოდნენ მცხეთის იბერთა მეფეებს (იხ. ექვთიმე თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ,“** ჟ-ლი **მნათობი**, 1948 წ. №8, **„მოქცევაი ქართლისაი“,** პავლე ინგოროყვა, ტ. 4, გვ. 521). ამიტომ შეუცვალეს ქარდებს მათი სეპარატისტული საქმიანობით განაწყენებულმა იბერებმა გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ თავისივე ხალხისთვის ოდესღაც სიყვარულით შერქმეული ზედწოდება **ქარდი** შეურაცხმყოფელი სახელით **ქართი,** რაც ცხოველებთან მიმართებაში იხმარება იბერიულ ენაზე (მაგ., ჯოდორეფიცალო **ქართეს** დო აკოჭკუმეს ართიანი) და ნიშნავს **შეერიე**-ს, ზედმიწევნითი თარგმანით **გაერიე//გაერთდი.** ადამიანებთან და მდინარეებთან მიმართებაში კი იხმარება **ქაკათი** (გაერიე//გაერთდი) და **აკათუუ** (ერთვის).

ასე შერჩა ეთნიკურ სახელწოდებად **ქართი** იბერიული დედა ტანიდან ამოზრდილ პირმშოს, რომელიც მანამდე ათასწლეულების განმავლობაში ჭედდა და აწრთობდა იბერებთან ერთად საკაცობრიო მნიშვნელობის მონაპოვრებს და ჭეშმარიტი **ქარდი** (იგივე, იბერი) მამულიშვილები აპატიებდნენ თავის მშობელს გაბრაზებულ გულზე შერქმეულ, შეურაცხმყოფელ ზედწოდებას და მოითხოვდნენ არა ქართის და საქართველოს სანაცვლოდ იბერიული კვალის წაშლას, არამედ ისტორიული სახელწოდების **იბერისა** და **იბერიას** აღდგენა-დაკანონებას, მაგრამ ამას რას დაგიდევს სულიერად და ანთროპოლოგიურად არმენი როინ მეტრეველი (ის ანასტას მიქოიანის ალიკვალია სახის იერით და საქმითაც) და მარიამ ლორთქიფანიძე (ის სულაც არ გავს მის ძმად წოდებულ გიგა ლორთქიფანიძეს, ტიპიური არმენი ქალია). პირიქით, მათთვის ხელსაყრელია მე-6 საუკუნემდე მუდამ იბერთა ქვეშევრდომად მყოფი და მე-13 საუკუნემდე გარე სამყაროსათვის უცნობი **ქართი-ქართლის** დასაბამიდან არსებობის დაკანონება, რომ ეროვნულობის დამცველი ბურჯის – იბერთა კვალის საბოლოოდ წაშლის შემდეგ, სამარადისოდ აღიგავოს პირისაგან მიწისა დღეს ქართველად წოდებული ერი.

აი, ასეთი საქმიანობისათვის უხდიან ზემოხსენებულ მეცნიერებს სოლიდურ ხელფასებს და ვინ იცის კიდევ რამდენს ღებულობენ დამკვეთთაგან არაოფიციალურად. ისინი, უეჭველია, საქართველოს ხელისუფლებისაგან იმედმოცემულნი აგრძელებენ ასეთ ანტიეროვნულ საქმიანობას. ამიტომ მღრღნის ეჭვი, ხომ არ ზის ქვეყნის სათავეში უცხო ანტიეროვნული ძალა, რომელსაც ამოძრავებს არა ქვეყნის ეროვნული ინტერესები, არამედ მხოლოდ პირადი ამბიციები? სხვა რა შეიძლება იფიქროს კაცმა, როცა ხელისუფლებაში მოსვლამდე ბევრ სიკეთეს გვპირდებოდნენ, მოსვლისთანავე კი თავიანთი ჯიბეების გასქელებას მიჰყვეს ხელი ამ დაქცეულ ქვეყანაში? რა გააკეთეს ქვეყნისთვის ისეთი, გარდა საკუთარი ხალხის ოსტატურად მოტყუებისა, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ერთ თვეში, ხელფასზე ორჯერ და სამჯერ მეტი პრემიები ჩაიჯიბეს? საგარეო ვალები კი კატასტროფულად იზრდება.

ასე, უპატრონოდ და უკონტროლოდ დარჩენილი, მთვლემარე ერის მეცნიერთა უმრავლესობა, ბუნებრივია, მომხვეჭელობით იქნება დაკავებული და ადვილად მოისყიდის გარე აგრესიული ძალა, მით უმეტეს მაშინ, როცა ისინი საეჭვო წარმომავლობის ჩანან.

პატივცემულო ენათმეცნიერებო და ისტორიკოსებო! ნუ გავიწყდებათ, რომ ხის ტოტების ხმობა მაშინ იწყება, როცა ფესვებიდან სიცოცხლის წყაროს მიწოდება სუსტდება; ნუ გავიწყდებათ, რომ უსაძირკვლო შენობა მალევე ინგრევა; ნუ გავიწყდებათ, რომ თუ იმ ტოტს მოჭრი, რომელზეც ზიხარ, დაიღუპები. ამიტომ, ვერაგულად რომ აყალბებთ ე.წ. ქართველი ერის ისტორიას და ამით ძირს უთხრით მის არსებობას, ამასთან, მიუხედავად ჩემგან მოხსენებებზე მოწვევისა და თქვენგან დასწრების დაპირებისა, ფეხაკრეფით რომ მიიპარებით საპროფესოროებიდან და ჩემთან დიალოგს გაურბიხართ კი არა, გავმართოთ საჯარო დისკუსია და განვიხილოთ ჩემს მიერ წარმოდგენილი მიგნებები და თუ თქვენ უფრო დამაჯერებელ არგუმენტებს წარმოადგენთ ჩემი მტკიცებების უარსაყოფად, მერე მოაგროვეთ ხელმოწერები და აღიარებინეთ მსოფლიოს „იბერთა არ არსებობა“ და **„ქართების უძველესობა“.**

და ბოლოს, ცხადია და კარგია შენი ქვეყანა მსოფლიოში იწოდებოდეს იმ სახელწოდებით, რასაც შენს ენაზე უწოდებ, მაგრამ გამოიღვიძეთ და დაფიქრდით კოლხიბერნო, რომელი სჯობია, ხელი მოვაწეროთ იმ სიყალბეს, რომელიც საბოლოოდ აღგვის პირისაგან მიწისა იბერთა მოდგმას, თუ იმ ჭეშმარიტების აღდგენას, რომლის უარყოფა შეუძლებელია და უძველესი დროიდან ცნობილია, როგორც იბერია!

კუკური ფიფია,
„ფაზისისა“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

ᲞᲝᲚᲔᲛᲘᲙᲐ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ

ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ – მეგრ. ბ-ჟა ბ-ჟალ ფორმით არსებობდა, ხოლო ჯა მეგრ.„ ხე“ – ჯალ-ით (შდრ.მეგრ. ჯა”ხე” და ჯალ-ეფი”ხეები”) ამიტომ, სწორია ამგვარი სეგმენტაცია: ჯალ-ეთ-ი, ჟალ-ეთი და არა ჯა-ლე+თი, ჟა-ლე-თ-ი.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ – ამგვარად, ფაქტი სახეზეა: ხე მეგრულად ორი სახელით – ჯა და ჯალ-ით-აა მოცემული. ისევე როგორც ჟა”შზე” – ჟა და ჟალ-ით. მაგრამ რომელია საწყისი?... იმის დასამტკიცებლად, რომ ჟალ-ის წინარედ ჟა იყო, აქვე, ზემოთ-დასახელებული, მაგ. ჟა-შ-ხა”შზის დღე” კმარა, რადგან იგი შორეულ, ჩვენს ერამდელ ეპოქებს განეკუთნება.

მეგრ. ჯა ”ხე”-ს ჯ, უნდა ვიფიქროთ, მიღებულია ყოფიერების აღმნიშვნელ – რ ბგერის აფრიკატიზაციით...

ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘ – ჟა”შზე” და მეგრულივე ჟი”ზევით” იმას გვეუბნება,რომ აზროფორმა ზევით განპირობებულია მზის მაღლა არსებობით, ხოლო სახელდება განხორციელებულია იგივე მზის სახელით – ჟა//ჟი.

ზუსტად იგივე ხდება ქართ. ზე„ ზევით, ზეზე-ს“ (ზე წამოდგა,ზე წამოიჭრა,) შემთხვევაში,ოღონდ ეს ზე უკვე გახლავთ წინაფორმა ქართ. მ-ზე-სი.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ – 3. სამი//სუმი. მეორე სტიქიონი ჰაერია. ძველ ქართულში დღევანდელი მეგრ. შურ-ის შესატყვისი გახლავთ სურ-ი, მნიშვნელობით სულ-ი + სუნ-ი. სულს ჰაერის მნიშვნელობაც (სული შეუბერე = ფილტვში არსებული ჰაერი შეუბერე) გააჩნია. შურ>//სურ>//ძვ. ქართ. სურ-ის მნიშვნელობებში ჰაერის როგორც სტიქიის გაგების არსებობამ მოგვცა რიცხვითი სახელები სუმი > სამი

4. ოთხი < ო-თიხ-ე < ო-დიხ-ე. დღევანდელი მეგრულითაც ო-დიხ-ე = მიწას, ზედმიწ. მიწის განფენილობას. მიწა უძველეს ფილოსოფიებში საწყისი ელემენტი – სტიქიაა;

5. ხუთი: ხუ „სულიერება“+ თი „ადგილი, განფილობა ამ სულიერებისა. ხალა დღევანდელ მეგრულში გახლავთ შობა. არის ხუ-ალაფორმითაც; ხე სულდგმოლობის არსებობაა. მაგ: ტყას გერი ვა-ხე უდრის ტყეში მგელი არ სულდგმულობს, არაა. ბორჯომი = ბრელი მეგრ.”ბევრი”+ ჯამი”ხეებიანი”: ბორჯომი ხომ წალკოტია, ბევრხეებიანია, ამიტომ, მის უკვე არსებულ, ღორჯოსთან დაკავშირებულ ეტიმოლოგიას ეს ამოსავლიანობა არაფრით ჩამოუვარდება: უფრო ანგარიშგასაწევია ფაქტი: ბორჯომის იქით ჯა-ვახე-თი იწყება, რაც უდრის: ჯა”ხე” + ვა-ხე”არ სულდგმულობს, არაა + თი”განფენილობა ამგვარი ადგილისა. ანუ ჯა-ვა-ხე-თი = უხეო ტერიტორიას, რაც ნამდვილად ასეა და კონტრასტულია მოსაზღვრე ბრელ ჯამ მეგრ.”ბევრ ხეებიან” ბორჯომთან მიმართებით. ამგვარად. ჯავახეთისა და ბორჯომის აღწერილი ეტიმოლოგიები ურთიერთმადასტურებელია და მართებული. ხოლო, აქედან გამომდინარე, რაკი ვა-ხე ნამდვილად უდრის არსულდგმულებულს – ხუ//ხე სულიერება, სიცოცხლე ყოფილა: კოლხისთვის ხომ, დღესაც კი, სულიერიცა და უსულოც ცოცხალია: მაგ: ამდღა დიხაშ ჭყოლუა ვაშინერც მეგრულში უდრის – ”დღეს მიწისთვის ჭრილობის მიყენება არ ეგების, ტაბუა. მ.ე. ხუ-თი უნდა გავიგოთ როგორც სულიერების, სიცოცხლის სტიქია, ქცეული რიცხვით სახელად;

6. ექვსი//ამშვი: რიცხვი ექვსის ეს მეგრ. ქართ. სახელებიც უშუალო კავირშია სიცოცხლის სტიქიასთან: კოლხური აზროვნებით წყალი საკრალური ძალმოსილებითაა შემკული: წყარიშ ძალა მერჩას ”წყლის ძალა მოგცეს” – მეგრ. ამ ლოცვაში წყლის რაღაც მაგიური ძალა იგულისხმება: სინამდვილეში არავითარი მაგია: წყალი სიცოცხლის უცილობელი წინაპირობაა, ამიტომ, ადამიანის ცნობიერებაში მისი სტიქიად მოაზრება სავსებით განპირობებულია და – რეალური. აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ, ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეგრ. წარი//წალი”წყალი’ >ძალი//ძალა მართებულია. მეგრ.შ2//შვე ”წყალი, ნესტი, სველის” მნიშვნელობებისაა; მეგრ. ო-შუმ == ო”სა” +შუმ”სასმელი”; მეგრ. ო-შუმ და ამშვი ”ექვსი” ბგერათა მხოლოდ განლაგებით /დისპოზიციით/ განსხვავდებიან. წყლის ასიმილიაციის გარეშე, რაც სმით იწყება, რაკი სიცოცხლე შეუძლებელია, სწორედ ეს სტიქია – სასმელი წყალი სახელით ო-შუმ არის გადაქცეული რიცხვით სახელად ა-მ-შვ-ი > ე-ქ-ვს-ი;

ზუსტად იგივე სუბსტანციის – წყლის, ოღონდ ზღვებისა და ოკიანეების წყალთა უსასრულო სიუხვის გამომხატველი სიტყვებია შ-ვი-დი>//შქ-ვი-თი (შ > შქ); თი > დი: შვი”წყალი” + თი”სივრცე”: ანუ წყლის არე, განფენილობა მისი. შვიდით იწყება სტიქიათა თუ სხვა ბუნებრივ ფაქტთა მრავალრიცხოვნობის გამომხატველი სიტყვებით ქმნადობა რიცხვითი სახელებისა. შვიდი და ცხრა დღესაც ხომ უსასრულო სიმრავლის გაგებას მოიცავენ. მაგ: სიხარულით მეშვიდე ცაზეა; ცხრაპირი ტყავი გააძვრეს და ა.შ. მაშასადამე, შვიდი//< შვი-თი> შქვი-თი ოკიანეებისა და ზღვების წყალთა სიუხვის აღმნიშვნელი სიტყვები არიან.

9. ჩხორო >// ცხრა <// ცხრა: სახელდების წინაპირობაა შუქში მოაზრებულ სხივთა სიმრავლე: მეგრ: ჩხორია შუქია;

10 10 ა-თი//<ო-თი>//ვი-თი მეგრ. ო-თი წიაღია: წიაღს სასრული არა აქვს;

11 ოჩე მეგრულად უსასრულო დიდია მაგ: ოჩე ყვანა = დიდი ყანა, ოჩეშ ხვე დო ხვარიელი = დიდი ყანის ხვავი და ბარაქა. ხოლო ეჩი < ოჩე და ოჩე > ოცი ბგერათაცვლილებები კანონიერია;

12 ო-ში//ა-სი: ზემოთ შვი-დი-ს სახელდების საფუძვლად გვქონდა ოკიანეებისა და ზღვების წყალთა სიუხვე. იგივეა ო-ში > ა-სი. ოღონდ აქ ამ სიუხვეს პრეფიქსი ო გამოხატავს .

4 ა-თას-ი>//ა-ნ-თას-ი. მეგრ. ა, თას-ი = აი, თესლი; თესლი სიუხვის სიმბოლოა: მეგრ. მითას და ქართ. განთესდა უდრის-გამრავლდას.

ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘ – ნოლიდან დაწყებული, პირველადი მნიშვნელობა საბოლოოს, უხარვეზოდ, შესანიშნავად ესადაგება. ამ ციფრების სახელთა წარმოქმნა პირველქმნადობაა, მაგრამ იგი ეყრდნობა უკვე არსებულ ენობრივ ფაქტებს. ეს ფაქტები ყოველთვის როდი არიან მატერიალურნი, მაგ. ა-თი//<ო-თი>//ვი-თი და ეჩი < ოჩე და ოჩე //> ოცი ქმნადობები ეფუძნებიან არასუბსტანციურ რეალიებს, როგორიცაა წიაღი და დიდი, მაგრამ ამ აბსტრაქტულ და ნივთიერ ფაქტებს პირველქმნადობებისა ახასიათებთ უმთავრესი – ესაა უმაღლესი ხარისხის თვალსაჩინოება.

ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲘ— აბსტრაქტულ მათემატიკურ ტერმინთა ამგვარ ემპირიულ თვალსაჩინოებაზე დაფუძნება, არამცთუ უიშვიათესი მოვლენაა, არამედ მაჩვენებელია იმ ბალავრისა, რომელზეც, როგორც საწყისზე, დგას მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნება.

ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ – ო-შუმ > ა-მ-შვი ”ექვსი”; შვი-დი < შვი-თი და ო-ში ”ასი” რიცხვთა სახელების ერთადერთი –წყლის, როგორც სტიქიის, სახელიდან ამომდინარეობა ხომ არ შეიცავს გარკვეულ წინააღმდეგობებს?...

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ – არავითარს: ეტყობა, ერთ დროს, ექვსზე ზემოთ თვლა არ არსებობდა: შემდეგი ყოველი რიცხვი ურიცხვად მოიაზრებოდა: ამიტომაც, შვიდით დაწყებული, ყოველი რიცხვი (ათამდე) ურიცხვობის გამომხატველი სიტყვებიდანაა. აქედანვეა ახალი სისტემის საწყისი რიცხვის სახელი (ეჩი”ოცი’,’ოში”ასი” და ათასი).

რაც შეეხება, რიცხვით სახელთა წარმოქმნაში წყლის, როგორც სტიქიის, სახელის მონაწილეობას, ეს მოხდა – ერთიდან ექვსამდე, დანარჩენში კი ზღვისა და ოკიანეების წყალთა სიუხვეა მოაზრებული და არა წყალი, როგორც სტიქია. გარდა ამისა, ყოველ წინმავალ რიცხვით სახელს შეუნარჩუნდა მხოლოდ შენაძენი — კონკრეტული რაოდენობის მნიშვნელობა, ამოსავალი კი არა. მაგ. შ-ვი-დი>//შქ-ვი-თი საწყის პერიოდში მხოლოდ წყლის არე და განფენილობაა,მაგრამ მისი ურიცხვობის აღმნიშვნელი სახელიც, დროთა განმავლობაში, იცვლებოდა კონკრეტული რაოდენობის აღმნიშვნელობით – ციფრი შვიდით. შემდეგ, დროთა განმავლობაში კონკრეტული სახელი ვერ აკმაყოფილებს თვლის საჭიროებას და იქმნება ახალი რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი. ასე მოხდა, რიგ-რიგობით, ათამდე. შემდეგ მივიღეთ ორი ათეული სისტემა ურიცხვობის აღმნიშვნელ ოჩე ”დიდით” დაგვირგინებული. შემდეგ ეს უკანასკნელიც იძენს კონკრეტულ მნიშვნელობას და იქმნება ოცეული სისტემა ოში//ასამდე და ა. შ.

ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲝᲡᲘ – მ. ე. მათემატიკურ რიცხვთა მთლიან სისტემაში, ერთიდან ათასამდე გვაქვს განსახილველ რიცხვთა სამი ქვესისტემა: პირველი ქვესისტემაა ნული და ერთი. მათი წარმოქმნა ხორციელდება ადექვატურად განსაზღვრულ და თვალსაჩინო, მაგრამ ერთეული ფაქტორების საფუძველზე. ამიტომ ისინი ურთიერთმადასტურებელნი არ არიან და შესაძლებელია იყვნენ მთლიანად ან გარკვეულ სეგმენტში შემთხვევითნი. მაგ: ა,რე თი-დან ართი, დასაშვებია მიღებულიყო ასევე თვალსაჩინო ხასიათის მეგრ. ორთე «სამყარო»-დან. ორთეართი ბგერითი აგებულებით ხომ მცირედ განსხვავდებიან. ე. ი. საწყის სეგმენტში ორთე ან ა, რე თი > ართი მცირე ინტერვალის ნებისმიერობაა ორიდან ერთი გამოსავლით.

მეორე ქვესისტემა გახლავთ, ერთიდან შვიდამდე, ერთგვაროვანნი (იმიტომ რომ ყველა მათემატიკური რიცხვია), რომელთა წარმოქმნა, ასევე ერთგვაროვან, ხუთი წევრისაგან შემდგარ, ფაქტების ერთი სისტემით – სტიქიონებითაა განპირობებული.

მესამე ქვესისტემაც – ექვსიდან ათასამდე განსაზღვრულია ფაქტორების ერთი ქვესისტემით – მათი მრავლობითობით და შვიდერთეულს შეიცავს.

პირველ სისტემაში განსახილველი ვერსიების მართებულობა დამოკიდებულია მხოლოდ ეტიმოლოგიურ ცდომილობათა არსებობა–არარსებობაზე. მეორე და მესამე ქვესისტემაში, შესაბამისად ხუთი და შვიდი ერთეული განპირობებულია მათთვის ყველასათვის სპეციფიური და ერთგვაროვანი ფაქტორებით. ამიტომ, მეორე სისტემის ყველა 5 წევრიდან თითოეულს, იმის გამო რომ ერთგვაროვანი ფაქტორები განაპირობებენ ექნება 5 – 1 = 4 დამოწმება, ხოლო მესამე სისტემიდან, შესაბამისდ 7 –1 = 6 დამოწმება.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ – გიპასუხებთ. ოღონდ ჯერ კონკრეტული რიცხვის – ერთის სინონიმები განვიხილოთ:

კა-კა-ლი. ქართ. კაკა-ლი კაცი//მეგრ. კა-კა-ლი კოჩი = ერთი კაცი. მ -ე. კა-კა-ლი = ერთი;

აკა. ა-კა მეგრულად არის აი, კა //აი, ერთი. ა-კა აფხაზურშიც გახლავთ ერთი.

აფხ.\\მეგრ. ა-კა ცხადყოფს: კა ერთია. მეგრულში კა ამჟამადაც ერთია: მუდა კა = რამდენი ერთი ანუ = რამდენი ერთეული.

რუსულში არის შემთხვევა, როცა კა, უცილობლად, ერთი უნდა ყოფილიყო, მაგ: ნუ პაგადი = აბა, დამიცადე. იგივეა ნუ კაპაგადი, მაგრამ, ამ შემთხვევაში, კა ერთია ანუ ნუ კა პაგადი უდრის აბა, ერთი დამიცადეს.

მოცემულ ფაქტებში სამი ეტიმოლოგიური რგოლია:

პირველი – კა-კა-ლი – კაკლისებურთა თუ კურკოვანთა მაგარნაჭუჭიან ნაყოფს, თესლს, აგრეთვე მარცვლეულთა მარცვალსაც აღნიშნავს. აი, ეს მნიშვნელობა გახლავთ კა”ერთის” მნიშვნელობითი ამოსავალი, რადგან, შეუძლებელია, ერთი მარცვლის, კაკლის (თხილის, რკოს, კურკის და სხვათა) ჩვენებამ ერთის გაგება არ გამოიწვიოს, ისევე როგორც მათივე სიუხვემ – სიმრავლისა.

მეორე – მეგრ კ2 სიმაგრეს, სიმყარეს აღნიშნავს. იგი მაგარნაჭუჭიან – რკოს სახელია: ეს ფაქტი კი გვაუწყებს: კაკლისებურთა თუკურკოვანთა კ ბგერის დუბლირებით (კა-კა-ლი, კურკა) სახელდების მოტივაცია მათი ნაჭუჭის სიმაგრით (კ2-თი) ყოფილა განპირობებული.

მესამე – კ კაკუნის გამომხატველი ხმაბაძვითი ბგერაა. შდრ: ქართ. მეგრ. „კაკუნი// კაკაფი; რეკვა// რეკუა ; რუს. სტუკ „ კაკუნი,“ კოლოკოლ „ზარი,“ კირკა „წერაქვი“ და ა.შ.

ᲐᲜᲗᲠᲝᲞᲝᲚᲝᲒᲘ – მ. ე. დასახელებულია მთელი ეტიმოლოგიური ჯაჭვი პალეოლითიდან მყარ საგანთა, უპირატესად, ქვის გამოყენების თუ დამუშავები სას კ...კ... ხმიანობათა ხმაბაძვის საფუძველზე

კ2>//კა „ერთი“;ერთი-ს კა მარცვლიანი სინონიმები: კა + კა + ლი > კა-კა-ლი „ერთი“; და ა.შ.

კ „კაკუნი“> კ2„სიმაგრე“ > კ2„რკო და ა,შ;

კა „ადამიანის მითოლოგიური ძალა და ღონე. იხ, ა, გელოვანი მითოლოგიური ლექსიკონი, და ა. შ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ – ამგვარი გამოწვლილვა იმიტომაცაა უპრიანი, რომ ეს კა მსოფლიო მნიშვნელობის ტერმინთა – ა-რით-მეტი-კა და მათე-მატი-კა-ს შემადგენელი ნაწილია. უფრო მეტიც: ოპონენტ ურწმუნო თომათა გასაკვირად, არა თუ კა, არამედ სხვა ყველა ნაწილებიც მათში ქართველურია: ა-რით-მეტი-კა = აი + რით + მეტი + კა = აი, რით მეტი ერთი (ერთეული): არითმეტიკა ხომ სწორედ ეგაა. ამ ტერმინში ორი ნაწილი (ა და კა) მეგრულია, ორიც — ქართული (რით და მეტი). მათე-მატი-კა კი ერთი – ქართული და სამი მეგრული ნაწილებისაგან შედგება: მათე = ა-მთე = ა, მუთ = „აი რით; კა = ერთი (ერთი ერთეული); მატი = მეტი. ჯამში მათე-მატი-კა = ამთე-მატი-კა = ა,მუთ მეტი კა = აი, რით მეტი ერთი (ერთი ერთეული).

ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘ – ე. ი. არითმეტიკა და მათემატიკა ქართულ და მეგრულ შემადგენელ ნაწილთა მხოლოდ განლაგებით და ბგერათა დისპოზიციით განსხვავდებიან.

ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ – ეს ტერმინები, დაზუსტებით. ბერძნულია, ბერძნ. რითმოს „რიცხვი’-ს და მათემა „ცოდნა, მეცნიერება ” სემასიიდან. მ. ე. ავტორთან წმიდა წყლის დამთხვევებია.

ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘ – „ნებისმიერ განათლებულ ადამიანს თვალში მოხვდება,”რომ მათემა და რითმოსთან შედარებით, თავად მათემატიკა და არითმეტიკის შემადგენელ ნაწილთა უპირატესობა აშკარაა, რადგან მათი (მათემატიკა და არითმეტიკის) წარმოქმნისათვის აუცილებელ, საწყისი მდგომარეობის არსზე — საგანთა რაოდენობრივ თანაფარდობაზე მიანიშნებენ. ხოლო აღნიშნულ ნაწილთა ქართველურად აღიარებას არა, იმდენად „სტრ. ანალიზი” ჭირდება, რამდენადაც ქართ. და მეგრ. ენების ცოდნა.

აბსტრაქტული ნომინაცია შეუძლებელია ეფუძნებოდეს რამენაირ თვალსაჩინო მოვლენას,რადგან თავად სიგნიფიკატი არაა ამგვარი, მაგ: ერთიდაიგივე ბგერითი შედგენილობის ხერხი „საგნის სახელი” დახერხ-ი«ილეთი» - აბსტრაქტული ტერმინი (ხერხ-იანიმოა-ხერხ-ადაა.შ.) განა დასაშვებია, რომ ერთიდაიგივე მოვლენას ეფუძნებოდნენ?...

ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘ – ხერხვისაგან საგანთა ფიზიკური ფორმაცვალებადობის აღქმის ეფექტს, ასევე მისგანვე (ხეხვისგან. კულტურათა საწყის ეტაპზე ხეხვით (იმ დროს) = ხერხვასაც) ცეცხლის გაჩენას ადამიანზე ძლიერი ფსიქოლოგიური გავლენა გააჩნდა. ამიტომ, აბსტრაქტული სახელი – გამომხატველი ადამიანის მოხერხებულობისა – ხერხ-ი ამ ფაქტორთა მიერ შეპირობებულ ფსიქოაქტთა ნაყოფია.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ – როგორც ვიცით, ქართ. ხორხ-ი ანატომიური ორგანოა. მაგრამ მეგრულში იგი სამუშაო იარაღ – ხერხ-ს აღნიშნავს. უცხადესია: ორივე ქართ. მეგრ. სახელი სამუშაო იარაღისა და ანატომიური ორგანოსი — ხერხ-ი//ხორხ-ი, შესაბამისად, ხერხვისდახორხშიჰაერისმოძრაობის,ხორხის კედლების ერთმანეთზე ხახუნის ხმიანობათა ხმაბაძვითაა წარმოქმნილი.

საგანთა ერთმანეთზე ხახ-უნ-ხეხ-ვა-სა და ხერხ-ვას აღმნიშვნელ ამ სიტყვებში ქართულში თუ ბგერითი განსხვავებულობა მცირეა,მეგრულში სრულიადაც წაშლილია ეს განსხვავება: ხორხ-უა ქვია, როგორც მეგრ. ხორხ-ით „ხერხით” ხერხ-ვას, ასევე საგანთა ერთმანეთზე ხახ-უნ-ხეხვას. მ. ე. ხერხ-ი, ძველად, შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი საგანი. ხოლო, ვინაიდან, დედისეული გვაროვნული წყობილების საწყის პერიოდში, პირველი ადამიანი ოპერირებს ხელითა და სახელდახელო იარაღებით (საგნებით), ცხადია:

პირველი: ხერხვის, როგორც პროცესის და, როგორც ად-ის კონკრეტული საქმიანობის, ასევე იარაღის – ხერხ-ის აღმნიშვნელი ანუ, შესაბამისად, – ხერხ-ვა//ხორხ-უა, ხერხი//ხორხი სიტყვების წარმოქმნის ენდემიური საწყისებიც იმდროინდელნი (დ. გვ. წყ-ის საწყისი პერიოდი) არიან.

მეორე: ზემოთ (იხ. გვ 4) ლათ. ხერომანტიაზე დაყრდნობით და აქვეთქმულის გათვალისწინებით გთმოდის რომ ქართ. ხელ-ი, ხელ-ები//მეგრ ხე, ხელ-ეფი სიტყვათა ხერ (>ხელ) ძირის რესტავრირება სწორი ყოფილა, რადგან ხერხ-ვის ხრ...ხრ... ხმიანობათა გამო, თუ მივიღეთ იარაღის სახელი ხერხ-ი, ამ იარაღის დამჭერ ორგანოს (იგივე იარაღის) სახელად ხერ რატომ უნდა იყოს ძნელი წარმოსადგენი, მითუმეტეს, რომ ხელს სხვა მრავალი სამუშაოს შესრულება ეკისრებოდა, მაგ: მიწიდან საკვები ფესვების — ძირხვენების ამოთხრა, ფუღუროებიდან ჭიანჭველების, მათი კვერცხების, მატლების ამოფხეკა და ა. შ. რომლებიც ხ...ხ... თუ ხრ...ხრ... ხმიანობებით სრულდებიან;

მესამე: კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ხერხ-ის ხერხ-ვის პროცესის როლის გათვალიწინებით, სრულიად ბუნებრივია, ამ ხერხ ფუძის მის აბსტრაქტულ მნიშვნელობად – ად-ის მო-ხერხ-ებულობად გადააზრიანება.

მეოთხე: პირველი ადამიანები ცეცხლს ჯოხების ერთმანეთზე ხახუნ//ხეხვა// ხერხვა//ხორხუა-თი აჩედნენ. ამ ქმედებებს კი ქართველური კლანი, ზემოთქმული დასკვნებიდან გამომდინარე, უხსოვარ წარსულში თუ კი მიმართავდა, სხვა გზა არაა უნდა ვირწმუნოთ: ცეცხლის ანთების ეს უპირველესი ტექნოლოგიაც ქართველურია (ენდემურია)

ᲔᲓᲔᲛᲘ ᲘᲖᲝᲠᲘᲐ

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

დაუჯერებელი ამბავი: ბუნდესნაკრების მომავალს ილია II-ის სიბრძნით ზრდიან

1972 წელს, როცა ახალგაზრდა მწვრთნელმა რიჩარდ სალერმა სპორტული პროდუქციის მწარმოებელი კომპანია **"სალერი"** დააფუძნა, ფიქრობდა, რომ **"ადიდასისა"** და **"პუმასგან"** განსხვავებით, მისი პროდუქტი ყველასათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო, მაგრამ გერმანელი ბიზნესმენი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ მისი აღმაფრენის წყარო... უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ის საუბრები გახდებოდა.

ბევრზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ **"სალერის"** სპორტული ეკიპირებით ფეხბურთში პირველი და მეორე ბუნდესლიგის 8 კლუბი სარგებლობს.

გერმანული სპორტული ფირმა **"სალერი"** ევროპაში საკმაოდ პოპულარულია და ინდივიდუალურ და გუნდურ შეჯიბრებებში ამ ბრენდის ნაწარმით არაერთი გუნდი თუ სპორტსმენი იმოსება.

საქართველოში **"სალერი"** 2008 წლიდან ფუნქციონირებს. მას შემდეგ არის ნოდარ ახალკაცის სახელობის საფეხბურთო ფესტივალისა და **"ბენდელას"** თასის პარტნიორი, იყო ამ ტურნირის გენერალური სპონსორიც.

2012 წელს გერმანული ფირმის სავაჭრო ცენტრი თბილისში გაიხსნა და ამა წლის სექტემბრიდან პირველი ლიგის გუნდების ეკიპირებით მომარაგებაც საკუთარ თავზე აიღო.

ამავდროულად, **"სალერის"** პრეზიდენტი რიჩარდ სალერი ქველმოქმედიცაა, საქართველოს დიდი მეგობარი გახლავთ და ცოტა დაუჯერებლადაც შეიძლება ჟღერდეს, რომ საქართველოთი ისე მოიხიბლა, სამომავლოდ აქ დასახლებას აპირებს...

ახლა მთავარზე: რიჩარდ სალერი ბავშვთა საფეხბურთო სკოლებისთვის ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებასა და დანერგვაზე მუშაობს:

"ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის. ფეხბურთელი, ისევე, როგორც ნებისმიერი ბავშვი, იმ გზით განვითარდება, როგორ სულიერ საზრდოსაც მიიღებს.

ცხადია, გერმანულ საფეხბურთო სკოლებში ფიქრობენ, რა მიმართულებით განვითარდნენ და რესურსი როგორ აითვისონ. ამ მიმართულებით მილიონები იხარჯება და ახალი მეთოდების შესამუშავებლად, მეცნიერებთან თანამშრომლობენ.

წმინდა საფეხბურთო ვარჯიშების გარდა, ბავშვების განათლებასა და აღზრდაზეც ფიქრობენ. ამ მიმართულებით, ჩვენთანაც თანამშრომლობენ, რადგან იციან, რომ ჩვენთვის საინტერესო თემაა – "სალერი" მხოლოდ ბიზნესი არ არის, ეს ფილოსოფიაცაა. ჩვენ კი გრძელვადიან გეგმებსა და პროექტებზე ვმუშაობთ".

საინტერესოა, რომ სალერი გერმანელი ბავშვების აღზრდაში ქართულ სიბრძნეებსაც იყენებს:

"რამდენიმე წლის წინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გავიცანი და ამან ჩემზე იმხელა შთაბეჭდილება მოახდინა, ყოველწლიურად ვცდილობ, საქართველოში ჩამოვიდე, მოვინახულო და თუნდაც 5 წუთი გავესაუბრო. მისგან ბევრი ქართული სიბრძნე მოვისმინე.

ბევრი ვიფიქრე და მომავალი გერმანელი ვარსკვლავების გაზრდაში ჩემი პატარა წვლილის შეტანა ამ სიბრძნეების გამოყენებითაც ვცადე. საფეხბურთო სკოლებს მულტიპლიკაციური სოციალურ-საგანმანათლებლო რეკლამების სერიალი შევთავაზე, სადაც პროპაგანდას ვუწევთ სიკეთეს, მეგობრობას, კეთილშობილურ ურთიერთობებს...

უკვე რამდენიმე მულტიპლიკაცია დამზადდა, სადაც სხვადასხვა ხალხის სიბრძნეები ბავშვურ ენაზეა გადმოცემული. მათ შორის, განსაკუთრებით დიდი ადგილი საქართველოს პატრიარქის მონაყოლზე შექმნილი სიუჟეტის რეკლამებს დავუთმე.

ამ მულტიპლიკაციებს საფეხბურთო სკოლების ოფისებში დამონტაჟებულ ტელევიზორებში აჩვენებენ.

მჯერა, რომ ამ სულიერი საზრდოთი გაზრდილი გერმანელი ბავშვები მოედანზე კეთილშობილური საქციელის, ბრძოლისუნარიანობისა და გონიერი თამაშის მაგალითს სხვებსაც მისცემენ".

საქართველოში **"სალერს"** პარტნიორი ჰყავს:

"საქართველოსთან თანამშრომლობა თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივნის, გოჩა თამაზაშვილისა და ჰოლდინგ "იბერია ბიზნეს ჯგუფის" დამსახურებაა. მათ არა მხოლოდ თანამშრომლობა შემომთავაზეს, არამედ საინტერესო პროექტებით დაასაბუთეს, რომ აქ ინვესტიციების განხორციელება მიღირდა.

ვარ "საბურთალოს" პარტნიორიც, რომელიც თავის ბაზას აშენებს, სადაც ჩვენს აღმზრდელობით რეკლამებს ქართველ ბავშვებსაც მივაწვდით. სხვათა შორის, ამ პროდუქციით, ერთ-ერთი ქართული არხიც დაინტერესდა და მას უახლოეს პერიოდში გაუშვებენ. მათ ჩვენებას ვაპირებთ ნოდარ ახალკაცის სახელობის საფეხბურთო ფესტივალის დროსაც".

დაბოლოს, რიჩარდ სალერი თბილისში **"სალერის თასის"** დაფინანსებას კვლავაც აპირებს, ხოლო ქართული კლუბებისთვის ტექნიკური სპონსორობის ხელშეკრულებას ამზადებს:

"ჩვენი თანამშრომლობა ნაყოფიერი გამოდგა. ამიტომ პარტნიორობის გაფართოებასა და ბიზნესის მასშტაბების გაზრდაზე ვფიქრობ. სკოლებსა და გუნდებს ფორმებს ხელმისაწვდომ ფასში შევთავაზებთ.

გარდა ამისა, ვფიქრობთ საქართველოში ცნობილი მწვრთნელების ვიზიტის დაფინანსებაზეც, რომლებიც ქართველ სპეციალისტებს თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ."

Independent-მა 90-იანი წლების პრემიერლიგის საკულტო ფიგურად ქინქლაძე აღიარა

ბრიტანულმა **"ინდეპენდენტმა"** ინგლისის პრემიერლიგის 90-იანი წლების 10 საკულტო ფიგურა დაასახელა და სასიხარულოა, რომ პირველ ნომრად სიაში გიორგი ქინქლაძეა.

ბრიტანულმა გამოცემამ შემოგვთავაზა არა მარტო 10 ფეხბურთელი 90-იანი წლების პრემიერლიგიდან, არამედ ის გოლებიც, რომლებმაც ეს ფეხბურთელები თავიანთ კლუბებში ნამდვილ გმირებად აქცია.

აი, რა წერია **"მანჩესტერ სიტის"** ქართველ, ყოფილ ფეხბურთელზე:

"ტანდაბალი და ალბათ, ცოტა ზედმეტწონიანი ქართველი ფეხით და ბურთით ჯადოქრობებს ჩადიოდა. ის საოცარი მოძრაობებით იოლად იშორებდა მცველებს.

"ქინქიმ" თავი იმითაც დაგვამახსოვრა, რომ "ფერარი" იყიდა და მერე დაამტვრია. ის 90-იანი წლების მჩეხავების, როგორიც ვინი ჯონსი იყო, სანადირო ობიექტი გახლდათ".

"ინდეპენდენტმა" ქინქლაძესთან ერთად მისი ცნობილი გოლი **"საუთჰემპტონის"** კარში წარმოგვიდგინა, რომელმაც, გამოცემის აზრით, ის საკულტო ფიგურად აქცია არამარტო **"მანჩესტერ სიტის"** ფანებს შორის.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

ბრმა ნაწლავის ოპერაციის წინ ავადმყოფი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, ოპერაციის შემდეგ ვიოლინოზე დაკვრა შემეძლება?

– დიახ, შეგეძლებათ!

– ნამდვილად იცით?

– დიახ, ნამდვილად!

– რა კარგია! აქამდე არ დამიკვრია, ახლა კი, ესე იგი, შემეძლება!

* * *

თბილისში, რუსთაველის გამზირზე გურული აკრძალულ ადგილზე გადადის. უსტვენს პოლიციელი და გაბრაზებული ეუბნება:

– სად მიდიხარ, აქ ხომ გადასვლა არ შეიძლება?

– სად მივდივარ და შვილთან!

– შვილთან, თორემ ეგეც მინისტრი არ იყოს!

– მინისტრი არაა, მარა არც შენსავით უფშვიტინებს ქუჩაში!

* * *

– ვითომ სამსახურის პრობლემები არ მყოფნიდეს, თქვენც ცხვირჩამოშვებულები მხვდებით... – ბუზღუნებს შინდაბრუნებული ქმარი.

– კარგი, ბატონო, – პასუხობს ცოლი, – სასიამოვნო ამბით დავიწყებ. ჩვენი ექვსი შვილიდან ხუთს არც ხელი მოუტეხავს და არც ფეხი.

* * *

დედა ეუბნება შვილს:

– შვილო, დისკოთეკაზე ამდენს ნუ დადიხარ, თორემ დაყრუვდები.

– არა, გმადლობთ, დედიკო, უკვე ვისადილე...

პატიმარი ჯოლოხავა ყვებოდა რომ **"ნაციონალურ მოძრაობის"** მესვეურებს ერთ-ერთი მეუფის მოკვლა და პატრიარქის დაზიანება უნდოდათ, რისთვისაც ქილერებს სათანადო მომზადება მოუწყეს. ეს განცხადება, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ტელეკომპანია **"იმედის"** ეთერში გადაცემა **"რეაქციაში"** საუბრისას გააკეთა, რომელიც ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას მიჰყავს..

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**
ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოდრიშვილი**
გაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ქობალია** 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge